



სამეცნიერო ჟურნალი „ბელისუფლება და საზოგადოება“

(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)“

№ 2 (14) 2010

ღია დიპლომატიის ასოციაციის  
სამეცნიერო ჟურნალი


Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association

Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)  
ს. 402



## სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქონორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბალათურია

პასუხისმგებელი მდივანი

რუდიგერ ანდერსენი, ნანა ავალიანი, მიტროპოლიტი  
აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი  
ბალათურია, ვახტანგ გურული, ჰარალდ ვერტცი,  
გენადი იაშვილი, სერგო ლომინაძე, როინ  
მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, რუსუდან  
ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ია ხუბაშვილი



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის  
პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე  
პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები  
გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა  
არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.  
რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,  
VIII სართული, ტელ. 36-45-14, 874-40-56-77

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 364514; [+995 74] 405677

e-mail: [office@odageorgia.ge](mailto:office@odageorgia.ge)

*გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია*

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:

<http://www.odageorgia.ge/?page=gamocebebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო  
სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### თეორია

#### მარინე ლომიძე

კრიზისის მართვის მეთოლოგია -----5

#### ნინო ჭალაგანიძე

სოციალური კონტროლის ფუნქცია სამაუწყებლო მედიაში-----21

#### ეთერ შამანაძე

ინფორმაციული ზემოქმედების ტექნოლოგიები  
სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის სისტემაში და  
მასობრივი კომუნიკაციის მართვა-----29

#### ნათია კაჭარავა

საქართველოს საგარეო უსაფრთხოება ახალ  
რეალობაში-----42

#### ლევან ოსიძე, მანანა ჯუგაშვილი

არჩევნები, როგორც პოლიტიკური სისტემის განახლების  
ტექნოლოგია-----52

### ისტორია

#### ნატო ჩუბინიძე

ქართველი დევნილის სტატუსის მაძიებლები  
პოლონეთში-----59

### პრაქტიკა

#### გარი გუნია, ზიზი სვანიძე,

#### არჩილ გერსამია, ლილი სვანიძე

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის  
ხელშეწყობის მიზნით კულტურული ტურიზმის გარემოს  
ტექნოგენური დატვირთვის შედეგების შეფასების  
საკითხები -----64

**თამარ რევაზიშვილი**

მდგრადი განვითარება – თანამედროვეობის აუცილებელი მოთხოვნა-----80

**ჟაბა ლომიძე, ოთარ ქოჩორაძე**

საქართველოს ენერჯო უსაფრთხოება-----90

**ეკონომიკა**

**ევგენი ბარათაშვილი, თამარ როსტიაშვილი**

რეგიონების მარკეტინგული კვლევის პრინციპები-----98

**ბიბიჩაძე დავითი, ვანიშვილი მერაბი**

ადამიანური კაპიტალის თეორია და სახელოწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა-----108

**საზოგადოება**

**ბადრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე**

ურარტულ-ხურიტულ-ვაინახურ-ქართველური რამდენიმე ლექსემის ერთობისათვის (1. ხურ-ი/ჰურ-ი//ურ-ი, ურარტუ, ხურიტული 2. სერ-ი)-----116

# თ ე ო რ ი ა

## მარინე ლოშიძე კრიზისის მართვის მეთოდოლოგია

კრიზისული სიტუაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს (სახელისუფლებო, კომერციული თუ საწარმოო სტრუქტურის), მთლიანად საზოგადოების თანამდევია.

კრიზისული კომუნიკაცია შემეცნების შედარებით ახალი დარგია და მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია, რადგანაც სწორედ კრიზისი არღვევს ყველა აწყობილ საინფორმაციო ნაკადს, რაც საზოგადოების სრულყოფილად ინფორმირებას შეუძლებელს ხდის.

კრიზისის სტრუქტურისა და არსის შესახებ ინფორმაციის დეფიციტის არსებობა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. იგი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რადგანაც, როგორც „დემოკრატიის მესამე ტალღის“ ქვეყანას, ახასიათებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის დამაბრკოლებელი ერთ-ერთი ფაქტორი – ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არასაკმარისი გავრცელება. ჩვენში არსებული კომუნიკაციის პრობლემის მასშტაბი განაპირობებს მის მრავალმხრივობას და საჭიროებს კომპლექსურ შესწავლას: კრიზისის არსში გარკვევას, მისი მართვის მექანიზმების განხილვასა და უცხოეთის გამოცდილების გაცნობას. ყოველივე კი ნათლად გვინგენებს ამ საკითხის სიმწვავესა და მისდამი სათანადო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას.

კრიზისის დახასიათებისას იკვეთება რამდენიმე თვალსაზრისი. PR-ის ცნობილი სპეციალისტი სემ ბლუკი ორიგინალურ მიდგომას გვთავაზობს. მისი აზრით, კრიზისი არის „ცნობილი უცნობი“ და „უცნობი უცნობი“[1].

„ცნობილი უცნობი“ კრიზისის წარმოშობას საწარმოს ან მომსახურების სპეციფიკა განაპირობებს. მაგალითად ქიმიური მრეწველობისა და რადიოაქტიური ელემენტების წარმოებას მუდმივად თან ახლავს მომწამვლელ ნივთიერებათა გაჟონვის შესაძლებლობა, ხოლო საზღვაო, სარკინიგზო და

საავიაციო საქმიანობაში სავარაუდო ავარიის რისკი მაღალია.

„უცნობი უცნობი“ ისეთი კატასტროფაა, რომლის გათვალისწინება არავის შეუძლია. მაგ., 2002 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი ნიუ-იორკში.

წარმოშობის მიხედვით კრიზისის ორ ჯგუფს გამოყოფენ. წინასწარ განზრახული კრიზისები, რომლებიც თავის მხრივ ორგვარია: ადამიანთა ფიზიკური განადგურების მიზნით (ტერორისტული აქტები, პროდუქციის გაყალბება) და კრიზისი, რომელიც ადამიანთა განადგურებას არ ითვალისწინებს, მაგრამ სერიოზული ზარალის მომტანია (ავეთქების მუქარა, კომპიუტერული ვირუსები, ავისმომასწავლებელი ჭორების გავრცელება, არასამართლებრივი ქმედებები და სხვ.).

მეორე კატეგორიის კრიზისი წინასწარგანსაზღვრული არაა, იგი სპონტანურად ჩნდება: ხანძარი, ავეთქება, გაკოტრება, ფირმის განადგურება, ქიმიურ ნივთიერებათა გაჟონვა.

შედგების მიხედვითაც კრიზისი ორგვარია: ფიზიკური ნგრევის გამომწვევი (მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, ავტოკატასტროფა, ტერორისტული აქტი) და ფიზიკურ ნგრევასთან არადაკავშირებული (პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული).

კრიზისმა შეიძლება მთელი მსოფლიო მოიცვას ან შემოიფარგლოს გარკვეული ტერიტორიით ან ადამიანთა ჯგუფით. მაგ., ოკლაჰომა-სიტიში (აშშ, 1995წ.) საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის ავეთქება უშუალოდ შეეხო სხვა ქვეყნების ინტერესებს. ასეთი პირდაპირი კავშირების არარსებობის შემთხვევაშიც ზოგიერთი კრიზისი გლობალურ მნიშვნელობას იძენს, როცა იგი ეკონომიკურ და სამედიცინო სფეროს ეხება.

კრიზისის მართვის პრობლემების შემსწავლელ მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი გვთავაზობს კრიზისის კლასიფიკაციის სხვაგვარ მოდელს, რომელსაც საფუძვლად უდევს პერსონალის მართვაში არსებული შეცდომები: ტექნოლოგიური, კონფორტაცია, არაკეთილგანწყობა, მმართველობის ღირებულებების დამახინჯება, თანამდებობრივი დანაშაული, სიცრუე და სხვ. მაგ., 1996 წელს სეულში სუპერმარკეტი დაინგრა. ნგრევა მეხუთე სართულიდან დაიწყო და შენობა

მთლიანად ჩამოიშალა, რის შედეგადაც 1000 ადამიანი დაშავდა, 500 კი დაიღუპა. მიზეზად უხარისხო მშენებლობა დასახელდა – ნაკლები ცემენტი გამოიყენეს. ნგრევისას შენობაში არც ერთი მენეჯერი არ იყო. მათ კედლებზე ბზარების შენიშვნისთანავე დატოვეს შენობა ისე, რომ მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ არავინ გაუფრთხილებიათ[2].

ბევრ გამოკვლევაში კრიზისი აღწერილია დროებითი ფაქტორის თვალსაზრისით. ამასთან ზოგჯერ იყენებენ ვიზუალურ ფერად ასოციაციებს: მწვანე ფერი ახალ ავარიულ შემთხვევებსა და პრობლემურ სიტუაციას ნიშნავს, ყვითელი მიმდინარე და მომწიფებული პრობლემებია, ხოლო ყავისფერი – ძველი, ე.წ. დახავსებული კრიზისია. კოდირების ამგვარმა ხერხმა კრიზისების შეფასების „ბანანის ინდექსის“ სახელწოდება მიიღო.

კრიზისული კომუნიკაციის მკვლევარები კრიზისზე რეაგირების ხარისხის განსაზღვრის თვალთახედვით გამოყოფენ მოულოდნელ, განვითარებადსა და მყარ კრიზისებს[3].

მოულოდნელი კრიზისის შესასწავლად და მისი გადაჭრის ღონისძიებების დასაგეგმად დრო არ რჩება. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონეზე შეთანხმებული წინასწარი მოქმედების გეგმის არსებობაა აუცილებელი, რაც გაუგებრობის, კინკლაობისა და არაოპერატიული რეაგირების თავიდან აცილებას გახდის შესაძლებელს.

განვითარებადი კრიზისები: გაფიცვის წინა პერიოდი, არაკეთილსაიმედო კლიმატი კოლექტივში, თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენება და სხვ. ასეთი კრიზისები შეიძლება წარმოიქმნას უცერად, მაგრამ დიდხანს გრძელდება. ამიტომ სპეციალისტებს პრობლემების გასაანალიზებლად და აუცილებელი ღონისძიებების დასაგეგმად საკმარისი დრო აქვთ. მათ შეუძლიათ კრიზისის შედეგების განჭვრეტა, სიტუაციის გამოსწორება. მთავარ ამოცანას შეადგენს ხელმძღვანელობის დარწმუნება შეიტანოს ცვლილებები დასახულ გეგმებში, სანამ კრიზისი დამანგრეველ ფაზას მიაღწევს.

მყარი კრიზისები კონფლიქტური სიტუაციებია, რომლებიც ხელმძღვანელობის მცდელობის მიუხედავად, დიდხანს არსებობს. ამ მდგომარეობის წყაროს წარმოადგენს მთარული ხმები და ჭორები, რომლებიც პირადი ურთიერთობების პროცესში ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჩნდება. ჭორებთან გამკლავება რთულია, რადგანაც იგი ორგანიზაციის კონტროლს არ ექვემდებარება.

PR-სპეციალისტები ეკონომიკური დარგისათვის არსებით კრიზისულ სიტუაციებად მიიჩნევენ: წარმოების გაჩერებას, გაკოტრებას, თანამშრომელთა გაფიცვას, ტერორისტული აქტის შესაძლებლობას, კონფედენციალური საქმიანი ინფორმაციის გამჟღავნებას, ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერის დაკარგვას, პროდუქციის სერიოზული დეფექტის გამოვლენასა და კომპანიის მთავარი პროდუქტის გაყალბებას. ყველა ზემოხაზოთვლილი ფაქტორი ლოკალური ხასიათისაა. ცხადია, წარმოების სფეროში გასათვალისწინებელია კრიზისის ისეთი მიზეზები, როგორცაა წარუმატებელი რეფორმის შედეგად ეკონომიკისა და ფინანსური საქმიანობის მობილიზაცია, მსოფლიო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური რყევების შედეგები.

როგორც არ უნდა იყოს კრიზისი, ლოკალური თუ მასშტაბური, და რა განზომილებითაც არ უნდა განვიხილავდეთ, ყველა შემთხვევაში, აუცილებელია მისი მართვა.

ტერმინი „პრობლემების მართვა“ ამერიკელმა სპეციალისტებმა XX საუკუნის 70-იან წლებში დაამკვიდრეს. ისინი, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებდნენ, რომ PR საშუალებას იძლევა წინასწარ განსაზღვროს პრობლემა, მიიღოს საჭირო ზომა, დაამუშავოს და გამოიყენოს საჭირო ინოვაცია, ხოლო ზოგჯერ ძირეულად შეცვალოს მთელი საქმიანობა მიმდინარე ცვლილებათა კვალობაზე. კრიზისული მენეჯმენტის უმთავრეს ვალდებულებას რისკის წინასწარ განსაზღვრა, მისი სწრაფად აღმოფხვრა, ზიანის შემცირება და კომპანიისადმი საზოგადოების ნდობის აღდგენაზე ზრუნვა შეადგენს.



საყურადღებოა, რომ კრიზისული სიტუაციის სირთულეს მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი არასტანდარტულობა და მაღალი დინამიკურობა. ყველა ხელმძღვანელს კი ექსტრემალურ სიტუაციაში ეფექტური გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, რაც, მეცნიერთა აზრით, ადამიანისათვის სტრესულ მდგომარეობაში არა ლოგიკური, არამედ რეფლექსური თვისებების გაძლიერებით აიხსნება. ზოგადად კრიზისი ისეთი მოვლენაა, როდესაც დროისა და ინფორმაციის ნაკლებობა ჩნდება. სწორედ ზემოხაზოთვლილი გარემოებები განსაზღვრავს PR-სპეციალისტის მთავარ ამოცანას – ოპერატიულად მიიღოს აუცილებელი მონაცემები კრიზის შესახებ, რომელსაც კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავლის ან თავიდან ასაცილებელი პროგრამის შესამუშავებლად გამოიყენებს.

რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, სპეციალისტები კრიზისს ცალსახად ნეგატიურ მოვლენად არ მიიჩნევენ და მის დადებით ასპექტსაც განიხილავენ. მოვლენის ამგვარად წარმოჩენას საფუძვლად უდევს ქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები. კერძოდ, კრიზისი ორგანიზაციის ხელმძღვანელს იძულებულს ხდის ახალი საშუალებები მოიძიოს. მაგ., წარმოებისა და გასაღების ძირეული განახლება, ხელმძღვანელთა და მმართველობის ფორმების შეცვლა მუშაობის კარდინალური გაუმჯობესებისათვის ახალ პერსპექტივებს სახავს. პრაქტიკულად ბევრია შემთხვევა, როცა სიახლე კრიზისის წარმოშობის აუცილებლობამ განაპირობა.

კრიზისული კომუნიკაციის მართვის თეორიები რისკის შესახებ ინფორმირებისას გადამწყვეტ როლს აკისრებენ კომუნიკაციის არსებულ ყველა საშუალებასთან მჭიდრო კავშირსა და მედიის ეფექტურად გამოყენებას. საინფორმაციო არხებთან კავშირის დამყარება სარწმუნო ფაქტებითა და მონაცემებით, მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნათა გაგება, მედიის მეთოდისა და ხერხების ცოდნა მასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. კრიზისულ სიტუაციაში მთავარი კომუნიკაციის ცენტრალიზება, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების კონტროლია.

კრიზისი რეალური პრობლემაა, რომელიც ორგანიზაციის იმიჯს ღაზავს. მნიშვნელოვანია კრიზისის

პირველი ეტაპი, რომლის სწორად მართვის შემთხვევაში შეიძლება რეპუტაციის გარკვეულწილად შენარჩუნება. მიზანმიმართული, რეალობას დამყარებული ქმედებით შეიძლება თავიდან ავიცილოთ მედიის უხეში ჩარევა და სკანდალი. როგორც PR-სფეროში ამბობენ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლია ინციდენტი კრიზისად აქციოს, ხოლო არსებული კრიზისი გამანადგურებელი გახადოს.

კრიზისულ სიტუაციაში PR-სამსახურის სტრატეგიის განხორციელების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: იმავდროული კომუნიკაციური რეაქცია, საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა ინტერესების დაკმაყოფილება (ყველა არსებით კითხვაზე პასუხის გაცემა) და მწუხარების, სინანულის გამოხატვა. მოქმედების მთავარი გეგმა კი ეფუძნება შემდეგ ეტაპებს: ინფორმაციის გავრცელება, ამასთან უარყოფითი ინფორმაციის ნეიტრალიზება და კორექტირება, მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში მისი სათანადოდ გადაშუშავება, სარწმუნო ინფორმაციის დეზინფორმაციისაგან გამიჯვნა. განსაკუთრებულად საყურადღებოა ჟურნალისტთა მიერ დასმულ კითხვებზე (ტონისა და შინაარსის მიხედვით) პასუხების გაცემის ტაქტიკა. „გაგების“, „ინგორირების“, „ინფორმაციის ობიექტურობის“ ან „თანაგრძნობის“ ტაქტიკური ხერხების შესაბამისად გამოყენება მდგომარეობის განეიტრალების უტყუარი საშუალებაა. ღლიალური დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სპეციალისტების მოზიდვა ტაქტიკურად ასევე გამართლებულია, რადგან მათი გამოსვლებისადმი საზოგადოებისა და მედიის ნდობა გაცილებით მაღალია, ვიდრე კომპანიის პერსონალისადმი.

ამ პრინციპების გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს კლავდია რეინჰარდი ნაშრომში „რჩევები: როგორ ვმართოთ კრიზისული სიტუაცია“ [4]. ამასთან, მისი აზრით, დაუშვებელია:

- არასარწმუნო ვარაუდების საზოგადოებისათვის გაცნობა;
- რეაგირება პროვოკაციულ კითხვებზე;
- პრობლემის მნიშვნელობის დამცრობა ან სიტუაციის შელამაზება, რადგან პრესა მაღე მიაკვლევს სიმართლეს;

– ინფორმაციის გაჟონვა. მედიით გავრცელებული ნებისმიერი ფაქტი შეიძლება ახალი ვერსიის საფუძველი გახდეს;

– პიროვნების პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნება, თუ იგი რაიმე ბრალდებას შეიცავს;

– ინფორმაციის არფლობის შემთხვევაში პრესასთან ურთიერთობა;

– რომელიმე საინფორმაციო საშუალებისათვის უპირატესობის მინიჭება;

– კრიზისული სიტუაციის თვითრეკლამისათვის გამოყენება.

დარგის სირთულიდან გამომდინარე ბევრ ქვეყანაში კრიზისის მენეჯერის პროფესია დამკვიდრდა. სემ ბლეკი მათი საქმიანობისათვის არსებითად ცნობს ზემოთ განხილულ ასპექტებს, როგორცაა – დაუყოვნებელი რეაქცია, საინფორმაციო საშუალებებისათვის უტყუარი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ამავე დროს საგანგებოდ მიუთითებს ტექნიკური ინფორმაციის ფლობას, დაზარალებულებისა და მათი ახლობლების ინტერესების გამომხატველი ყველა შესაძლო ღონისძიების განხორციელებას [5]. მკვლევარის მიერ განხილული პრინციპების შესაბამისად აკრძალვების ჩამონათვალი უფრო ვრცელი და კონკრეტული ხდება. ამრიგად, კრიზისის დაძლევის პროცესში შეცდომაა:

– ყოყმანი, რაც საზოგადოებაში იწვევს გაურკვევლობის, უგულობის, არაკომპეტენტურობის განცდას;

– ბუნდოვანი საფარის შექმნა, რაც საზოგადოებაში ორგანიზაციის შესახებ უწესობისა და გულგრილობის შეხედულებას ამკვიდრებს;

– გაურკვეველობა, რომელიც უფრო მეტ პრობლემას ქმნის, რადგანაც რეალობის შეცვლა შეუძლებელია;

– დოგმატური ლაქლაქი, არსებული პრობლემის რეალური ნეიტრალიზაციის ნაცვლად, რაც ამაღლებს ორგანიზაციის ან თანამდებობის პირთა ქედმაღლობის დემონსტრირებას;

– კონფორმაცია, რომელიც ქმნის აქტიურობის მოჩვენებითობას, ყველას დაძაბულ მდგომარეობაში

ამყოფებს, ცდილობს პრობლემაზე არსებული რეაქციის შენიღბვას;

– სასამართლო პროცესი ასევე მოჩვენებითი ქმედებაა, რომლითაც ყურადღება გონიერი გადაწყვეტილებიდან ნაკლებად მნიშვნელოვანზე გადააქვთ.

მიზნობრივ აუდიტორიაზე ყოველი შესაძლო მოვლენის ზემოქმედების შეფასება კრიზისის მართვის ელემენტს წარმოადგენს. საზოგადოებრივ აზრზე დაკვირვებისას თავდაპირველად პრობლემის აღმოჩენა იკვეთება. კრიზისის წარმოშობასთან ერთად საზოგადოებრივი ჯგუფები ფორმირდება – მოვლენისადმი დამოკიდებულებისა და ორგანიზაციის რეაქციის განსაზღვრის მიზნით. ამის შედეგად შესაძლებელია პრობლემის საჯარო განხილვა, როგორც ეს 2003 წელს აშშ პრეზიდენტის ბუშის მიერ ერაყში სამხედრო ქმედებების დაწყების გადაწყვეტილების მიღებას მოჰყვა.

სიტუაციის განვითარების პროცესში ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. ეს უფრო ნათლად და შთამბეჭდავად ხდება, თუ კრიზისი დინამიკურია და ყოველდღე ახალ მოვლენებს გვთავაზობს.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შედეგი საზოგადოებრივი ქმედებაა. მაგ., აშშ-ს აგრესიისადმი რეაქცია (ერაყის შემთხვევაში), ამერიკის ხელისუფლების აზრის საწინააღმდეგოდ, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში, საპროტესტო დემონსტრაციებით გამოიხატა.

პროცესი სრულდება ოფიციალური პირების რეაქციით, რომლის შედეგადაც საზოგადოებრივი ჯგუფები საწყის პოზიციას უბრუნდებიან.

საზოგადოების მიერ კრიზისის აღქმის ანალიზი საშუალებას გვაძლევს შემდეგი დასკვნები ჩამოვყავალით: 1. ადამიანები კრიზისის შესახებ უმთავრესად პირადი კომუნიკაციის საშუალებებით იგებენ; 2. ადამიანები, როგორც წესი, კრიზისის სერიოზულობის ინტერპრეტაციას პირადი საშიშროების თვალთახედვით ახდენენ; 3. კრიზისის პერიოდში უფრო ავტორიტეტულად ოფიციალური წყაროები ითვლება; 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (მის) ინფორმაციის მოცულობა მეტყველებს კრიზისის მასშტაბზე; რაც მეტია ინფორმაცია, მით უფრო სერიოზულია კრიზისი; 5. სანდო,

სარწმუნო ინფორმაციის არსებობა ჭორების გავრცელებას ხელს უშლის.

ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ჭორებს წინ თითქმის ვერაფერი აღუდგება. მათი გავრცელების დრო-სივრცული არეალი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და მისი შეჩერება ძალიან ძნელია. ჭორების წინააღმდეგ ყველაზე მართებული საბრძოლო მეთოდი პრევენციული ზომებია, რომლებიც დროული სარწმუნო ინფორმაციის ორმხრივი ეფექტური გამოყენებით თაგიდან აგვაცილებს ჭორის მიზეზებს. და თუ მაინც გავრცელდა არასასურველი მოარული ხმა, დაუყოვნებლივ საჭირო გადამჭრელი ღონისძიებების მიღება, რადგან ისინი კრიზისის გაღრმავების ყველაზე „ვერაგი“ მიზეზია. ამის ნათელი დასტური „პროქტერ ენდ გემბელის“ მაგალითია. აგორებულმა ჭორებმა კომპანია სერიოზულად დაზარალა როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად. ჭორების გასაქარწყლებლად ისევ და ისევ საჭიროა შეთანხმებული საქმიანობა მედიასთან. მოარული ხმების გაპროტესტებაში მის-ის მხარდაჭერა გადამწყვეტია.

კრიზისის მართვის ამერიკული პრაქტიკიდან ორი შემთხვევაა საინტერესო [6]. პრეპარატ „ტაილენოლით“ 1982 წელს ჩიკაგოში 7 ადამიანი გარდაიცვალა. მწარმოებელი კომპანია „ჯონსონ ენდ ჯონსონისათვის“ ეს პოპულარული ბრენდის დაკარგვასა და მრავალმილიონიან ზარალს ნიშნავდა. ანალიტიკოსთა უმრავლესობა პრეპარატს გაქრობას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ წლის ბოლომდე პრეპარატი არათუ გაქრა, აშშ-ს ტივილგამაყუჩებლების ბაზრის მეოთხედი დაიბრუნა.

„სიკვდილი“ (ციანიდი) პრეპარატის ფლაკონში ბოროტმოქმედთა წინასწარი განზრახვით მოხვდა. სწორად წარმართული ანტიკრიზისული გეგმის საშუალებით პრობლემა დაძლეული იქნა. „ტაილენოლის“ კრიზისის მენეჯმენტის პროგრამის წარმატება განაპირობა იმ გადაწყვეტილებებმა, რაც ნაკარნახევი იყო დასახული სტრატეგიის კონკრეტული ტაქტიკით: კავშირი ჩიკაგოს პოლიციასთან, გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან და ამერიკის სამედიცინო პრეპარატებისა და საკვები პროდუქტების კონტროლის ასოციაციასთან. „ჩიკაგოს მომწამვლელის“ შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებისათვის ჯილდოდ 100 000 დოლარი დაწესდა.

კომპანიის მენეჯმენტის ხელმძღვანელები პირველი სამი მსხვერპლის დაკრძალვას დაესწრნენ, რაც პირდაპირ ეთერში მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაიცა. მთელმა ამერიკამ ნახა, როგორ ტიროდნენ კომპანიის დირექტორები დაკრძალვებზე „არამარტო სიბრალულის გამო, არამედ თავიანთი პასუხისმგებლობის გაცნობიერების გამოც“. შემოიღეს შეფუთვის ახალი უსაფრთხო ფორმა, რასაც თან ახლდა სარეკლამო აქცია. იგი მიზნად ისახავდა მომხმარებლისათვის ამ სიახლის ყველა უპირატესობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ასევე განხორციელდა ნებისმიერ დროს გამოშვებული „ტილიენოლის“ კაპსულების აბებზე დაუყოვნებელი და უფასო გაცვლის აქცია. ყველა ანტიკრიზისული ქმედების გამაერთიანებელ ფაქტორად იქცა კომპანიის ხელმძღვანელობის სრული გულახდილობა და ხელმისაწვდომობა მასმედიასთან ურთიერთობისათვის. კომპანიის ყველა უფროსი მენეჯერი ვალდებულია თვლიდა თავს, მის-ისათვის ნებისმიერი ინფორმაცია მიეწოდებინა. პირველი მოწამვლის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში, კომპანიის ხელმძღვანელებმა ჟურნალისტების 2500 კითხვას უპასუხეს. თვით მოწამვლის ისტორია წლის მთავარი სიახლე გახდა და პრეზიდენტ კენედის მკვლელობის შემდეგ პრესაში პუბლიკაციების რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი დაიკავა.

მეორე შემთხვევა 1989 წლის 24 მარტს მოხდა. ნავთობის გადაძიხდავი ტანკერი „ექსონ ვალდეზი“ ალიასკის სამხრეთ სანაპიროსთან რიფს დაეჯახა, რის შედეგადაც ჩრდილოეთ ოკეანეში მრავალი ტონა გადაუშუშავებული ნავთობი ჩაიღვარა. ეს ამბავი ამგვარი ტრაგედიებიდან ამერიკის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურია. ალიასკის სანაპირო მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილია, იქ უნიკალური ფაუნაა, ადგილობრივი მოსახლეობა თევზის ჭერითაა დაკავებული.

„ექსონის“ მიერ კრიზისის მართვა წარუმატებლად წარიმართა, რაც უმთავრესად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კომპანიის მენეჯმენტი მასმედიასთან ყოველგვარ კონტაქტს გაურბოდა. კომპანიის იმჟამინდელი დირექტორი ინტერვიუზე არ თანხმდებოდა. დაგვიანებული გამოსვლისას არაპროფესიულად იქცეოდა – არ ფლობდა რეალურ ინფორმაციას, ზოგიერთი ფაქტი არ იცოდა. საზოგადოდ, შიდა კომუნიკაცია არასრულყოფილი და

მოუმზადებელი აღმოჩნდა ექსტრემალური სიტუაციისათვის. ყველა ინფორმაციას კომპანიის მენეჯმენტი სხვადასხვა ინტერპრეტაციით ავრცელებდა. არასწორად განათავსეს საინფორმაციო ცენტრი – ალიასკაზე, კატასტროფის მახლობლად, საკომუნიკაციო საშუალებებით შეზღუდულ პატარა ქალაქში. ნიუ - იორკთან დროის 4 საათის სხვაობამ დიდის პრესისათვის პრესკონფერენციების დრო არახელსაყრელი გახადა

კომპანიამ დიდი ფულადი სახსრები გაიღო გამწმენდი სამუშაოების ჩასატარებლად, წამოიწყო რამდენიმე პროექტი ფაუნის გადასარჩენად და სარეკლამო კამპანია პრესაში, საზოგადოებას ბოდიშიც კი მოუხადა, მაგრამ არსად უთქვამს, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა. კომპანიის ხელმძღვანელთა განცხადებები სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ეწინააღმდეგებოდა, ხოლო მათი ინიციატივით გადაღებულმა ფილმმა „პროგრესი ალიასკაზე“ მთელს ქვეყანაში აღშფოთება გამოიწვია.

ამ ორი ანტიკრიზისული რეაგირების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი განსხვავებები:

- „ტაილენოლის“ შემთხვევაში ოპერატიული, მიზანმიმართული ქმედებები;
- „ექსონის“ შემთხვევაში ძალზე დაგვიანებული, არათანმიმდევრული ქმედებები;
- კომპანიების ხელმძღვანელებმა მომხდარისა და დაზარალებულებისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება გამოხატეს;
- კომპანიებმა საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის მედიასთან თანამშრომლობის სხვადასხვა პოლიტიკა აირჩიეს.

განხილული კრიზისის ტიპებიდან ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერია მოსალოდნელი, მაგრამ, რაც ყველაზე ნათლად ჩანს, ეს ეპიდემიის საშიშროება (ქათმის გრიპი, ღორის გრიპი), ბუნებრივი მოვლენები (მიწისძვრა) და პოლიტიკური ბატალიებია (მაგ., 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, ოპოზიციისა და ხელისუფლების დამოკიდებულება – 2007 წლის ნოემბრისა და 2009 წლის აპრილის საპროტესტო გამოსვლები).

ამ პირობებში კრიზისული კომუნიკაციის დეფიციტი შეინიშნება, რაც შეიძლება რამდენიმე

ფაქტორით აიხსნას – პრობლემის არცოდნა, კრიზისის მართვის სურვილის არქონა, პრობლემის არასათანადო გააზრება ან იგნორირება. ყველა შემთხვევა დაუშვებელია, რადგან ასეთი დამოკიდებულება ზიანის მომტანია ქვეყნისა და მოსახლეობისათვის. კრიზისის მართვისადმი უმთავრესად ორი უკიდურესი პოზიცია იკვეთება – პირველი, როცა კომუნიკაცია უაღრესად ნეგატიური შინაარსისაა, და, მეორე, როცა კომუნიკაცია არ არსებობს ან არსებობს (გარკვეული ფორმით) და ფართო საზოგადოებამ მის შესახებ არ იცის. მაგ., ჩვენი ქვეყნის ბევრ მოქალაქეს დაამახსოვრდა ამ რამდენიმე წლის წინათ ქათმის გრიპის საშიშროებასთან დაკავშირებით იმუამინდელი ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ერთ-ერთი განცხადება. ასეთი ეპიდემიის წინაშე საქართველოს მოსახლეობა პირველად აღმოჩნდა. იყო პანიკის საფუძველი, რადგან ხელისუფლება მოსახლეობის დაცვისა და დაავადების პრევენციის გარანტიას ვერ იძლეოდა. ხშირად ტელევიზიით გასული სიუჟეტები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავდა და ამ ფონზე 2 იანვარს, ე.წ. „ბედობის დღეს“, მინისტრი ტელევიზიით გამოდის და გვაუწყებს, რომ მოსალოდნელია ეპიდემიის აფეთქება და მოსახლეობის დიდ ნაწილს ემუქრება სიკვდილი. საბედნიეროდ, „შორსმჭვრეტელი“ მინისტრის პროგნოზი არ გამართლდა; სამაგიეროდ, გამჟღავნდა ხელისუფლების წარმომადგენლის სრული უპასუხისმგებლობა და ელემენტარული უცოდინრობა.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა 2009 წელს ღორის გრიპის ეპიდემიის საშიშროების გამო. ხელისუფლებისა და ჯანდაცვის წარმომადგენლები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოებას აწვდიდნენ ინფორმაციას დაავადების პრევენციისა და უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ, რამაც შესაძლებელი გახდა მოსალოდნელი პანიკის თავიდან აცილება.

2008 წლის 10 აგვისტოს დღის 12 საათსა და 50 წუთზე საქართველოს პარლამენტის თავჯდომარემ დავით ბაქრაძემ საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებით შეატყობინა, რომ „რუსეთის შეიარაღებული ძალები უახლოეს საათებში



ზუგდიდის მიმართულებით გეგმავდნენ ფართომასშტაბიან თავდასხმას.” მან აღნიშნა, რომ „ქვეყანაში ვითარება მთლიანად სტაბილურია და კონტროლდება. პრეზიდენტი პირადად ხელმძღვანელობს სახელმწიფო თავდაცვას... მინდა გადმოვცეთ საქართველოს პრეზიდენტის მოწოდება და მთლიანად საქართველოს ხელისუფლების მოწოდება – ყველა ერთად გავერთიანდეთ. ყველგან, სადაც შემოვა მტრის ჯარი, ყველა არსებული საშუალებით გავეწიოთ წინააღმდეგობა, არ მივცეთ საქართველოს ოკუპაციისა და 1921 წლის განმეორების საშუალება”[7].

პარლამენტის სპიკერის მოწოდება, რუსული აგრესიის „ყველა არსებული საშუალებით” მოგერიების შესახებ, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა საქართველოს მოქალაქეებისათვის.

2009 წლის სექტემბერში მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა დასავლეთ საქართველო. ქვეყნის ყველა ტელევიზიის საინფორმაციო საშუალებებმა მეორე დღეს მომხდარის შესახებ შეგვატყობინეს. მოწოდებული ახალი ამბის სტრუქტურა მართებული იყო: რა და როდის მოხდა, როგორია შედეგი და რა უნდა გაკეთდეს ზარალის ზიანის შესამცირებლად და ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ეს იყო ერთჯერადი ინფორმაცია. უახლოესი დღეების განმავლობაში ფართო საზოგადოებამ ვერ მიიღო ინფორმაცია შემდგომი პროცესების შესახებ. შესაძლოა, დაზარალებულ მოსახლეობასთან არსებობდა მუდმივი კავშირი და ადგილობრივი მკვიდრნი ფლობენ ინფორმაციას, ხედავენ ხელისუფლების ქმედების რეალურ შედეგსაც, მაგრამ დანარჩენი მოსახლეობისათვის ეს ინფორმაცია დაფარული აღმოჩნდა, რაც კრიზისული კომუნიკაციის წარმართვის არასწორ პოლიტიკაზე მეტყველებს.

ამრიგად, კრიზისის დაძლევისათვის არსებითია PR-ის მეთოდებისა და პრაქტიკის ცოდნა და მათი ეფექტურად გამოყენება.

### **ლიტერატურა: References:**

1. Блек С.Паблик рилейшенз. Что это такое? Пер. с англ. Лондон: Моудино пресс: М.: СП АСЭС,1990, с .42,

2. dokumenturi filmi „yvelaze, yvelaze, yvelaze”(teqnologiuri katastrofebi),
3. Катлип С., Сентер А., Брум Г. Паблик рилейшенз. Теория и практика: Учеб. Пособие. 8-е изд.: Пер. . с англ. М: Изд.дом «Вильямс», 2001, с.430-431,
4. Reinhard C. Workshop: How to handle a Crisis//PRJournal 43, no 11, November 1987,
5. Блек С.Паблик рилейшенз. Что это такое? Пер. с англ. Лондон: Модино пресс: М.: СП АСЭС,1990, с.190-192,
6. saqarTvelos sazogadoebriv saqmeTa institutis mediamenejmentis kavkasiuri skolis `PR/komunikaciis menejmentis” kursis masalebi,
7. www.rustavi2.com. uaxlesi ambebi, sainformacio gadacemebi, 10.08.08,12.53.

**Marina Lomidze,**  
**Crisis management methodology**

**Summary**

Crisis accompanies any area of social life (governmental, commercial as well as industrial structure).

Crisis represents a new branch of cognition and its significance is highly important. It is crisis that breaks the whole information stream, thus making it impossible to inform the public fully.

Existence of lack of information about crisis and its main point is one of the major problems of present time. It is particularly essential for our country, since for Georgia, as for the country of “the third wave Democracy” one of factors hindering development of civil society is actual that is insufficient spreading of information and technologies. The scall of communication problem existing in our country determines its wide range and requires its complex study: estimating the main point of crisis, considering mechanisms of its management and acquainting with foreign experience. The abovementioned clearly shows acuteness of the issue and necessity of working out a proper policy towards it.

As to the types of crisis, any of them may be expected in our country, yet what is seen clearly are following: danger of epidemic (bird flu, swine flu), natural disasters (earthquake) and political battles (War in august 2008, relations between government and opposition – protest manifestations in November 200 and April 2009).

Shortage of crisis communication can be seen in this situation that can be explained by several factors: not knowing the problem, lacking any desire of proper management, ignoring or underestimating the problem. All the cases are inadmissible, since such attitude brings harm to the country. Two extremeness of position can be seen in the crisis management \_ first when communication is very negative, and second when communication either does not exist or exists (in any form) and the society knows nothing about it.

In order to overcome the crisis it is essential to know the methods and practice of PR and to use them effectively.

**Keywords:** Crisis management, media, information, communication, problem, society, factor.

**Reviewer:** Khatuna Kacharava, Professor of Grigol Robakidze University

**ლომიძე მარინა დჯუდუენა**  
**Методология управления кризисом**

### **Резюме**

Кризисная ситуация в любой сфере общественной жизни, будь то государственная, коммерческая или производственная структура, целиком сопутствует любым процессам, происходящим в обществе.

Кризисная ситуация – новая область познания и значение ее огромно, поскольку именно кризис разрушает налаженный информационный поток, что полностью лишает общество информации.

Наличие дефицита информации о структуре кризиса и ее сущности – одна из главных проблем современности. Это особенно актуально для нашей страны, Грузии, как для страны «третьей волны демократии», так как одним из препятствующих факторов в развитии гражданского общества является недостаточное распространение информации и коммуникативных технологий. Существующий в нашей стране масштаб проблемы коммуникации обуславливает ее многосторонность и требует комплексного изучения: понятия сущности кризиса, рассмотрения механизмов управления и ознакомления с

зарубежным опытом. Все это четко выявляет остроту вопроса и, соответственно, необходимость его разработки.

В нашей стране возможны любые типы кризиса, но более очевидны – опасность эпидемий, (куриный грипп, свиной грипп), природные явления (землетрясение) и политические баталии (напр., события в августе 2008 года, отношение оппозиции и правительства в ноябре 2007 года и митинги протеста в апреле 2009 года).

В этих условиях замечен кризисный дефицит коммуникации, что можно объяснить некоторыми факторами: незнанием проблемы, неимением желания управлять кризисом, неоднозначным осмыслением или игнорированием проблемы. Каждый случай недопустим, так как подобное отношение наносит урон стране или населению. В отношении управления кризисом намечается две позиции – первая, когда коммуникация носит очень негативный характер, и вторая, когда коммуникации нет или она существует, но общественность об этом неуведомлена.

Для преодоления кризиса необходимы знания PR методов и практики и их эффективное применение.

**Ключевые слова:** Менеджмент кризиса, медиа, информация, коммуникация, проблема, общество, фактор.

**Рецензент:** Качарава Хатуна Парнаозовна, профессор университета им. Гр. Робакидзе

**ენო ჯალაბანიძე**  
**სოციალური კონტროლის ფუნქცია სამაშუყმებლო**  
**მედიასო**

ჩვენს ქვეყანასო ათწლეულების მანძილზე მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისაკენ გადადგმული ნაბიჯები ახლებურად წარმოაჩენს მედია საშუალებების ფუნქციონირების საკითხებსაც. საჯაროობისა და დემოკრატიზაციის განვითარება გულისხმობს მას მედიის საშუალებების და, მათ შორის ტელევიზიის აქტიურ ჩართულობასა და მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში.

თუკი ისტორიას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ინფორმაცია საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა. ისტორიული თვალსაზრისით ინფორმაციისადმი ადამიანის სოციალურ ინტერესს ღრმა პრაქტიკული და ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს. ქვებზე ამოტვიფრული წარწერები, პაპირუსის სიგელები და ა.შ. დოკუმენტურ ინფორმაციას წარმოადგენს.

ტოტალიტარულ ქვეყნებში ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას აქტიურად კრძალავენ, რადგან მიანჩნათ, რომ ვინც ინფორმაციას ფლობს, შეუძლია ფლობდეს ძალაუფლებასაც. ამ თემას უკავშირდება საყოველთაოდ ცნობილი ეპითეტიც: „მეოთხე ხელისუფლება“. ინფორმირებული ადამიანი მომზადებულია შემდგომი ნაბიჯებისათვის. მისი შეცდომაში შეყვანა რთულია, შეუძლია საკუთარი თვალთ დანახვლის საფუძველზე, დამოუკიდებლად მივიდეს გარკვეულ დასკვნებამდე. გაცილებით ფართო მასშტაბებს იძენს ზემოთქმული, თუკი საქმე სრულიად საზოგადოებას ეხება. მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა, არსებობს მეორე, ჩრდილოვანი ნაწილიც – როცა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა ეჭვს ბადებს. ობიექტურად, ჟურნალისტი შუამავალია სახელმწიფოს, საზოგადოებასა და მოქალაქეს შორის. „თანამედროვე საზოგადოებაში ცივილიზაციისა და მოქალაქის თავისუფლების დონე ბევრად განისაზღვრება ხელისუფლებისა და ტელევიზიის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათით“. [195] იმაზე, თუ როგორია ეს ურთიერთობები – ნდობისა და მხარდაჭერის

თუ კონფორმაციისა და ეჭვიანობის, დამოკიდებულია სტაბილურობა თუ რევოლუციური სტიქიურობა.

დემოკრატიულ ქვეყნებში ინფორმაციის მოპოვება-გავრცელება-მიღება ნაკლებ პრობლემებთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, არსებობს ყოველსმომცველი უფლება, რომელიც განსაზღვრულია ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაციის მიერ და ჩაწერილია ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციაში. კერძოდ, ყოველ ადამიანს და მთლიანად საზოგადოებასაც აქვს სუვერენული უფლება, მიიღოს მისთვის სასურველი საჯარო ინფორმაცია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მოტანილ ციტატაში ნათლადაა ასახული, რომ: "დემოკრატიულ სახელმწიფოში მასმედია დამოუკიდებელი სოციალური ინსტიტუტია და ქვეყანაში მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით მას საქმიანობის სრული თავისუფლება ენიჭება, ცხადია, სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში".

ისტორიკოსებისა და სოციოლოგების აზრით, ახალი ამბავი ადამიანის ძირითად იმპულსს აკმაყოფილებს. ადამიანს ყოველდღე აინტერესებს რა ხდება იქ, სადაც თვითონ არ არის. იმ მოვლენების საქმის კურსში ყოფნა, რომელთა დანახვაც საკუთარი თვალით არ შეგვიძლია, უსაფრთხოების, კონტროლის გრძნობებს და რწმენას გვიღვიძებს. ერთმა მწერალმა ამას "საქმის კურსში ყოფნის ადამიანური წყურვილი" უწოდა.

ანალიტიკოსთა უმრავლესობა, გლობალიზაციის პროცესს ინფორმაციული რევოლუციის პროცესის განვითარებას უკავშირებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია მსოფლიო ტექნოლოგიურ რევოლუციებთან. XXI საუკუნეში ადამიანებს განსაკუთრებით სჭირდებათ ერთმანეთთან მუდმივი კომინიკაცია, იმ შემთხვევაშიც კი თუ მილიონობით კილომეტრით არიან დაშორებულები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წყალობით შეგვიძლია თვალი ვადევნოთ და გავიგოთ, რა ხდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. სწრაფმა და დახვეწილმა გადაადგილებისა და კომუნიკაციის საშუალებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა და გაამარტივა დიდი ინფორმაციული ნაკადების გავრცელება.

ინფორმაციას როლი აქვს თანამედროვე საზოგადოების ყოფაში დიდია, მეტიც, “თუკი ჩვენს დროში მაინც შეიძლება დიქტატურა აღმოცენდეს, ის პოლიტიკური კი არა, ინფორმაციული იქნება”. [1.95]

მასობრივი ინფორმაცია, საზოგადოების მოთხოვნილების თანახმად, ოპტიმალური უნდა იყოს დროითი და სივრცული პარამეტრების მიხედვით – ეს ნიშნავს მის მაქსიმალურ ოპერატიულობას, სისწრაფეს, დროში მაქსიმალურად განფენილობასა და სივრცულად ყოვლისმომცველობას – დედამიწის მრავალ წერტილში ერთდროულად შეღწევას. ტელევიზია, როგორც კომუნიკაციური სისტემა მაქსიმალურად აკმაყოფილებს ყველა ამ მოთხოვნას. [2.57]

ჟურნალისტიკა ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის სახეობა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციფიკური ფორმაც. აღნიშნული პროფესიის საფუძველს წარმოადგენს ცხოვრების წვდომა, სინამდვილის ობიექტური გაშუქება და ყოფიერების მრავალფეროვნების გააზრება. ჟურნალისტიკა ასახავს, აყალიბებს და, ხშირ შემთხვევაში, წარმართავს საზოგადოებრივ ცნობიერებას. ერთი მხრივ, იგი ემსახურება საზოგადოებას, მაგრამ, ამავდროულად, მისი სოციალური მართვის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს. ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა, რამდენადაც თანამედროვე ცხოვრების რთული დიალექტიკური მოვლენაა. მისი მრავალმხრივი განვითარების გარეშე შეუძლებელია თავად საზოგადოების და სრულად ცივილიზაციის პროგრესი”. [2.13]

აუდიტორიასთან მასმედიის მიმართების აუცილებელი პირობა მაყურებლის (მკითხველის, მსმენელის) ინფორმაციული უზრუნველყოფაა. სწორედ ის მონაწილეობს აქტიურად ინფორმაციაზე ადამიანთა მოთხოვნილებებისა და პიროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაში. მას შეუძლია არამარტო გავრცელებული ინფორმაციით მოახდინოს ზემოქმედება საზოგადოებაზე, არამედ მართოს მათი სურვილები, თუ რა ტიპის ინფორმაციის მიღება მოითხოვონ. თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციული ზემოქმედებით შეიძლება იქნას გამოწვეული პიროვნების ან საგნის ჭეშმარიტი ან,

თუნდაც, ყალბი პრესტიჟი. შესაბამისად, მასმედია ყოველთვის მონაწილეობს როგორც ”პრესტიჟულ” ფასეულობათა შექმნაში, ასევე, მათ გაუფასურებაში.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ეფექტურ ფუნქციონირებაზე თვითონ მედიის გარდა, თანაბრად ზემოქმედებს ხელისუფლება და აუდიტორია (უ. შრამი ტრაქტატი: “მასკომუნიკაციების პასუხისმგებლობა”), რომელთა შორის ერთგვარი მედიატორის როლს სწორედ ჟურნალისტი ასრულებს.

ქართულ სინამდვილეში აღნიშნული ფაქტორები შემდეგნაირად შეიძლება შეფასდეს:

1. ხელისუფლება – იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობით აკრძალა, სასამართლო პროცესების გადაღება, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები მიუწვდომელია; როდესაც სასამართლოში განხილვის პროცესში ბრალდება უკვე დადასტურებულია და მიუხედავად ამისა, პირის გადაღება მაინც არ არის ნებადართული- ტელევიზიით აჩვენებენ შსს-ს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჟურნალისტების მიერ დადგმულ “კრიმინალურ მოუხებს”, რომლებშიც შემთხვევითი ადამიანები მონაწილეობენ, რომელთა ბრალეულობაც ჯერ ოფიციალურად (სასამართლოს მიერ) დამტკიცებული არ არის. „ფაქტებს უშვებენ ტიტრებით, მაგალითად, ვხედავთ ასეთ წარწერებს: “ყაჩაღობა”, “ძარცვა”, “თავდასხმა” და აჩვენებენ ადამიანის სახეს, თუმცა არ არის გამორიცხული მალევე გაირკვეს, რომ პიროვნება უდანაშაულოა.“

2. მედია საშუალებანი – რომლებმაც ვერ გაბედეს ხელი მოეწერათ ჟურნალისტთა ქარტიისთვის (მიღებულია 2009 წლის 4 დეკემბერს), რომლის თერთმეტივე პუნქტის დაცვა ნებისმიერ კეთილსინდისიერ ჟურნალისტს ისედაც მოეთხოვება: „პატივი სცეს სიმართლესა და საზოგადოების უფლებას მიიღოს ზუსტი ინფორმაცია; არ მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია; არ გაამჟღავნოს კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო“ (ქარტია) და მისთანანი. ხელმომწერთა მცირერიცხოვანება მნიშვნელოვნად ართულებს ქარტიის შექმნის ინიციატორთა მიერ დასახული მიზნის შესრულებას. პრობლემას ქმნის ის



ფაქტი, რომ “კოდექსით” გათვალისწინებული შეზღუდვები და მოვალეობები მხოლოდ მათ დაეკისრებათ, ვინც უშუალოდ იქნება ქარტიის ხელმძღვერი. ე. ი. მხოლოდ რიგითი ჟურნალისტები აგებენ პასუხს საკუთარი სტატიებისა და სიუჟეტებისთვის, შეცოდებებისა და შეცდომების დაშვების შემთხვევაში და არა ის მედია საშუალებები, რომელთა “დაქვემდებარებაშიც” მუშაობენ. სწორედ ამიტომ ხელმძღვერები უნდა იყვნენ მედიაკომპანიები და არა ცალკეული ჟურნალისტები. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი ჟურნალისტთა დიდი ნაწილის დაცვა საკუთარი შეცდომებისგან. თვითკონტროლის გაძლიერებით, თავის მხრივ, მიიღწევა დაბალანსებული მასალების გამოქვეყნება, რაც საზოგადოების თვალში მედიისადმი ნდობის გაზრდას გამოიწვევს. შეძლება ითქვას, რომ ჟურნალისტებს მეტად საპასუხისმგებლო მისია ეკისრებათ, მათზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და საზოგადოებრივი გემოვნების ჩამოყალიბება.

3. აუდიტორია – მისი დიდი ნაწილი “გარემოების ამსახველი სურათის შესაქმნელად რამდენიმე სატელევიზიო არხის ინფორმაციას ადევნებს თვალყურს, ანუ სრული სანდოობა რომელიმე ტელეკომპანიისადმი, ჩვენს სინამდვილეში სამწუხაროდ, თითქმის გამორიცხებულია”- აცხადებს ჟან ბერტრანი სარანგეთისა და ამერიკის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, ორიგინალურობით არც საქართველო გამოირჩევა.

„მასობრივი ინფორმაციის სშუალებათა თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ჟურნალისტის, როგორც სოციალური ინსტიტუტის გააზრება “მეოთხე ხელისუფლებად”, ანუ ისეთ სტრუქტურად, რომელიც პირელი სამი ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) პარალელურად მოქმედებს. იდეა ჟურნალისტის მეოთხე ხელისუფლებად გამოცხადების შესახებ სათავეს ადამიანთა ბუნებრივი უფლებების კონცეფციიდან იღებს“. [3.85]

“მეოთხე ხელისუფლება” – “Watchdog” (ვონდოგი) მიანიშნებს ჟურნალისტის დანიშნულებას, “უყარაულოს და უთვალთვალოს” სახელისუფლებო სტრუქტურებს,

რათა მათ ზუსტად შეასრულონ ამომრჩეველთა და კანონის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობა. “ეზოს ძაღლის” ფუნქციის შესრულებისას მასმედია ევალება ხელი შეუწყოს მოვლენათა სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად გაშუქებას. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ნაკლოვანებათა გამოსააშკარავებლად კი არ “მეთვალყურეობს” ხელისუფლებას, არამედ მისი ინტერესების სადარაჯოზე დგას. მისი უმთავრესი დანიშნულება არის ის, რომ ჟურნალისტიკამ სწორად გააცნობიეროს ხელისუფლების მიერ ქვეყანაში გატრებული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ. პოლიტიკის მნიშვნელობა და დაეხმაროს მთავრობას საზოგადოებრივი პრობლემების მოგავრებაში. [2.87]

თანამედროვე ცხოვრებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დიდი ნაწილი (შეიძლება ითქვას, უმრავლესობა) მომხმარებელზეა ორიენტირებული, ანუ, მის მიზანს საქონლის გასაღება წარმოადგენს. “ამიტომაც ცდილობს დაარწმუნოს აუდიტორია, რომ საზოგადოებას სწორედ ის უნდა, რასაც თავად აწვდის. მომხმარებელზე ორიენტირებული მასმედიის მანიპულატორული ბუნება, კი დამანგრეველად მოქმედებს კულტურაზე. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა თვითონ მასმედიისთვისაც შეიძლება იყოს უარყოფითი შედეგის მომტანი. კერძოდ, დაკარგოს საუკეთესო პოზიციები და ამაყი “მეთვალყურეობა” “ნაგვის მქექავად” გადაიქცეს. [2.94]

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ყველა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში არსებობს. მათი ფუნქციონირების თავისუფლება და მნიშვნელობა კი არსებული რეჟიმის ხასიათზეა დამოკიდებული.

მიიხნევენ, რომ თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს დამოუკიდებელი მასმედია წარმოადგენს.

მასმედია დემოკრატიის გავლენას ხელს უწყობს შემდეგი გზით:

- ხელს უწყობს საჯარო დებატებს და პოლიტიკურ ჩართულობას
- მოქმედებს, როგორც „საჯარო მეთვალყურე“, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მხილების მიზნით

- ახდენს ძალაუფლებისა და პოლიტიკური გავლენის გადანაწილებას გეთავაზობს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც მოქმედებს დემოკრატია.

მსოფლიო საზოგადოებაში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები მომავალში ე.წ. მედიაკრატის დამყარების თაობაზე. იგი უკავშირდება ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციას, რომლის მიხედვითაც მასმედია გააკონტროლებს საზოგადოებრივი და საერთაშორისო ცხოვრების ყოველ სფეროს.

### ლიტერატურა:

#### References:

1. TaTaraSvili n. „teleJurnalistikis sakiTxebi“, Tb,
2. iberi e. „radioJurnalistika“, Tb. 2003
3. Рашкофф Дуглас. Медиавирус
4. <http://foreignpress.ge>
5. [http://www.caucaz.com/home\\_eng/breve\\_contenu.php?id=224&PHPSESSID=67b06c7f73f871904a0575d0a107d43f#](http://www.caucaz.com/home_eng/breve_contenu.php?id=224&PHPSESSID=67b06c7f73f871904a0575d0a107d43f#) .

### Nino Chalaganidze

#### Function of social control over the broadcasting

#### Summary

The society has everyday contact with mass media (newspapers, magazines, radio, TV, Internet), each of them are making influence on formation of different opinions. But the TV is especially interesting also because has incomparably a greater influence on society.

The TV broadcasting possesses advantage: it is accessible, the attention sound presence, the video-visual, efficiency. Other mass-media are not capable to unite all it in themselves so newspapers represent the printing information, radio \_ the sound. Receiving such message, about a society forced itself to "finish thinking" to recreate full representation about the received information. Influence of TV has to be considered by government and society.

It is necessary that the TV would realize its responsibility and general role while contacting with audience.

**Keywords:** mass media, video-visual, efficiency, government, society, influence of TV.

**Reviewer:** Professor Gulnara Maruashvili, Grigol Robakidze University

**Чалаганидзе Нино Шотаевна**  
**Функция социального контроля в вещательных медиа**

**Резюме**

С средствами массовой информации общество сталкивается ежедневно (газеты, журналы, радио, ТВ, интернет), каждое из них формирует то или иное мнение. Но телевидение особенно интересно еще и потому, что имеет несравненно большее влияние на общество. Телевидение обладает преимуществом: оно доступно, привлекает свое внимание наличием звука, видеоизображением, оперативностью, массовостью. Другие СМИ не способны все это объединить в себе, так газеты представляют печатную информацию, радио звуковую. Получая такую весть, общество вынужденно дополнительно само "додумывать", дабы воссоздать полное представление о полученной информации. Влияние телевидения столь значительно, что это необходимо осознать обществу и государству.

Необходимо, что бы телевидение играло не только роль всеобщего раздражителя, навязывающее людям свои вкусы и пристрастия, но и понимало свою ответственность, которые накладывает открытый доступ в дома миллионов людей.

**Ключевые слова:** средства массовой информации, видеоизображение, оперативность, общество, государство, влияние телевидения.

**Рецензент:** Профессор Маруашвили Гульнара Ромвновна, Университет им. Григола Робакидзе

**ეთერ შამანაძე**  
**ინფორმაციული ზემოქმედების ტექნოლოგიები**  
**სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის სისტემაში**  
**და მასობრივი კომუნიკაციის მართვა**

ინფორმაცია გლობალური ცნებაა, რომელიც განსაკუთრებულ, საწყისი მატარებლისგან განკერძოებულ, ცოდნის ფორმას წარმოადგენს. ინფორმაციის გლობალურობიდან, როგორც ფილოსოფიური კატეგორიიდან, სრულებით არ გამომდინარეობს, რომ იგი შეიძლება რომელიმე გლობალური სოციალური სტრუქტურის, კერძოდ, გლობალური ინფორმაციული საზოგადოების საფუძველი გახდეს. უფრო მეტიც, საზოგადოების გლობალიზაციის იდეა ისტორიული განვითარების ძირითად, ისტორიული განვითარების პრაქტიკის სოციალური სტრუქტურების გლობალიზაციის (სოციალური გლობალიზაციის) თეორიული იდეისადმი შესაბამისობის საკითხია.

ტერმინი „ინფორმაცია“ (ლათ. **informatio** – განმარტება, შეტყობინების გადმოცემა) თავისი საერთო, ზოგადი გაგებით არის მატერიის და ენერჯის განსაზღვრება დროსა და სივრცეში, ცვლილებების ზომა, რომელიც ახასიათებს მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერ პროცესს.

გამოკვლევებში, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის გაგებასთან, მრავალი გადაუჭრელი კითხვაა. დღემდე გრძელდება დისკუსია არის თუ არა ინფორმაცია ნებისმიერი მატერიალურის თვისება, თუ მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმების, ან მოაზროვნე, გააზრებულად მოქმედი არსებებისთვისაა დამახასიათებელი.

ინფორმაციის განსაზღვრების შესახებ განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებია ჩამოყალიბებული და ასახული ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქართველ მეკვლევართაგან, ინფორმაციის ზოგად და ცალკეულ ასპექტებზე ნაშრომები გამოაქვეყნეს ჰ.კუპრაშვილმა, გ.ნოვოვადემ, გ.სურგულაძემ, ო.შონიამ, ა.ბარნოვმა, ვ.ჭავჭავანიძემ, გ.კვაშილაძემ და სხვ.

ჰ. კუპრაშვილი აღნიშნავს: ”დღეს საზოგადოების (და ბუნების) განვითარებაში ინფორმაციის როლის ახლებურად გააზრება, აგრეთვე ინფორმაციის, როგორც

ცივილიზაციის შემდგომი განვითარების სტრატეგიული რესურსისა და მამოძრავებელი ფაქტორის ათვისება, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, მას არა მარტო ზოგადმცნეიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ იგი ცივილიზაციის შემდგომი ბედის განმსაზღვრელიც არის.”

გ. ჩოგოვაძე ინფორმაციას შემდეგნაირად განმარტავს: ”ინფორმაცია რეალური სამყაროს ასახვაა ცნობების (შეტყობინებების) დახმარებით. შეტყობინება ინფორმაციის წარდგენის ფორმაა სიტყვით, გრაფიკებით, ცხრილებით, ძაბვის ცვლილებით სატელეფონო არხში, რადიო და ტელეარხებში. ინფორმაცია, ფართო გაგებით, ცნებაა, რომელიც დაკავშირებულია ცნობების მიმოცვლასთან ადამიანებს შორის, სიგნალების მიმოცვლასთან ბუნების ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებს შორის და ა.შ.

როგორც მართვის ობიექტი ინფორმაციული სივრცე მიეკუთვნება რთულ დინამიურ ობიექტს ბოლომდე არაპროგნოზირებად რეაქციას მართვის ზემოქმედებაზე. ინფორმაციული სივრცისათვის მახასიათებელია სუბიექტისათვის დაფარული მართვა ობიექტის მიერ და კავშირები.

ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციალური სისტემის მართვა ხორციელდება ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ორგანიზაციული ტექნოლოგიის კომპლექსის მეშვეობით.

ფსიქოლოგიური ზემოქმედება - ეს არის ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენის საშუალება (ცალკეულ ინდივიდზე ან ჯგუფებზე) რომლის მიზანია იდეოლოგიური ან ფსიქოლოგიური სტრუქტურის შეცვლა, ემოციური მდგომარეობის ტრანსფორმირება, გარკვეული ტიპის მოქმედებების სტიმულირება, რისთვისაც გამოიყენება აშკარა ან ფარული ფსიქოლოგიური იძულება. ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხშირად გამოიყენება ტექნოლოგიის ფორმით ფარულად იმოქმედო პიროვნებაზე ან/და ინდივიდზე.

სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკა (სიპ), როგორც ფედერალური ორგანოების საქმიანობა სახელმწიფო ძალაუფლებაში ნაციონალური ინტერესების მისაღწევად ახორციელებს თავის ფუნქციებს სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობების განსახორციელებლად.

მას მიეკუთვნება შემდეგი მოთხოვნები ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის.

1. ეფექტურობა - სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის ეფექტურობა და საკითხების გადაწყვეტა.

2. ტექნოლოგიების მოსახერხებლობა - ტექნოლოგიები უნდა იყოს მოსახერხებელი ნებისმიერი სუბიექტისთვის გამოსაყენებლად.

3. უნივერსალურობა - ტექნოლოგიები უნდა იყოს ეფექტური ნებისმიერ ობიექტზე ზემოქმედებისთვის.

ტექნოლოგიები უნდა იყოს ადვილად მოდიფიცირებადი ცვალებადი მოთხოვნილებების და პირობების დროსაც.

ტექნოლოგიები უნდა მოიცავდეს ჰუმანიზმის პრინციპებს, მორალს, სინდისური პოლიტიკის ბრძოლებს, უსაფრთხოებს გარანტიებს და ზემოქმედების მაღალ ხარისხს.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტექნოლოგიური მასობრივ ინფორმაციულ პროცესებში ეფუძნება მასობრივი ინფორმაციული სისტემების და მასობრივი კომუნიკაციის გამოყენებას აუდიტორიის მასობრივ და ინდივიდუალურ აზროვნების ზემოქმედებაზე. ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტექნოლოგია მასობრივი ინფორმაციული საშუალებების მეშვეობით გამოიყენება მთავრობის მიერ არა მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ან საკუთარი თანამოაზრეების მხარდასაჭერად საზღვარგარეთ, არამედ ასევე “საჭირო” ინფორმაციული ზემოქმედების განსახორციელებლად ქვეყნის შიგნით საზოგადოებაზე.

საზოგადოებაზე ზემოქმედების ძირითადი ტექნოლოგიებია:

1. მანიპულირება ჭეშმარიტი ინფორმაციით. (აქ იგულისხმება კომუნიკატორის მიერ ჭეშმარიტი ინფორმაციის ისეთნაირად გამოყენება, რომელიც ემსახურება მის ინტერესებს და მიზნად ისახავს საზოგადოებაზე ზემოქმედების განხორციელებას. ჭეშმარიტი ინფორმაციით მანიპულირება, ერთ-ერთი სახეა საზოგადოებრივ აზროვნებაზე ზემოქმედებისთვის. წარმოდგება ინგლისური სიტყვისგან “truth projection” - სიმართლის პროექტირება და არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური

ზემოქმედების ფორმა. ცნობილია, რომ ინფორმაციული სივრცე მხოლოდ აღნიშნავს, როგორც სარკეში ჭეშმარიტ მოვლენებს. ამავე დროს “სარკე” შეიძლება ფლობდეს თავის “გამჭირვალობას”, “ფერთა გამას” “შეხედულ ზომებს” და სხვა “დეფექტებს”, ხდება ხელოვნური ზემოქმედებით ამ “დეფექტების” გამოწვევა. ნაწილობრივ ამის დამსახურებით, ნაწილობრივ კი ინფორმაციული სივრცის ბლოკირებით ან აკრძალვებით, პოლიტიკისთვის მისაღები დასკვნებით შეიძლება მიიღო და გამოიწვიო აუდიტორიაში საჭირო რეაქციები, რომელიც იქნება არაადეკვატურად მოქმედი რეალურ მოვლენებთან მიმართებაში.)

2. ინფორმაციის ფრაგმენტალური წარმოდგენა. (კომუნიკატორის მიერ ინფორმაციის იმ ნაწილების წარმოდგენა, რომელიც მისთვისაა მისაღები და ემსახურება მის მიზნებს.)

3. აუდიტორიის ყურადღების გადატანა ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი, მაგრამ გახმაურებისთვის პოლიტიკურად არასასურველი ინფორმაციიდან ინფორმაციული მასალის უხარისხო წარმოდგენაზე.

4. ინფორმაციული მასალების გახმაურებისთვის შესაფერისი მომენტის შერჩევა.

5. ორსაფეხურიანი კომუნიკაციური დინება: რაც გამოიყენება კომპეტენტური პირების მიერ კომენტარებში, რომელსაც პატივს სცემს საზოგადოება.

6. წამყვანების და მიმზიდველი ხალხის გამოყენება, რომლებიც მეტნაკლებად დამაჯერებლები არიან იმ შემთხვევაში, როცა დიდ როლს თამაშობს სუბიექტური შეხედულება და სხვა.

ინფორმაციული პოლიტიკა - სუბიექტთა მოქმედება თავიანთი ინტერესების რეალიზაციისათვის, ინფორმაციის გარკვეული სახით ფორმირება შენახვისა და გადაცემისათვის.

პოლიტიკურ პროცესში აქტიურად გამოიყენება მანიპულაციური პოლიტიკური ტექნოლოგიები. ყველა მანიპულაციური პოლიტიკური ტექნოლოგია მოქმედებს ადამიანის საქციელიდან გამომდინარე ფუნქციონალურ და დროით დიაპაზონში. მათი ეფექტურობის ხარისხი განისაზღვრება ადამიანთა სუბიექტური განვითარებით და მოტყუებისთვის მზადყოფნით. ადამიანები ნებას აძლევენ



მოახდინონ მათით მანიპულირება, გადააბარონ საკუთარი პასუხისმგებლობა მანიპულატორ პირს.

ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის წმინდა ინტუიციურიც კი, გაუაზრებლად ყოველთვის ხვდება, როცა მისით მანიპულირებენ, მაგრამ აძლევენ მათ ამის უფლებას, რათა სწორედ ეს მანიპულაცია აძლევს მათ საშუალებას განახორციელოს ის რაც დიდი ხანია სურს, მაგრამ რატომღაც არ აძლევდა საკუთარ თავს ამის უფლებას. ამ სფეროში სხვადასხვა თანმიმდევრობით გამოიყენება მანიპულირების მსგავსი სქემები.

ნებისმიერი ზემოქმედებისთვის აუცილებელია სიმართლის არსებობა და მისი გარკვეული რაოდენობით დოზირება, როგორცაა მაგალითად პოლიტიკური მითები. პოლიტიკური მითი იქმნება გეგმის შესაბამისად. ახალი მითები წარმოიქმნება არა სპონტანურად, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში მონაწილე სპეციალისტების მიზანმიმართული შრომით. თანამედროვე დროში მითი ესაა ფსიქოლოგიური ზემოქმედების და ბრძოლის ცენტრალური პუნქტი. შექმნილი მითები იძლევა მსოფლიოს დამახინჯებულ სურათს და აიძულებენ ადამიანებს იმოქმედონ თავიანთი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

“მიფოლოგიზაციის” პროცესში ქრება რეალური ადამიანური შტრიხები და საზოგადოებრივი ცხოვრების სცენაზე გამოდის გმირი, რომელიც ამარცხებს არა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს კონკურენციაში, არამედ “ურჩხულებს.” მითოლოგიური სახის შესაქმნელად და გასაძლიერებლად გამოიყენება მეთოდები, რაც შემუშავებულია ფსიქოლინგვისტიკაში, პროგრამირების ნეიროლინგვისტიკაში, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში. ყველა ესენი გამოიყოფა ზემოქმედების მაღალი ეფექტურობით. თავიანთ ძირითად ამოცანას ბევრი პოლიტიკური იმიჯმეიკერი ახორციელებს ამომრჩეველთა სურვილების მიხედვით.

ინფორმაციული პოლიტიკის ობიექტი არის საზოგადოების ცხოვრების ინფორმაციული სფერო - ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, ინფორმაციული საქმიანობა, ფორმირება, გავრცელება და ინფორმაციის გამოყენება და ასევე უმაღლესი რეგულირების სისტემები და საზოგადოებრივი ურთიერთობები.

“საზოგადოება, როგორც ინფორმაციული ზემოქმედების ობიექტი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საზოგადოებრივი ცოდნის მდგომარეობა.”

ინფორმაციული პოლიტიკის საგანი - ინფორმაციული სფეროს განვითარების ტენდენცია, “საზოგადოებრივი ინფორმაციული ურთიერთობების” ინფორმაციული სფეროები, ანალიზის მეთოდი და პროგნოზი განვითარების შესაძლო ვარიანტებისა.

მასობრივი კომუნიკაციის როლი საზოგადოებაში არის სუბიექტების მიერ ინფორმაციული მოდულოების წარმოსახვა, რათა მოახდინო მართვის ზემოქმედება მასობრივ აზროვნებაზე.

მასობრივი კომუნიკაცია ეს არის ღია მოუწესრიგებელი პროცესების მოწესრიგება, სოციალურად მნიშვნელოვანი (ღირებული) ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მოქმედებს ხალხის აზრზე, შეფასებასა და მოქმედებაზე.

მასობრივი კომუნიკაცია ხასიათდება: აუდიტორიის ყურადღების გაფანტვით, ფართო მასშტაბიანი კომუნიკაციური პროცესების რაოდენობით, რომელიც ხორციელდება ტექნიკური საშუალებებით, ინფორმაციის გადაცემით ერთდროულად სხვადასხვა არხების მეშვეობით, ნებისმიერი მსურველისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

მასობრივი კომუნიკაცია გამოიყენება ადამიანთა გონებაზე მანიპულირებისათვის. მასობრივი კომუნიკაციის ბევრი მკვლევარი თვლიდა, რომ მისი ხასიათი და მიზანი, როგორც იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, მართვა, პროპაგანდა, კულტურის გავრცელება, რეკლამა განისაზღვრება საზოგადოების სოციალური ბუნებით. (ხასიათით)

ინტერაქტიულ მასობრივ კომუნიკაციაში ინტერაქტიულობის პრინციპი ნიშნავს უარს კომუნიკაციის იმ გაგებაზე, რაც გულისხმობს ურთიერთობას სუბიექტ-სუბიექტს შორის. ინტერაქტიულ კომუნიკაციაში შეტყობინების ინიციატორი არის კომუნიკაციის ისეთივე სრულყოფილი მონაწილე, როგორც შეტყობინების მიმღები. თუმცა რეალურად მანიპულირების მიღება შეიძლება არანაკლებად იყოს განხილული, როგორც

მანიპულირების ობიექტი, თუმცა ამავე დროს მას ექმნება ან უნარჩუნდება “თანასწორობის” ილუზია.

მასობრივი კომუნიკაციის სუბიექტი – ესაა სუბიექტი, რომელიც მონაწილეობს მასობრივ ინფორმაციულ გაცვლაში და იყენებს ელექტროკავშირების თანამედროვე ხელსაწყოებს.

თანამედროვე საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში მასობრივი კომუნიკაციის პროცესი არის მნიშვნელოვანი საშუალება სუბიექტის ობიექტზე ზემოქმედებისთვის და სახელმწიფოს მართვის განხორციელების ელემენტი. მასობრივი ინფორმაციის როლი საზოგადოებაში არის სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიწოდება და მართვის ზემოქმედების მოხდენა მასების აზროვნებაზე.

მასობრივი კომუნიკაცია შეიძლება იყოს მართვის ობიექტი. პოლიტიკურ ბრძოლასა და ეკონომიკურ კონკურენციაში გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგიები მასობრივი კომუნიკაციის მართვისა - ე.წ. პიარტექნოლოგიები.

მართვის ტექნოლოგიის მთლიანი სახე რეალიზდება კავშირის და ურთიერთობების საშუალებებში. (PR)

PR - მმართველის მოღვაწეობა, მიმართული ურთიერთსასარგებლო ჰარმონიული ურთიერთობების მოსაღწევად ორგანიზაციებში და საზოგადოებებში, რომელზეც დამოკიდებულია ამ ორგანიზაციის ეფექტური არსებობა.

PR – თავისი არსით ინფორმაციული ტექნოლოგიაა, ინფორმაციული მართვის ტექნოლოგია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. PR წარმოადგენს ორგანიზაციის მოღვაწეობის დამოუკიდებელ სახეს.

ინფორმაცია ზემოქმედებს ობიექტზე, მოქმედებს მასზე, ცვლის მის მდგომარეობას. ამის შესახებ მონაცემები გადაიცემა უკუკავშირის არხების მეშვეობით, საპასუხო რეაქციის მოხდენისთვის.

თეორიული გამოკვლევების მეთოდი გახდა PR-ის სტრატეგიის და ტაქტიკის საბაზისო საფუძველი. PR-ტექნოლოგიის აშენების ძირითადი სქემა არის კომუნიკაციური ფორმულა, შემოთავაზებული ლასველის (Lasswell) მიერ 1942 წელს. ლასველის სოციალური

მოდელის აზრი მდგომარეობს შემდეგ შეკითხვებზე საპასუხო რეაქციაში:

ვინ გვატყობინებს? რას გვატყობინებს? ვის ატყობინებს?

რა არხის მეშვეობით? რა ეფექტისთვის?

PR-პროგრამის შექმნისთვის საჭიროა კომუნიკატორის გაანალიზება და შეფასება, ასევე შეტყობინების შეფასება, კომუნიკაციის საშუალება, აუდიტორიის მახასიათებელი და შეტყობინების ზემოქმედება.

PR-ტექნოლოგიის განვითარება დამოკიდებულია მენეჯმენტის რეკლამირებით შემუშავებულ კონცეფციასა და მოდელზე. ასეთი ფართო გამოყენება ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მიიღო რეკლამის ზემოქმედებით, რომელიც შეიმუშავა 1898 წელს ლევისსიმმა. ამ კონცეფციის ფარგლებში ჩამოყალიბდა აიდა-კანონი (Aida), რომელიც გულისხმობს შემდეგ ფორმულას: “ყურადღება – ინტერესი – სურვილი – მოქმედება”

ეს კი ქმნის რეკლამის ზემოქმედების ძირითად საკითხებს და ეტაპებს.

ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ განსხვავება რეკლამასა და PR-ს შორის მხოლოდ იდეოლოგიურია. PR-მოდელზე ორიენტირებულია არა საქონლის წინსვლაზე, არამედ ორგანიზაციის და არა ბაზრის, არამედ საზოგადოების.

ორგანიზაციის თანამშრომლებთან მიმართებაში PR-ს სხვანაირად კიდევ ადამიანურ ურთიერთობებს (“human relations”) ან ორგანიზაციის ურთიერთობებს (“corporate relations”) უწოდებენ. ზოგჯერ მას “კორპორატიულ PR – საც” უწოდებენ. კორპორატიული PR – ის მთავარი ამოცანაა დადებითი კლიმატის შექმნა ორგანიზაციაში. შიდა PR – ს ახორციელებს PR – ის განყოფილება ან PR – სპეციალისტები, იმ შემთხვევაში თუ არ არის შესაძლებელი სპეციალური განყოფილების ცალკე შექმნა.

როცა PR – ის მიზნები დაფიქსირებულია, შემდეგ ხდება პროგრამის შემუშავება. მიზნები შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის იქმნება ახალი შესაბამისი პროგრამა. მიიჩნევენ, რომ PR რაღაცით გავს ჭადრაკს, რადგან იგი

გულისხმობს: 10% ინტუიციას, 25% გამოცდილებას და 65% შემოქმედებით შრომას.

ფრენკ ჯუფკინის გეთავაზობს PR – პროგრამის მისეულ მოდელს, რაც მოიცავს 6 შემადგენელ საფეხურს:

1. სიტუაციის შეფასება.
2. მიზნის განსაზღვრა.
3. აუდიტორიის განსაზღვრა.
4. მასობრივი კომუნიკაციის და ტექნოლოგიური ზემოქმედების არხების შერჩევა.
5. ბიუჯეტის დაგეგმვა.
6. რეზულტატების შეფასება.

გამოხატვის მიხედვით, PR კამპანიები იყოფა “ჰარდ” და “რბილ” კამპანიებად:

“ჰარდ” PR კამპანია (Hard Relations) ახლოსაა თავის არსით და ზომებით ინტერესის სტიმულირებასთან და აუდიტორიის აქტიურ მოზიდვასთან. ასეთ კამპანიას აქვს მოკლევადიანი მიზნები, რაც ძირითადად მოიცავს საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ისეთიანად, რომ განახორციელო მასზე სწრაფი ზემოქმედება.

“რბილი” PR კამპანიის (Soft Relations) მიზანია არა მხოლოდ შეტყობინების გაკეთება ორგანიზაციის პროექტზე ან პროგრამაზე, არამედ ასევე კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა ამ პროგრამის გარშემო. ყველაზე ხშირად ესაა ემოციონალური ზემოქმედების სტრატეგია, რაც თამაშობს პიროვნების დრამა მოტივებზე, ეხება გრძნობებს. ასეთ PR კამპანია გათვლილია აუდიტორიაზე საშუალო ვადების ზემოქმედების მოხდენისთვის. იგი მუდმივად ცვლის პოტენციური აუდიტორიის განწყობას, იწვევს მათში ასოციაციებს.

კომუნიკაციის პროგრამის წარმატებულობა დამოკიდებულია ნაწილობრივ სეგმენტის განსაზღვრასა და აღწერასთან. გამოიყოფა სეგმენტები რთული მახასიათებლებით, როგორცაა: ფსიქოლოგიური და ქცევითი.

მანიპულირების მართვის პროცესში მონაწილეები განსხვავდებიან ჩვეულებრივი მართვის პროცესის მონაწილეებისგან, რომლებიც ხასიათდება უპირველეს ყოვლისა მართვის სუბიექტის ინტერესების

დაკმაყოფილებით და როგორც წესი ობიექტის ინტერესები იგნორირებულია.

ინფორმაციული მართვის ეფექტურობა გამოწვეულია იმით, რომ ცალკეულ ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს სიტუაციის სრული ანალიზი სიტუაციის, რათა მოახდინოს დიდი რაოდენობით ინფორმაციის გადაშუშავება და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება დროის სიმცირის პირობებში.

ინფორმაციული პოლიტიკისთვის მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული სივრცის განხილვას, არა როგორც ფიზიკური, არამედ როგორც სოციალური ტიპის სივრცის სახით. მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორი, რომელიც იძლევა მისი ასეთი სახით განხილვის შესაძლებლობას არის ის, რომ სხვა სივრცეებისგან განსხვავებით, სადაც ფიზიკურს ამარცხებს გეოგრაფიული ძალაუფლება, ინფორმაციულ სივრცეში იქმნება ინფორმაციისა და ცოდნის ძალის სტრუქტურა.

ინფორმაციულ სივრცეში არ არის საზღვრები და ტერიტორია. ინფორმაციულ სივრცეში ინფორმაციული პოლიტიკისთვის მნიშვნელობა აქვს მის იმ კომპონენტებსა და პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც ინფორმაციულ პოლიტიკას შეუძლია ზემოქმედების მოხდება პიროვნებათა ქცევებზე, პერსპექტივებზე, რომელთა მეშვეობითაც შეუძლიათ მოახდინონ სისტემის კონტროლი, გაამრავლონ რესურსები.

დ. ელემის (აშშ) მიხედვით, ინფორმაციული სივრცე მოიცავს ყველა ობიექტს, რომლებიც ერთმანეთთან ინფორმაციული კავშირში არიან შესულები და ასევე ამ ურთიერთობის ტექნოლოგიებს.

ინფორმაციული სივრცე პრინციპში არღვევს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას, რითაც განსხვავდება ფიზიკური ტიპის სივრცისგან.

ინფორმაციული სივრცე არის ადამიანთა მოღვაწეობის სფერო, პროფესიული ჯგუფების, სახელმწიფო მართვის, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების სფერო. ე.ი. ნებისმიერი სუბიექტის ქცევა, დაკავშირებული თანამედროვე ინფორმაციის მთლიან ან ნაწილობრივ გამოყენებასთან.

მსოფლიოს ყველა ინფორმაციული სივრცის ერთმანეთთან დაკავშირება ფაქტიურად შლის ყველანაირ

საზღვარს ქვეყნებს შორის, რაც არის გლობალიზაციის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სტიმული და ამავე დროს ამ პროცესის შედეგი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ინფორმაციული საზოგადოება უკვე აქტიური ჩამოყალიბების პროცესშია. აქ იგულისხმება მთლიანი საზოგადოება, რომელიც ინფორმაციულ ერაში შევიდა. თავის მხრივ კი, ინფორმაციული ერა იწყება იმ მომენტიდან, როცა საზოგადოების არსებობის ძირითადი ფუნქციების უზრუნველყოფა ხდება ინფორმაციული საშუალებების გამოყენებით, რაც კარდინალურად ცვლის თავად საზოგადოების არსს.

### ლიტერატურა:

#### References:

1. H. Kuprashvili. "Sainformacio politika politikuri modernizaciis procesSi." politikis mecnierebaTa doqtoris samecniero xarixsis mosapoveblad warmodgenili disertacia." Tbilisi. 2002 (Georgian)
2. G. Chogovadze "Informacia: informacia, sazogadoeba, adamiani." Tbilisi. 2003 (Georgian)
3. O. Shonia, T Sherozia. "Informaciuli teqnologiebi da usafTxoeba." Tbilisi. 2008 (Georgian)
4. A.V. Manoilo. "Gosudarstvenaia informatsionnaia politika v osobix usloviax." Moskva. 2003. (Russian)
5. E.P. Tavokin. "Sistemnie osnovi gosudarstvennoi informatsionnoi politiki." Moskva. 2002. (Russian)

### Eter Shamanadze

#### The technologies of information influence in the system of state information policy and management of Mass communication

#### Summary

Information is global concept that means a special form of knowledge. In general it is sense of matter and energy definition changes in size, which characterizes any process in the world. In the researches that are related to the interpretation of information are many unsolved questions until now. The discussion is still going on whether is or not information characteristic for any materials' or if it is only typical for the living or deliberately operating creatures.

As the object of management, information space belongs to complex dynamic object, non predictable reaction till the end on the management influence. For the information space it is typical covered management on the subject by the management object and relations. (Communication)

Information Policy – the actions of subjects for the realization of their interests.

State Information Policy – (SIP) as the activities of federal agencies of state power in order to achieve national interest, implements its' functions for achieving social-political relations. Actively in political process is used manipulating political technologies. Every manipulating political technologies influences on human behavior and is based on the functional and time range.

Management technology realizes in the union of media and relations. (PR)

PR – In its sense is information technology to achieve the goals of the organization.

In conclusion must say, that in modern conditions the informational society is in progress of development. Here I mean the entire society which entered the information era, that cardinally changes the essence of society itself.

**Keywords:** Information, global concept, object of management, information space, management influence, covered management on the object, relations, communication, information policy, state information policy, national interests, social-political relations, manipulating political technologies, public relations, information society.

**Reviewer:** Professor Tengiz Grigolia, Georgian Technical University

**Шаманадзе Етер Каленикевна**  
**Технологии информационного воздействия в системе государственной информационной политики и Управление массовой коммуникацией**

### **Резюме**

Информация глобальное понятие, которое означает специальную форму знания. В общем смысле это определение вопроса и энергии в пространстве и времени, размер изменений, который характеризует любому процессу в мире. В



исследованиях, которые связаны с интерпретацией информации, до сих пор много нерешенных вопросов. Обсуждение все еще продолжается является или нет информация характерым для любого материала, или это только типично для преднамеренно операционных существ.

Как объект управления, информационное пространство принадлежит сложному динамическому объекту, это не предсказуемая реакция до конца на влиянии управления. Для информационного пространства типично скрытое управление на предмете объектом управления и отношения. (связь)

Информационная политика - Действие субъектов на реализацию общественных интересов.

Государственная информационная политика (ГИП), как деятельность федеральных органов государственной власти по достижению национальных интересов реализует свои функции для реализации социально-политических отношении.

В политическом процессе используется технологии воздействия. Каждая технология манипуляции влияет на человеческое поведение и основано на функциональном диапазоне и диапазоне времени.

Наиболее полно технологии управления массовой коммуникацией находят свою реализацию в т.н. технологиях связи с общественностью (Public Relations).

PR – по сути, информационная технология для достижения целей организации.

В заключении должен сказать, что в современных условиях информационное общество в процессе развития. Здесь я подразумеваю целое общество, который вошел в информационную эру, что кардинально изменяет непосредственно сама сущность общества.

**Ключевые слова:** Информация, глобальное понятие, объект управления, информационное пространство, скрытое управление, управления и отношения, информационная политика, государственная информационная политика, национальные интересы, социально-политические отношения, технология манипуляции, связи с общественностью, информационное общество.

**Рецензент:** профессор Григолия Тенгиз Бондоевич, Грузинский технический университет.

## ნათია კაჭარავა საქართველოს საბარემო უსაფრთხოება ახალ რეალობაში

მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ ეპოქას - პლანეტარულ ძალთა ბიპოლარიზაციასა და „ცივი ომის“ დასაწყისს. ეს ორი უკანასკნელი აღნიშნული ეპოქის უმთავრესი მახასიათებელი იყო. „წმინდა“ სამხედრო დაპირისპირებას თან სდევდა იდეოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული დაპირისპირება. ორად გაყოფილი და დაპირისპირებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბლოკები სერიოზულ და მზარდ საფრთხეს უქმნიდა მთელ მსოფლიოს. ეს საფრთხე თანაბრად ეხებოდა ყველა ქვეყანას, პატარა თუ დიდი სახელმწიფოს.

სამხედრო შეიარაღებაში შეჯიბრმა თანდათანობით აბსურდული სიტუაცია წარმოშვა. უკვე 70-იანი წლებიდან აშკარა შეიქმნა, რომ არსებული სამხედრო არსენალის გამოყენება პლანეტის განადგურებას გამოიწვევდა; მარტივად, რომ ვთქვათ, ბირთვული ომის შემთხვევაში გამარჯვებული და დამარცხებული მხარე არ იარსებებდა იმდენად, რამდენადაც არ იარსებებდა ჩვენი პლანეტა. აბსურდი იყო ისიც, რომ შეიარაღება კვლავ იზრდებოდა.

ამ პროცესის დასრულება განაპირობა აღმოსავლეთის ბლოკის შინაგანი რესურსების გამოფიტვამ. ნებისთ თუ უნებლიეთ, საბჭოთა კავშირის კაპიტულაცია იყო ყველაზე რაციონალური გადაწყვეტილება. ბიპოლარული სისტემის „გაუქმებამ“ დღის წესრიგიდან მოხსნა პლანეტარული კატასტროფის საფრთხე.

მაგრამ მსოფლიო ძალთა ცვლილებამ მრავალი ახალი საფრთხეები წარმოშვა. ეს განსაკუთრებული შეეხო პოსტსაბჭოურ სივრცეს. რაც არ უნდა პარადოქსალური იყოს, ფაქტია, ბიპოლარულ რეჟიმში მრავალი ქვეყანა (მათ შორის მომცრო სახელმწიფოები) დაცულნი იყვნენ საგარეო საფრთხეებისგან. „ცივი ომის“ პირობებში. ვიდრე სტაბილური დაპირისპირება იზრდებოდა, საბჭოთა რესპუბლიკების უსაფრთხოებაც სტაბილური იყო.

„ცივი ომის“ ეპოქის დასასრულმა კი ლოგიკურად განაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლა და კომუნისტური სივრცის ტრანსფორმირების აუცილებლობა. თავის მხრივ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოდერნიზაცია

მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიზაციას. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა ფორმალური დამოკიდებულობა გულისხმობდა პოლიტიკურ დეზინტეგრაციას, რომელიც ძალზე სწრაფად განხორციელდა. უფრო რთული იყო რეალური დამოუკიდებლობის მოპოვება. რეალური დამოუკიდებლობა მოითხოვდა სოციალური, ეკონომიკური, ევრონული, კულტურული და სხვა პარამეტრებით დეზინტეგრაციას და პოსტსაბჭოური ქვეყნების ურთიერთობის სრულიად ახალ პრინციპებზე დამკვიდრებას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სუვერენიზაციისა და საბჭოთა სისტემის დეზინტეგრაციის სირთულე თეორიულად კარგად ესმოდათ მაშინდელ პოლიტიკურ მესვეურებს. მაგრამ პრაქტიკაში მან სტიქიური ხასიათი მიიღო და პოსტსაბჭოური ქვეყნები უაღრესად მრავალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ამასთან დაკავშირებით ვიტყვით, რომ დეზინტეგრაცია თავისი არსით ნიშნავს მთელის დაშლას, მთლიანის შემადგენელი ნაწილების დანაწევრებას. ისტორიაში ამგვარი ფაქტები მრავალად მოიპოვება. მაგრამ ლაპარაკია იმაზე, თუ რა მეთოდით ხორციელდება დეზინტეგრაცია. როგორც ჰ.სპენსერი იტყვოდა, ესაა განვითარების უმაღლესი ტიპიდან პირუკუსკენ მოძრაობა. რიგ შემთხვევაში ეს მოძრაობა ევოლუციური ხასიათისაა, ხოლო ზოგჯერ სტიქიური. პირველი მათგანი ნაკლებზარალიანია, მეორე კი მსხვერპლიანი და მტკივნეული. სწორედ ამ უკანასკნელი გზით ხდებოდა სსრ კავშირის დეზინტეგრაცია.

შეიძლება გადაჭარბების გარეშე ითქვას, საქართველო ამ მხრივ აღმოჩნდა განსაკუთრებულად რთული პრობლემებისა და მრავალი საფრთხის წინაშე. მათ შორის უმთავრესი იყო და არის გეოპოლიტიკური და ეთნიკური საფრთხეები.

ნებისმიერი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა საგარეო უსაფრთხოებით განიზომება. ასეთი მიდგომა დომინირებდა ზოგადად ყველა ქვეყანაში და ყველა ეპოქაში. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორია არის უსაფრთხოებისათვის ბრძოლა. ამ ომებში „იკარგებოდნენ“ და ქრებოდნენ სახელმწიფოები და, მათ შორის ერთ დროს დიდი და ძლიერი სახელმწიფოებიც... ერთნი

სუსტდებოდნენ და მეორენი ძლიერდებოდნენ. აღნიშნული პროცესი მუდმივი მოცემულობა იყო და იგივე ხდება დღესაც .

არსებითი ისაა, რომ დიდი და ძლიერი სახელმწიფოები პატარა და სუსტი სახელმწიფოების ხარჯზე „წარმოიშობიან“. რა თქმა უნდა, თანამედროვე სარეთაშორისო სამართლის პირობებში სხვათა ტერიტორიების სამხედრო ანექსია ღია და ცალსახა არაა, მაგრამ მომცრო სახელმწიფოთა უსაფრთხოება მაინც მყიფეა. თუნდაც კოსოვოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ისევ მოქმედებს რ. ჩელინის ცნობილი დებულება - ძალა სამართალზე მაღლა დგას.

რა თქმა უნდა, გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, მომცრო ქვეყნების ნაწილს საკმაოდ მყარი უსაფრთხოება გააჩნია (შვეიცია, დანია, ავსტრია, შვეიცარია, იტალია და სხვა). მაგრამ ეს აისახება აღნიშნული ქვეყნების გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული უსაფრთხოებითა და მისი შესატყვისი სტრატეგიით.

აქედანვე ვიტყვი, რომ საქართველოს უსაფრთხოება და საერთოდ ისტორია განპირობებული იყო გეოსტრატეგიული მდებარეობით. ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა იყო და არის განსაკუთრებულად მიმზიდველი სივრცე. დიდი სახელმწიფოებისთვის საქართველო დასაბამიდან დღემდე ხელსაყრელი პლაცდარმია. იგი მსხვილ სახელმწიფოთა შორის ბუფერულ ზონად აღიქმება და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, მოქიშვე ქვეყნებისათვის როგორც თავდაცვის, ისე შეტევის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. იტსორიულ წარსულში საქართველოს მესვეურები ყოველთვის ხან ერთი, ხან მეორე ქვეყნის პროტექტორობაში ექცეოდა.

ასეთი პირობითი უსაფრთხოება უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ერის ფიზიკურ გადარჩენას უზრუნველყოფდა. სრულიად განსხვავებული და დაპირისპირებული ინტერესთა გადაკვეთის ეპიცენტრში სხვა გამოსავალი ფაქტობრივად არც არსებობდა. ჭრელ გეოპოლიტიკურ სივრცეში საქართველო ყოველთვის ექებდა მყარ დასაყრდენს, რომელიც შეაჩერებდა სხვადასხვა ძალებს

შორის ჩვენი ქვეყნის გამუდმებულ „გადაბარგება-გადმობარგებას“. ეს ძიება უშედეგო აღმოჩნდა და საქართველომ ისედაც მყიფე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დიდი ხნით დაკარგა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ კვლავ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ, ეს იყო ფორმალური და არა რეალური დამოუკიდებლობა. რეალური დამოუკიდებლობისათვის საჭირო იყო ორი ურთიერგანპირობებული ამოცანის ერთდროული გადაჭრა: პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაცია და საგარეო უსარფხოების უზრუნველყოფა. სირთულე იმაში მდგომარეოდა, რომ პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის გარეშე შევძლებელი იქნებოდა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის შეცვლა და პირიქით, ამ უკანასკნელის გარეშე ვერ განხორციელდებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიზაცია.

დამოუკიდებლობის დასაწყისშივე საქართველო გარე და შიდა ფაქტორების გამო სრულიად განსხვავებული ამოცანების წინაშე აღმოჩნდა (სამოქალაქო და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომი). აღნიშნულის უმთავრესი მიზეზი ნებისთ თუ უნებლით გამოწვეული იყო უწინარეს ყოვლისა, გეოპოლიტიკური ფაქტორის გაუთვალისწინებულობით. ცხადი იყო და არის, საქართველო საკუთარი ძალებით ვერ შეძლებს საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია შიდა სტაბილურობისათვის.

არავინ უარყოფს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მართლაც სწრაფად მოხერხდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება და ქაოსის აღკვეთა. ორი აზრი არაა, მან მნივშვნელოვნად დიდი როლი ითამაშა ბიზნესის განვითარებაში, სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდაში, კორუფციის აღკვეთაში და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ შიდა სტაბილურობა ქმნიდა საგარეო უსაფრთხოების წინამძღვარს და, რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას.

იგივე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „ხელისუფლების მოქმედებები მიანიშნებდა, რომ ქვეყნის მყარი უსაფრთხოება შესაძლებელი იქნებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქარველო მოიპოვებდა დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას. ისტორიული

წარსულისაგან განსხვავებით ლაპარაკია კოლექტიურ უსაფრთხოების სისტემაში საქართველოს გაწვევრიანებაზე. უნდა ითქვას ნატო-ზე არჩევანი და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება, როგორც მიზანი სავსებით გამართლებულია, სხვა საკთიხია, რამდენათ შეეძლებოთ მიზნის მიღწევას.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ვერ ან არ გავითვალისწინეთ ისეთი გეოპოლიტიკურ სუბიექტთან ურთიერთობის აუცილებლობა, როგორიცაა რუსეთი. ანტირუსული ისტერიით მხოლოდ ის შევძელით, რომ დაგვარგეთ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების შანსი.

მოკლედ რამდენიმე ძირითადი შეცდომისა და დასკვნების შესახებ:

- რუსეთის იგნორირება. ძლიერი თუ სუსტი რუსეთი ყოველთვის იყო და არის წამყვანი მოთამაშე არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მსოფლიოში. პოლიტიკური სისტემები ცვალებადია, უცვლელია ქვეყნების გეოპოლიტიკური მდებარეობა. მაშინ, როცა თანამედროვე ეპოქაში ყველა სახელმწიფო ცდილობს სასიცოცხლო სივრცის გაფართოებას, 2008 წელს ცხინვალის ომით საქართველომ „მოახერხა“ საკუთარი სივრცის შეკვეცა.

- ჩვენი საქმეა არა რუსეთის დემოკრატიულობის შეფასება და ამის მიხედვით მასთან ურთიერთობა. ქვეყნის ეროვნული ინტერესები არ განისაზღვრება არც პოლიტიკური რეჟიმით და არც გზატკეცილების მშენებლობით. მსოფლიო ვერასოდეს იქნება უნიფიცირებული კულტურულ-რელიგიური, სოციალური თუ პოლიტიკური ნიშნით. ეროვნული ინტერესების შესატყვისი პოლიტიკა არის საგარეო უსაფრთხოების უპირველესი პირობა.

- ეთნო-კონფლიქტებისა და აგრავსიულ სეპარატიზმს, მოგვიანებით კი აფხაზეთისა და ს/ოხეთის დაკარგვას ჰქონდა გარკვეული ობიექტური საფუძველი. საქართველოში ეთნოკონფლიქტების გაღვივებას ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთი ახორციელებდა. აღნიშნული კონფლიქტები რუსეთს აძლევდა საგარეო სარტყლის განმტკიცების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, ეთნოკონფლიქტები ჩვენთვის საგარეო და საშინაო საფრთხეს წარმოადგენდა და წარმოადგენს. გაყინული

ურთიერთობა რუსეთისათვის ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც დასავლეთმა და განსაკუთრებით აშშ-მა მოცემულ ვითარებაში დაკარგა რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტი. ასე რომ, ეთნოკონფლიქტები საქართველოსთვის არის როგორც შიდა ისე საგარეო პრობლემა.

- ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ უსაფრთხოების იმ კონცეფციით, რომელიც სამხრეთ-კავკასიის რეგიონში საქართველოს „მისცემს“ მშვიდობის დამკვიდრებაში აქტიური როლის შესრულების შანსს. საქართველოს საგარეო უსაფრთხოება გაცილებით უფრო ადვილად მისაღწევი იქნება, თუკი იგი შეძლებს რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში აქტიურობას. იზოლაცია რეგიონალურ სივრცეში, მაქსიმალურად გაყინავს საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებს.

- უპირველესი საფრთხე მომდინარეობს არასწორი, რეალობის არაშესატყვისი ეროვნული პოლიტიკიდან. საქართველოს ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ კავკასიელი ხალხი. ეროვნული უმცირესობათა ინტეგრირება საქართველოში მხოლოდ მოქალაქეობით არ მიიღწევა; არ მიიღწევა არც არჩევნებში მათი მონაწილეობით და არც შესატყვისი შინაარსის დეკლარაციებითა და კანონებით. როცა ორი რეგიონი უპირისპირდება დარანჩენ ქვეყანას ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობები საკუთარ თავს თანასწორ მოქალაქეებად არ მიიჩნევენ.

- ეროვნული უმცირესობის საკითხის გადაჭრა უადესად პრობლემაურია და, არა მარტო საქართველოსთვის. ესაა საერთაშორისო პრობლემა. მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოებში დიდი ხანია დგას უმცირესობათა საკითხის პრობლემა. ფაქტია, რომ დღეს-დღეისობით მსოფლიოში გაცილებით მრავალრიცხოვანია იმ ეროვნებების რაოდენობა, ვიდრე დამოუკიდებლობის ქვეყნები. ფაქტია ისიც, რომ საერთაშორისო სამართალი ვერ არეგულირებს ამ პრობლემებს. უფრო მეტიც, ბუნდოვანია გაერო-ს დებულება იმის შესახებ, რომ ყოველ ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება (ანუ, დამოუკიდებლობის უფლება), მაგრამ სახელმწიფოს საზღვრები შეუცვლელია. ფაქტია აღიშნული დებულება არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური

თვალსაზრისით გამართლებული არაა და ამიტომაც რომ გზა ეხსნება ძალადობას.

### ლიტერატურა:

#### References

1. z. abaSiZe, nato da saqarTvelo, utopiidan realobisaken;
2. a. rondeli, patara qveyana saerTaSoriso urTierTobebSi;
3. z. abaSiZe, civi omi;
4. a. rondeli, saerTaSoriso urTierTobebi, Tb., 2006
5. j. gaxokiZe, erovnuli usafrTxoebis ZiriTadi problemebi; „teqnikuri unversiteti” Tb.,2007
6. j. gaxokiZe, saqarTvelo, kavkasia da regionaluri usafrTxoebis politikuri memkvidreoba. Journ. „politika” #7-8 2003
7. Виктор Шнуреман. Воины памяти: Мифы идентичности и политика в Закавказье Москва: Академкнига, 2003
8. Trenin D. Russians Security interests and Policies in the Caucasus Region, in coppiectersed. Contected Borders in the Caucasus, <http://poei.vub.ac.be/>

### Natia Kacharava

#### External safety of Georgia in a new reality

#### Summary

In the present article we refer to such important questions, as they are the process of soviet des-integration after the “Cold war”; also short description and analyzes of those methods, which was followed to the above said process. According to it, I would like to outline that des-integration was passing chaotically and it was really noticeable the deficit of rational approach for discussing of difficult task.

For this, post-soviet countries were in difficult problems and dangers. It was especially referred to Georgia. Immediately, after finding of formal independence, separatization of Abkhazia and South Osethia was begin, which was soon overgrowing in armament conflicts.

It was evident, that ethno conflicts were initiative by the Russia. It means that, ethno conflict became as internal so the external danger for our Country. The situation was such, as two inter-



connection questions were to be discussed – democratization of a country and insuring of external safety.

It was also obviously, that Georgia could not discuss this great problem only by its forces. After “Rose Revolution” the priority was awarded to the integration in euro-Atlantic structures. At the same time, Georgian government was trying to create solid bases of relations in dialog regime directly with Abkhazia and South Osethia. Everything was done for one reason, that the life to gather Georgia was attractive for those countries which are standing aloof.

On this background, the war of August, 2008 was unexpected. Political Scientists and experts are given many different opinions and assessments till today. Generalization of these assessments gives me the base to make some conclusions:

Ignoring of interests and position of Russia was mistake. Russia would drawing into the war, it was easily recognized, but not Russian rhetoric, but because of the geo-political interests. Furthermore that Russia was openly directed us for the purpose of assertion of border zone.

Follow from the results of aforesaid war, Georgia was factually isolated in international relations; especially it is more noticeable in bounds of South Caucasus.

It is known, that despite of support of USA and NATO leaders, the question of membership of Georgia in North-Atlantic Alliance is postponed for a long time. As it is seen, heating of frozen situation will be depended upon the inter-political and international events of our Country.

**Keywords:** Decomposition, ethnoconflicts, a mode of dialogue, cooperation, deficiency of the rational approach.

**Reviewer:** Professor Jemal Gakhokidze, Georgian Technical University

**Качаравა ნათია ელგუჯოვნი**  
**Внешняя безопасность Грузии в новой реальности**

### **Резюме**

В представленной статье, мы коснулись вопросов, касающихся процессов советской дезинтеграции после окончания «Холодной войны», краткого обзора и анализа тех методов, которые следуют

за вышеупомянутым процессом. На этой основе, я хочу подчеркнуть, что дезинтеграция протекала хаотично, и явно был замечен дефицит рационального подхода для решения столь сложной задачи.

Вследствии процессов дезинтеграции, постсоветские республики оказались перед сложными проблемами и опасностью. В особенности сложности этих процессов коснулись Грузии.

После завоевания формальной независимости началась сепаратизация Абхазии и Южной Осетии, которая вскоре переросла в вооруженные конфликты. Стало ясно, что этноконфликты были инсценированы Россией. Это значит, что эти этноконфликты для нашей страны представляли собой как внутреннюю, так и внешнюю опасность. Создалась ситуация, когда перед Грузией стали две задачи: демократизация и обеспечение внешней безопасности страны.

Кроме этого, было очевидным, что Грузия была неспособна решить эти проблемы собственными силами. После «Революции Роз», приоритетом стал вопрос интеграции в евроатлантические структуры. Вместе с этим, руководство Грузии, максимально старалось создать крепкую основу для создания режима диалога между Абхазией и Южной Осетией. Все делалось для того, чтобы для отторгнутых республик был бы виден, очевиден соблазн сожительства и сотрудничества с Грузией.

На этом фоне неожиданными явились августовские события 2008 года, вызванные началом военных действий в Цхинвальском регионе. Политологи и эксперты до сих пор делают комментарии и заявления, радикально отличающиеся друг от друга. Различия этих заявлений, дают возможность сделать следующие выводы:

1. Было ошибкой игнорировать интересы и позицию России.
2. То что, участие России в военных действиях было неизбежным, можно было легко понять, не только из-за присутствия антирусской риторики, но и исходя из геополитических интересов, тем более, что Россия неоднократно заявляла о своем желании укрепить пограничный пояс. Исходя из итогов вышеупомянутой войны, Грузия оказалась практически изолированной в Международных отношениях. Особенно это было заметно в пределах Южного Кавказа.

Очевидно, что несмотря на поддержку США и стран НАТО, вопрос о вступлении в Североатлантический союз на неопределенное время остался открытым.

**Ключевые слова:** Дезинтеграция, этноконфликты, режим диалога, сотрудничество, дефицит рационального подхода.

**Рецензент:** профессор Гахокидзе Джемал Владимерович, Грузинский технический университет.

**ლევან ოსიპე, მანანა ჯუბაშვილი**  
**არჩევნები, როგორც პოლიტიკური სისტემის განახლების**  
**ტიპოლოგია**

პოლიტიკური სისტემა, როგორც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი, უნდა იმყოფებოდეს დინამიკური სტაბილურობის მდგომარეობაში, ანუ გაუძლოს საშინაო და საგარეო დესტაბილიზაციურ ზემოქმედებას და უზრუნველყოს საკუთარი განახლება და პროგრესი, მიიღოს და გაითავისოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინოვაციები (აღვნიშნავთ, რომ ამ გზაზე მოსალოდნელია სტაგნაციები და რეგრესიცი კი, მაგარამ ამჯერად ამგვარ ვარიანტებზე არ შევჩერდებით - ავტ.)

ჩვენი ყურადღება მიქცეული იქნება ისეთ განახლებებზე, როგორცაა: პოლიტიკური ინსტიტუტების ცვლილება, პოლიტიკური საქმიანობის სხვა სუბიექტების თუ პოლიტიკურ პარტიათა, გართიანებათა ფორმირება, რომელთაც შეეძლებათ კორექტივების შეტანა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში, ასევე ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში, სახელმწიფოს მოწყობის პრობლემებზე რეფერენდუმის ჩატარება-ორგანიზება, რომელთა შედეგი იქნება უფრო მეტად დემოკრატიული განვითარების პირობების ხელშეწყობა.

პოლიტიკური სისტემის მშვიდობიანი განახლებისათვის არჩევნებს უპირველესი მნიშვნელობა აქვს, თუმცა იმისათვის, რომ არჩევნები რეალურად იქცეს განახლებისა და სისტემის ცვლილების საშუალებად, აუცილებელია თავად ხელისუფლება იყოს დემოკრატიული, რათა ხელი შეუწყოს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. ფაქტია, რომ სწორედ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რამდენადაა მზად შეეგუოს არჩევნების შედეგებს, თუკი ეს უკანასკნელი არ იქნება მისთვის მისაღები. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსული, როდესაც ერთპარტიული კომუნისტური მმართველობის პერიოდში არ ხდებოდა სისტემის განახლება, რაც სამწუხაროდ შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა, როდესაც დემოკრატიული ხელისუფლების ნიღბით მოსული მთავრობა ყველაფერს აკეთებდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად და დაუფარავად აყაღებდა არჩევნებს.

აღსანიშნავია მედლის მეორე მხარეც, ხშირად არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოდიან კრიმინალური ავტორიტეტები, ან გამოუცდელი პირები. ყოველივე ეს სტაბილური პოლიტიკური ვითარებისათვის არცთუ ხელსაყრელია, თუმცა, საუკეთესო შემთხვევაში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურად განწყობილნი აღმოჩნდნენ და რეფორმები შეფერხდეს, ან სულაც საქმე პოლიტიკურ კრიზისამდე მივიდეს. (ამის ნათელი მაგალითი უკრაინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებია.) შესაბამისად ჩნდება კითხვა: ასეთ ვითარებაში აქვს თუ არა აზრი საერთოდ არჩევნების ჩატარებას, რომელიც საკმაო ფინანსებს საჭიროებს, მითუმეტეს, თუ ის ვერ ასრულებს ელექტორატის დაკვეთას, გამოდის, რომ ხდება ფინანსური რესურსების ფუჭი ფლანგვა. აქედან გამომდინარე, ობივატელმა შესაძლოა იფიქროს, ასეთი არჩევნების ჩასატარებლად ფულის ხარჯვას ხომ არ ჯობია თანამდებობებზე წინასწარ შერჩეული კადრების დანიშვნა. მსგავს ქმედებებს ადგილი ჰქონდა ერთპარტიული კომუნისტური რეჟიმის პირობებში, რაც გამორიცხავდა დემოკრატიულ კონკურენციას და ამიტომაც მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისათვის. არჩევნები ჯერ-ჯერობით ერთადერთ საშუალებად რჩება პოლიტიკური სისტემის ამდაგვარი განვითარებისათვის. ვინაიდან: 1. არჩევნები ეს არის მოსახლეობისა და პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის კონსტიტუციური უფლების გამოყენება, რათა იყვნენ არჩეულნი და გახდნენ მმართველები. 2. ეს არის საშუალება ჩაუნერგოს მოქალაქეებს კანონისადმი პატივისცემა და უპირობო მორჩილება. 3. განსაზღვროს პოლიტიკური პარტიების რეიტინგი და შესაძლებლობები სამომავლო პოლიტიკური კურსის პირობებში. 4. ეს არის შესაძლებლობა სწორად შეარჩიოს, მოამზადო და აღზარდოს პოლიტიკური ელიტა. 5. ეს არის საკანონმდებლო ორგანოსა თუ ამა თუ იმ ლიდერის ლეგიტიმურობის დაკანონების საშუალება. 6. ეს არის საშუალება პოლიტიკური სისტემა მოიყვანოს ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებთან მუდმივ შესაბამისობაში. 7. საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად არჩევნები ხელს

უწყობს პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური სისტემის განვითარებასა და ფორმირებას. 8. სახელმწიფოსათვის დემოკრატიული და სამართლებრივი იმიჯის შენარჩუნებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. 9. არჩევნები ზოგადად როგორც ლიდერების, ისე საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებას უწყობს ხელს.

ცალკე საკითხად შეიძლება გამოიყოს პრობლემა, რომლის არსი არჩევნების სამართლიან ჩატარებას შეეხება. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს ხელისუფლების პოლიტიკური ნება და საკანონმდებლო ბაზა, იმისათვის რომ დაშვებული იქნას არჩევნების გზით ხელისუფლების რომელიმე შტოს შეცვლის პრეცედენტი, თუმცა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში (მაგ., აშშ, უკრაინა) უახლოეს წარსულში დაფიქსირდა მსგავსი რამ. ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ არ შეიძლება მათი გამოცდილების იგნორირება, რამეთუ მსოფლიოს ხალხთა ოკეანეში განყენებულად ყოფნა სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს.

დემოკრატიულ ქვეყნებში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ხელისუფლების ცვლა დიდ ტრავმად არ აღიქმება, ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები განაპირობებენ. ჯერ ერთი, ძირითადი აქცენტი გადატანილია პროფესიონალიზმზე და არა პარტიულ კუთვნილებაზე. პარტიული ნიშნით კადრების დანიშვნის ნეგატიური შედეგი არაერთგზის გამოვცადეთ. 1991 წელს არჩევნების შედეგად გამარჯვებული პოლიტიკური მართვის გამოცდილების არმქონე ეროვნული მთავრობა ზვიად გამსახურდიას მეთაურობით სრულიად მოუძადებელი აღმოჩნდა ქვეყნის სამართავად. ძველი კადრები ერთი ხელის მოსმით დაითხოვეს, რითაც წარმოაჩინეს პოლიტიკური კულტურისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების დაბალი დონე. მსგავს სიტუაციებში ცივილურ ქვეყნებში ხდება ხელისუფლების თანდათანობითი გადაბარება, ძველი ხელისუფლება ახლად არჩეულს მტრად არ აღიქვამს და მას ათვითცნობიერებს მართვისა და სხვადასხვა პრობლემების დაძლევის თვალსაზრისით, რის შედეგადაც ნაკლებად შეიმჩნევა პოლიტიკური და ეკონომიკური რყევები, რითაც გარანტირებულია სტაბილურობა. სამწუხაროდ, ჩვენთან კვლავაც გრძელდება ტენდენცია კადრების საფუძვლიანი გადახალისებისა,

დამლაგებლიდან დაწყებული ყველა მოხელე თავისუფლდება სამსახურებიდან და ახალი მოდის თავისი გუნდით. სანამ ახალი გამოუცდელი კადრი საჭირო უნარჩვევებით აღიჭურვება, საქმე აგებს; ამიტომაცაა, რომ პროგრესი ნაკლებად შეიმჩნევა, აბსენტიზმი და ნიპილიზმი ჰყვავის, ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ უმაღლესი ღირებულებები უფასურდებიან, მიზანი დაკარგულია, ასე ვთქვათ, კულტურა და ცივილიზაცია უპირისპირდება ერთმანეთს, პოლიტიკური სუბიექტის სიცოცხლის ეტაპი სიკვდილის ეტაპის ზღურბლთანაა, პოლიტიკური აქტიურობა კლებულობს, რაც პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია, ანუ ინტელექტის აშკარა დაქვეითება სახეზეა და წინა პლანზეა წამოწეული მატერიალური ძალები და ინტერესები.

იმისათვის, რომ არჩევნების შედეგად მოხდეს სისტემის ცვლა, ეს არა მხოლოდ ხელისუფლებაზე, არამედ დიდწილად ოპოზიციური პარტიების პოლიტიკურ კულტურაზეც არის დამოკიდებული. მათ მიერ წარმოებული გამჭვირვალე და სამართლიანი პროპაგანდა უნდა გახდეს ხელისუფლების ცვლის რეალური საშუალება. ბოლო დროს საქართველოში დღის წესრიგში ამგვარი პარტიების გაერთიანების აუცილებლობა დადგა. თუმცა, იმის გამო, რომ ისინი ამას ვერ ახერხებენ, გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, ეს ხელისუფლებას აძლევს საშუალებას კიდევ დიდი ხნით შეინარჩუნოს პოლიტიკური ძალაუფლება. ე.წ. საპარლამენტო პარტიებმა ქრისტიან-დემოკრატებმა და პოლიტიკურმა მოძრაობამ „ჩვენ თვითონ“ ოფიციალურად გამოაცხადეს პოლიტიკური წინასაარჩევნო ბლოკის შექმნის თაობაზე. მათ მერობის კანდიდატად გიორგი ჭანტურია წამოაყენეს. ყოველივე ამას წინ უძღოდა სამი პოლიტიკური სუბიექტის - ალასანიას, რესპუბლიკელებისა და მემარჯვენეების გაერთიანება „ალიანსი საქართველოსათვის“, რომელსაც მოგვიანებით შეუერთდა საღმრთო ზურაბიშვილის „საქართველოს გზა“, მათ თბილისის მერობის კანდიდატად დაასახელეს ირაკლი ალასანია. ასევე ცალკე პოლიტიკურ ბლოკად ჩამოყალიბდა ნოღაიდელი, დავითაშვილი ძიძიგურის გაერთიანება, „ეროვნული საბჭო“, რომელთაც თბილისის მერობის კანდიდატად ზვიად ძიძიგური ჰყავთ, თუ ამას დავუმატებთ დანარჩენი ოპოზიციური პარტიებიდან დასახელებულ

თბილისის მერობის სხვა კანდიდატებს, როგორებიც არიან: გოგი თოფაძე, დავით იაკობიძე, თემურ ბობოხიძე და სხვ., აშკარა ხდება, რომ ამ პოლიტიკურმა სუბიექტებმა არათუ ხელი შეუწყვეს ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციას ერთი რომელიმე კანდიდატის ირგვლივ, არამედ კიდევ უფრო მეტად გაამაგრეს სახელისუფლებო ძალების პოზიციები. ყოველივე ეს კი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების არახელსაყრელ პირობებს ქმნის, რამაც შესაძლოა მოსახლეობაში არჩევნებისადმი აბსენციზმის გაღრმავება გამოიწვიოს. ამდენად, როგორც ხელისუფლებამ უნდა გამოაგლინოს კეთილი ნება არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების თაობაზე, ისე ოპოზიციური პარტიებიც ვალდებული არიან შექმნან ქვეყანაში ხელსაყრელი პოლიტიკური, კონკურენტუნარიანი გარემო, რითაც ისინი ჩაუნერგავენ ელექტორატს სამართლიანი არჩევნებისადმი რწმენას, სწორედ მაშინ გახდება არჩევნები განახლებისა და უკეთესი მომავლის გარანტი.

### ლიტერატურა:

#### References

1. macaberiZe m., arCevnebi da sazogadoeba, Tb., 2003w.
2. macaberiZe m., politikuri marketingis safuZvlebi, gamomcemloba „mecniereba“, Tb., 2003w.
3. osiZe l., pluralizmi da Tanamedrove saarCevno sistema, „weliwdeuli-2005“. (saqarTvelos mecnierebaTa akademiis politologiis institutis Sromebi).
4. osiZe l., politikuri marketingis gamoyeneba Tanamedrove arCevnebSi, Journ., „saistorio vertikalibi“, #15, Tb., 2008w.
5. bobio n., „demokratiis momavali“, Tb., 2003w.
6. beSleri J., demokratia – analitikuri narkvevi, sulxan-saba orbelianis saxelobis saxelmwifo pedagogiuri universitetis gamomcemloba, Tb., 1998w.
7. saqarTvelos saarCevno kodeqsi, Tb., 2010w.

### Levan Osidze, Manana Jugashvili

#### Elections, as technology of updating of political system

#### Summary

Elections - one of the major of technology of updating of political system. In our country it is permanent before the next selective



companies there are discussions: to spend or to not spend elections. We support those statements that elections should pass in the designated terms, as this democratic updating of components of political system.

Let's designate a number of ways, mechanisms and technologies of such updating: change of political institutes; formation of new parties and other subjects of political activity; transformation of party system. Corrective amendments, necessarily in interaction of branches of authority; amendments to the Constitution; referenda on the basic questions of development of the state and a society; contract about the consent, mutual relations; essential changes in orientation mass media; elections both legislative, and executive authority, etc.

Elections it: granting to citizens and political forces in conformity with the Organic law, opportunities to realize the constitutional law on participation in a political life (to select and be the selected works). It is education of citizens and respect, to laws in force and traditions; the constitutional opportunity of specification of the status (through program installations) political parties, selective associations of deputies; Real definition of weight and authority of political parties, their opportunities to participate in formation of a modern rate of policy; fastening of experience and encouragement of the political parties, managed to win round the greatest number of voters; it is formation of party system, its reduction a condition adequate to needs of a society; And also - the opportunity of preparation, selection, education of the staff, finally updating of political elite, is preservation and consolidation of image democratic legal the state on international scene. It is perfection of political culture of leaders and a society as a whole.

**Keywords:** Election, political system, state, absentizm, nihilism, contender, stability, technology, renewed, ignore, democracy, political Institute.

**Reviewer:** Professor Tengiz Grigolia, Georgian Technical University

**ოსიძე ლევან შოთაевич, ჯუგაშვილი მანანა ისააკოვნა**  
**Выборы, как технология обновления политической системы**

### **Резюме**

Выборы, на наш взгляд – одно из важнейших технологии обновления политической системы. В нашей стране перманентно

перед очередной избирательной компанией возникают дискуссии: проводить или не проводить выборы. Мы поддерживаем те высказывания, что выборы должны проходить в обозначенные сроки, поскольку это демократичное обновление составляющих политической системы.

Обозначим ряд путей, механизмов, технологий такого обновления: изменение политических институтов; формирование новых партий и иных субъектов политической деятельности; трансформация партийной системы. Коррективы, вносимые по необходимости во взаимодействие ветвей власти; поправки к Конституции; референдумы по основным вопросам развития государства и общества; договоры о согласии, взаимоотношениях; существенные изменения в ориентации средств массовой информации; выборы как законодательной, так и исполнительной власти и др.

Выборы это: предоставление гражданам и политическим силам в соответствии с Основным законом, возможности реализовать своё конституционное право на участие в политической жизни (избирать и быть избранным). Это - воспитание граждан и уважение к действующим законам и традициям; конституционная возможность уточнения статуса (через программные установки) политических партий, избирательных объединений депутатов; реальное определение веса и авторитета политических партий, их возможности участвовать в формировании современного курса политики; закрепление опыта и поощрения политических партий, сумевших привлечь на свою сторону наибольшее число избирателей; это - формирование и структурирование партийной системы, приведение ее в состояние, адекватное потребностям общества; а также – возможность подготовки, отбора, воспитания кадров, в конечном итоге обновления политической элиты, это – сохранение и упрочение имиджа демократического правового государство на международной арене. Это – совершенствование политической культуры лидеров и общества в целом.

**Ключевые слова:** Выборы, политическая система, государство, абсентеизм, нигилизм, претендент, стабильность, технология, обновления, игнорировать, демократия, политические институты.

**Рецензент:** профессор Григолия Тенгиз Бондоевич, Грузинский технический университет.


# ი ს ტ ო რ ი ა

## ნათო ჩუბინიძე ქართველი ღვწნილის სტატუსის მაპიუმლები პოლონეთში

პოლონეთისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობები როგორც პოლიტიკურ, ასევე სხვა მიმართულებით მოიცავს არამარტო ათწლეულებს არამედ საკუნეებსაც. პოლონეთი ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, სადაც ჯერ კიდევ 1920 წელს არსებობდა ქართული დიპლომატიური წარმომადგენლობა. სწორედ ამ ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძოდნენ ახალგაზრდა ქართველი იუნკრები, მას შემდეგ რაც საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით იძულებული გახდნენ წასულიყვნენ ემიგრაციაში. ქართველი ოფიცრები ჩადგენენ პოლონური არმიის რიგებში, რომელსაც ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდნენ და პოლონეთის არმიის ისტორიამ შემოგვინახა ქართველების მიერ ჩადენილი არაერთი გმირობის ფაქტი. დადასტურებულია, რომ არც ერთ მათგანს არ უთხოვიათ პოლონეთის ხელისუფლებისთვის მოქალაქეობა, ისინი ყოველთვის თავს თვლიდნენ დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეებად. სამწუხაროდ, თანამედროვე რეალობა სულ სხვა სურათს ასახავს. პოლონეთში არნახულად იზრდება ქართველთა რიცხვი, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე მოხვედრისთანავე ეკეთებენ განაცხადს მათთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

2009 წლის მონაცემები ადასტურებს რომ პოლონეთში დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით შეტანილი განაცხადების 41 % არის საქართველოს მოქალაქეების მიერ შეტანილი, მათ შორის ჭარბობენ ეროვნებით ქურთები და სომხები.

**Number of persons applying for the refugee status in Poland in 2009  
(01.01.2009 - 15.12.2009)**



არსებული მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა ვერსიები და მოსაზრებები ვრცელდება როგორც პოლონეთში ასევე საქართველოში, თუმცა ფაქტი ერთია, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ შეტანილი განაცხადებიდან 99% გადაწყვეტილება არის უარყოფითი. აღნიშნულ საკითხს გარდა ეკონომიკური, გეოგრაფიული და სოციალური თუ დემოგრაფიული მნიშვნელობისა, აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც, ვინაიდან განმცხადებელთა უმრავლესობა სწორედ პოლიტიკურ მოტივს ასახელებს ქვეყნის დატოვების მიზეზად, შესაბამისად, პოლონეთის ხელისუფლების მხრიდან, ქართველი დევნილებისთვის სტატუსის მინიჭებას ექნება, პოლიტიკური გადაწყვეტილების ხასიათიც, რაც თავისთავად არ მოახდენს დადებით გავლენას 2 ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებზე.

დღეისათვის პოლონეთის ტერიტორიაზე იმყოფება 5 000 მადე ქართველი, რომელსაც შეტანილი აქვს განაცხადი დევნილის სტატუსის მინიჭებაზე. 2009 წლის მონაცემებით კი მათი რიცხვი ზუსტად 4145 ს შეადგენდა.

რეალურად საქართველოს დატოვების მიზეზი ამ პირების მხრიდან სხვადასხვაა მათ შორისაა დასაქმება მიზნით და კრიმინალი. სულ უფრო გახშირდა ქართველების მონაწილეობით სხვადასხვა კრიმინალური

ქმედებების ჩადენის ფაქტები, რაც აქამდე პრაქტიკულად არ არსებობდა პოლონეთში. სამწუხაროდ ამ ყველაფერს ხელს უწყობს ინფორმაციის ნაკლებობაც. არსებობს არასწორი წარმოდგენა, რომ ევროკავშირის წევს ქვეყნებში ყველაფერი გაცილებით მარტივი და სწრაფად მოგვარებადია ვიდრე მაგალითად საქართველოში. ეს ინფორმაცია რომ ბოლომდე სიმართლეს არ შეეფერება ამას ჩამოსვლის შემდეგ მიგრანტებიც ხედავენ. სავარაუდოდ ასევე მოქმედებს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ცრუ დაპირებების საფუძველზე აგზავნიან სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის პოლონეთშიც ადამიანებს, ხოლო შემდგომ ისინი მარტო რჩებიან საკუთარ პრობლემებთან.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ამ პირთა მხრიდან ადგილი აქვს ქვეყნის დატოვების ფაქტებს, მათი საქმის განხილვის პროცესში, როდესაც ეს კანონით აკრძალულია. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა სამწუხაროდ ტრაგიკულად დამთავრდა. 2009 წლის მარტის თვეში პოლონეთიდან გერმანიაში არალეგალურად გადასულმა დავით მარდიანმა, გამოძიების წინასწარი მონაცემებით გერმანიაში, ჰამბურგის წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამოიხრჩო თავი. სამწუხაროდ ნაწილი საქართველოს მოქალაქეებისა, რომლებიც არალეგალურად შემოდიან პოლონეთის ტერიტორიაზე ასევე შემჩნეული არიან სხვადასხვა კრიმინალურ საქმიანობაში. ასევე საკმაოდ დიდი რეზონანსი მოყვა ქართველების მონაწილეობა, სხვა კავკასიური ერების წარმომადგენლებთან ერთად, მატარებლის დაკავების ფაქტს, რომლის შემდგომაც გაცილებით გახშირდა ქართველთა დეპორტაცია პოლონეთიდან.

მსგავსი სამწუხარო რეალობა ცუდ გავლენას ახდენს პოლონელ და ქართველ ხალხს შორის წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებაზე. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ ბოლო პერიოდის სტატისტიკა ადასტურებს საქართველოს მოქალაქეების მხრიდან პოლონეთში დევნილის სტატუსის მინიჭებაზე განაცხადის შეტანის შემცირების ტენდენციას. სავარაუდოდ უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ქვეყანაში საერთაშორისო დაცვის მიღების პერსპექტივა საქართველოს მოქალაქეებისათვის ამ ეტაპზე

არარეალურია და მხოლოდ უარყოფითი ეფექტის მატარებელია, როგორც თავად ამ მოქალაქეებისთვის, ასევე საერთოდ ორივე ქვეყნის წარმომადგენელთათვის.

## **Nato Chubinidze** **Persons Applying For the Refugee Status in Poland**

### **Summary**

Georgian Poland friendly relationship as in politics also in different directions lasts not only for years nor for centuries. Poland is one of the country in which Georgian Diplomat Representatives were placed even in 1920. Precisely after the fact when Georgia became a member of Soviet Union and young Hungers were forced to leave their country, Georgian young Hungers fought for the freedom of this country. They regarded themselves as the members of the Independent Georgia. Unfortunately, modern reality represents different. The number of Georgians applying for the refugee status is unprecedentedly growing.

According to the data 2009, in Poland 41 % of refugee status seekers are Georgians. Most of them are Armenians and Kurds with nationality.

There different versions spread about the reason of leaving their county as in Poland also in Georgian, but the fact is one, 99 % of the requests applied by Georgians for Refugee status are denied. Unfortunately number of crimes perpetrated by Georgians increased in Poland. The marked problem contains political sense from Poland government in relation with denying Georgians in giving refugee status, it also wears political character and in future it will have a negative influence on the friendship of two states.

According to the numbers of 2009 the number of Georgians applying for the refugee status consists 4145. The situation wears only negative effect, as for the inhabitants of Poland also on the representatives of both countries.

**Keywords:** Georgian Poland friendly relationship, Georgian Diplomat Representatives, refugee status, Georgian young Hungers, modern reality.

**Reviewer:** Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

**Чубинидзе Наталя Бадриевна**  
**Искатели статуса беженца в Польше**

**Резюме**

Дружественные отношения Польши и Грузии исчисляются, как в политике также и в других сферах, веками. Польша - одна из стран, где было открыто грузинское Дипломатическое Представительство в 1920 году. После советизации Грузии молодые грузинские юнкера в составе польской армии с оружием в руках защищали независимость Польши. По имеющимся данным не один из них не попросил гражданства Польши. Все они считали себя гражданами независимой Грузии. К сожалению, современная действительность иная. Число граждан Грузии, просящих статус беженца, растет.

Согласно данным 2009 года, 41 %-а искателей статуса беженца в Польше – граждане Грузии. Большинство из них - армяне и курды по национальности. Количество грузин, просящих статус беженца, составило 4145 человек. Большинство искателей статуса беженца утверждают, что покинули Грузию по политическим мотивам, что в свою очередь утяжеляет ситуацию, так как предоставление им статуса будет носить политический характер, что в свою очередь негативно отразится на отношениях Польши и Грузии.

**Ключевые слова:** Дружественные отношения Польши и Грузии, грузинское Дипломатическое Представительство, статус беженца, молодые грузинские юнкера, реальность сегодня.

**Рецензент:** профессор Кочорадзе Отар Георгиевич, Грузинский технический университет.

# პ რ ა ქ ტ ი კ ა

ბარი ბუნია, ზიზი სვანიძე,  
არჩილ გერსამია, ლილი სვანიძე

**ძვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის  
ხელშეწყობის მიზნით კულტურული ტურიზმის  
ბარემოს ტაძრობენური დატვირთვის შედეგების  
შეფასების საპროექტი**

## შესავალი

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის №49 დადგენილებაში „საქართველოში ტურიზმისა და კურორტების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ პირველად იქნა ოფიციალური დონეზე გამოყენებული ტერმინი „კულტურული ტურიზმი“.

საერთაშორისო ტურისტულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული ტერმინი „კულტურული ტურიზმი“ ქართული მენტალიტეტისათვის რამდენადმე უცხოა. უახლოეს წარშუქში იგი აღინიშნებოდა ტერმინით – „შემეცნებითი ტურიზმი“. მაგრამ, ეს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტერმინი „კულტურული ტურიზმი“ უფრო ფართო დიაპაზონის მომცველია, უფრო საგნობრივია და ტურიზმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს. იგი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

საქართველო, კავკასიის ერთ-ერთი უღამაზესი და ღირსშესანიშნავი რეგიონი, ტრადიციულად იყო მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში და დღესაც ერთ-ერთ პოპულარულ ტურისტულ სივრცეს წარმოადგენს. ზღვის და მთის კურორტების სიახლოვე, ბუნების მრავალფეროვნება, მდიდარი ფლორა და ფაუნა, უძველესი კულტურა და ტრადიციები მეტად მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებენ ამ რეგიონს.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ თანამედროვე აქტუალურ პრობლემას,



ანთროპოგენური ზემოქმედებით გამოწვეული მიკროკლიმატის ცვლილების და ატმოსფეროში მავნე მინარევთა ემისიების შორ მანძილზე გადატანის შედეგად, ბუნებრივი გარემოს რეკრეაციული არელების ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომი, ადეკვატური ინფორმაციის უქონლობა წარმოადგენს.

## 1. კვლევის მეთოდика

არსებული პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა ადეკვატური ინფორმაციის მიღების და გავრცელების თანამედროვე პირობების დანერგვა. უკანასკნელი კი, ამ მონაცემთა კომპიუტერული ბაზის შექმნის და მის საფუძველზე შესრულებულ კვლევათა შედეგების საერთაშორისო საინფორმაციო ტექნოლოგიებით გავრცელების აუცილებლობას მოითხოვს. ცხადია, რომ ეს ხელს შეუწყობს მომხმარებელს ისარგებლოს, როგორც ამ უნიკალური ინფორმაციული მასალის მონაცემთა ბაზით, ისე მის საფუძველზე შესრულებულ კვლევათა შედეგებით. ეს აგრეთვე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინფორმაციის გაცვლას და გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ატმოსფეროს მონიტორინგს საკმაოდ დიდი ისტორია და უხვი საინფორმაციო მონაცემთა ბაზა გააჩნია. მისი დამუშავების შედეგები ფართოდაა წარმოდგენილი ავტორების მიერ გამოქვეყნებულ მრავალ სამეცნიერო პუბლიკაციაში.

როგორც კვლევებმა გვიჩვენა [1] ჰაერის ნაკადით მიტაცებულ და მაკრომასშტაბურ გადატანაში მოხვედრილ მავნე მინარევებს ატმოსფეროში შეზღუდული სიციცხლის უნარიანობა გააჩნიათ. დროის განმავლობაში ისინი, ნალექებით ჩამორეცხვის ან გრავიტაციული დაღეპვის შედეგად, თავის წარმოშობის ადგილებიდან სხვადასხვა მანძილზე ილექებიან დედამიწის ქვეფენილ ზედაპირზე, რაც მის დაბინძურებას იწვევს.

ის ფაქტი, რომ ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ხდება მავნე ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმებზე, მცენარეულ საფარზე და კლიმატზე არის

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ატმოსფეროს ფართომასშტაბური დაბინძურების მონიტორინგის მონაცემთა ბაზის მიმართ მკვლევართა და პრაქტიკოსთა დაუინტერესებელი ყურადღებას ითხოვს. ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურება ღირსშესანიშნავ ისტორიულ-კულტურულ ძეგლთა და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა რღვევას აჩქარებს. აღნიშნულის შედეგად საფრთხე ექმნება ჩვენი ქვეყნის უძველეს და უმდიდრეს არქიტექტურას, მის ფრესკულ მხატვრობასა და უნიკალურ ჩუქურთმებს. ცნობილია, რომ ატმოსფეროს ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით მიყენებული ზარალი, რომელსაც ქვეყანა განიცდის, ძნელად გამოისახება რაოდენობრივად, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ იგი ძალზე დიდია.

ამის გამო, დღის წესრიგში დგება:

1. რეკრეაციულ ზონებში და მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ნაგებობათა მიმდებარე გარემოს, კომპლექსური ეკოლოგიური მონიტორინგის მონაცემთა ბაზის ორგანიზება;

2. ამ მონაცემთა დამუშავების საფუძველზე, საკვლევი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საქართველოში მოცემული საკითხი, მიუხედავად მისი ეროვნული მნიშვნელობისა, სერიოზული ძიების საგანი ჯერ არ ყოფილა და დღემდე გადაუჭრელია რეკრეაციული ზონებისა და ისტორიულ-კულტურული ძეგლების ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგის ამოცანები. გარდა ამისა, არაა დამუშავებული ტრანსსასაზღვრო დაბინძურების მონიტორინგის რიგი რეგიონალური მნიშვნელობის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საკითხი. მათ შორის, რეკრეაციულ და ისტორიულ-კულტურული ნაგებობათა ზონებში გარემოს ფართომასშტაბური დაბინძურების მონიტორინგისა.

გარდა ამისა მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს, გლობალური კლიმატის ცვლილების ფონზე, ადგილობრივი კლიმატის ცვლილების საკითხები [4]. მრავალი შეფასებებით ეს ნეგატიური მოვლენები საშიშ ზომებს დებულობენ. მათი შედეგების პრევენციული ზომების დამუშავება ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზის შესახებ მრავალი

სახის ინფორმაციას მოითხოვს. ამგვარი ინფორმაციის მიღებას ისახავს მიზნად ატმოსფეროს კომპლექსური ეკოლოგიური მონიტორინგის მონაცემთა ბაზის შექმნა და დამუშავება.

ზემომოტანილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს კულტურული ტურიზმის მარშრუტების და ისტორიულ-კულტურული ძეგლების ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური კომფორტულობა, მკიდროდაა დაკავშირებული როგორც კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ასპექტებთან, მათ შორის, მიკროკლიმატურ ცვლილებებთან, ისე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების მონიტორინგის საკითხებთან.

## **2. კვლევის ძირითადი შედეგები**

### **2.1 ატმოსფერული ნალექების მინერალიზაციის განაწილება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში**

გარემოს ტრანსსასაზღვრო დაბინძურების მონიტორინგის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს ატმოსფერული ნალექების (წვიმის წყლის და თოვლის) მინერალიზაციის კვლევა წარმოადგენს [2].

ატმოსფერული ნალექების მინერალიზაცია იმ აეროზოლების კონცენტრაციითა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით არის განპირობებული, რომლებიც ჰაერის მასათა ურთიერთშერევის პროცესში ან ღრუბლის წვეთების მიერ მიტაცებით მიიღებიან. ამ ნაწილაკების უდიდესი ნაწილი მათი კონდენსაციის ბირთვებად გვევლინებიან. როგორც ირკვევა, ატმოსფერული ნალექები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ნივთიერებათა მიმოქცევას ბუნებაში და ატმოსფეროს მინარეგების შორ მანძილზე გადატანით გარემოს ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ძირითად მექანიზმს წარმოადგენენ.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ რიგი მეტეოროლოგიური ელემენტის და ატმოსფერული ნალექების მინერალიზაციის ამსახველი პარამეტრების, მრავალი წლის სტანდარტული დაკვირვების, მონაცემები მოიპოვება. მოცემული კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს, სწორედ, ამ მონაცემთა ბაზის დამუშავება წარმოადგენდა.

ატმოსფერული ნალექების მინერალიზაციის შეფასებისას მკვლევარები რიგი მახასიათებლებით

სარგებლობენ, რომლებიც ჩვენ ნალექებში შემავალი მინერალური ნივთიერებათა გენეტიკურად განსასხვავებლად გამოვიყენეთ. მაგალითად, ცხრ.1-ში მოცემული პარამეტრების საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები მათი გენეტიკურად დაყოფის შესაძლებლობას ქმნიან, მათ შორის: ქალაქის, მთის და ზღვისპირული.

**ცხრილი 1**

ტურიზმის რეგიონებში და ოკეანეების ზედაპირზე მოსული ნალექებისა და ოკეანეების წყლის მინერალიზაციის მახასიათებლების მნიშვნელობები, ( $\Sigma i, 10^{-3} \text{kg/m}^3$ ;  $\kappa, 10^{-8} \text{omi}^{-1} \text{m}^{-1}$ )

მახასიათებლები	რეგიონები				
	ქალაქის	მთის	ზღვისპირული	ოკეანეზე მოსული ნალექები	ოკეანეს წყალი
SO <sub>4</sub> <sup>2-</sup> /Na <sup>+</sup>	6,24	5,11	4,27	0,60	0,25
SO <sub>4</sub> <sup>2-</sup> /Cl <sup>-</sup>	4,18	3,29	2,59	0,49	0,14
Cl <sup>-</sup> /Na <sup>+</sup>	1,47	1,56	1,74	1,22	1,78
Σi	35,84	23,71	19,19		
κ	65,38	38,85	32,18		
pH	6,48	6,38	5,85		
Σi <sub>c</sub>	37,50	21,28	19,03		
Σi <sub>T</sub>	34,36	26,12	19,30		

როგორც ცხრილის მონაცემებიდან გამოდინარეობს, თითქმის ყველა განსახილველი პარამეტრების სიდიდეები კლებულობს ქალაქის, მთისა და ზღვისპირული რეგიონების ჩამონათვალის თანმიმდევრობით. ამასთან, Cl-სა და Na-ს იონთა კონცენტრაციების ფარდობითი სადიდეები ბევრად არ

განსხვავდებიან ოკეანეებისათვის დამახასიათებელ მნიშვნელობებისაგან, რაც მათი, ძირითადად, ზღვიური წარმომავლობაზე მეტყველებს.

მეტად საინტერესოა საკვლევ რეგიონებში იონების ჯამთა განაწილების შეფასებები თბილსა და ცივ პერიოდებში.

მაგალითად, როგორც ირკვევა, ზღვისპირულ რაიონებში ნალექების მინერალიზაციის ფორმირება, ძირითადად, ზღვის მარილების ხარჯზე წარმოებს. ამასთან, ატმოსფეროში შემოსული მათი საერთო რაოდენობა ორივე განსახილველ სეზონებში, დაახლოებით, ერთნაირი სიდიდისაა. მთიან რაიონებში, ვინაიდან ცივ პერიოდში ქვეფენილი ზედაპირი თოვლის საფარითაა დაფარული, ადგილობრივ ნალექთა მინერალიზაციის წყაროდ, უმთავრესად, ჰაერის ნაკადით გადმოტანილი “ტრანზიტული” აეროზოლები გვევლინებიან. ხოლო, თბილ პერიოდში იონთა ჯამის მომატება ეოლური წარმოშობის ბუნებრივი, მიწის ზედაპირის ეროზიის პროდუქტებისაგან შემდგარი, აეროზოლების ხარჯზე მოდის.

ქალაქების გარემოში ნალექების მინერალიზაცია, ძირითადად, სამრეწველო აეროზოლების წილით არის განპირობებული. მას, როგორც ვიცით, წელიწადის ცივ პერიოდში გათბობის სისტემების გამონაბოლქვი მინარევები ემატება, რაც, როგორც ჩანს, ხელს უწყობს ატმოსფერული ნალექების მინერალიზაციის მატებას.

გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგის სხვადასხვა ასპექტების კვლევისას, ატმოსფეროში დანაწევრებულ მინარევთა დედამიწის ზედაპირზე დალექვის შედეგად, ქვეფენილი ზედაპირის შედგენილობის ცვლილებების კვლევა იწვევს მზარდ ინტერესს.

ამასთან დაკავშირებით, მეტად აქტუალურია დედამიწის ზედაპირზე ჩამორეცხილ მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობის შეფასების შედეგების განხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ ატმოსფერული ნალექების მინერალიზაციის შესწავლას ეთმობა დიდი ყურადღება, ასეთი ინფორმაციის მიღება შეუძლებელი იყო, ვინაიდან ის სპეციალურ, ძვირადღირებულ კვლევებს მოითხოვდა.

ადინიშნული საკითხის გადასატრედად, მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობისა და მისი მინარევი ნივთიერების კონცენტრაციის მნიშვნელობით, ჩამორეცხილი მინერალური ნივთიერების რაოდენობის გასაანგარიშებლად, ჩვენს მიერ [1], იქნა შემოტანილი ქვემოთ მოცემული ფორმულა:

$$M = qH \cdot 10^{-6} \frac{\text{კგ}}{\text{მ}^2 \text{წლ}}, \quad (1)$$

ამ ფორმულაში M - ერთ მ<sup>2</sup> ფართობზე მთელი წლის განმავლობაში ჩამორეცხილი საკვლევი მინერალური ნივთიერების რაოდენობაა, q - საკვლევი მინარევის საშუალო წლიური კონცენტრაცია, ხოლო H-კი, ერთი წლის ნალექების ჯამია.

მოცემული ფორმულის დახმარებით იქნა გაანგარიშებული საქართველოს სხვადასხვა პუნქტში მიწის ზედაპირზე ჩამორეცხილი მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობები.

### ცხრილი 2

კულტურული ტერიზმის სხვადასხვა პუნქტის ქვეყნილ ზედაპირზე ჩამორეცხილი მინერალური ნივთიერებათა რაოდენობის შეფასებები, (10<sup>-3</sup> კგ/მ<sup>2</sup>წლ)

პუნქტები	H, 10 <sup>-3</sup> გ	ნივთიერებები				
		SO <sub>4</sub> <sup>2-</sup>	Cl <sup>-</sup>	HCO <sub>3</sub> <sup>-</sup>	Na <sup>+</sup>	Σi
აბასთუმანი	683,0	4,8	1,4	6,1	1,2	18,2
ი	1396,5	6,9	2,2	11,1	1,2	29,7
გუდაური	1658,4	11,8	3,0	9,5	2,5	35,2
სოხუმი	2564,9	14,9	6,5	13,0	4,4	50,2
ჩაქვი	542,2	5,6	1,4	8,2	0,9	22,1
თბილისი						

მიღებული მონაცემების ანალიზისას უნდა აღინიშნოს, რომ ატმოსფერული ნალექების ქიმიური შედგენილობის კვლევამ განსაკუთრებული ყურადღება ატმოსფეროს მინარევის ტრანსსასაზღვრო გადატანებთან დაკავშირებულ პრობლემების წარმოქმნამ განაპირობა [2].

ამასთან დაკავშირებით, ცხრ.2-ის მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ განსახილველ რეგიონებში მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანის მომტანი მინერალური ნივთიერება ჩამოირეცხება, რომელთა წყარო მეზობელ ქვეყნებში უნდა ვეძებოთ.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი რეგიონის ბიოსფეროზე ამ მოვლენის ნეგატიური ზემოქმედების სრული სურათი და ხასიათი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაცნობიერებული, მაგრამ უკვე ნათელია, რომ მის რიგშია ისეთი მოვლენები, როგორცაა: ქვეფენილი ზედაპირის დაჟანგვა და გამლაშიანება; ნიადაგიდან მცენარეულობისათვის საჭირო საკვები ნივთიერებათა გამოტუტვა და მისი მასტაბილიზირებული აგენტების გამოყვანა; მძიმე ლითონების შემცველობის ტოქსიკურ დონემდე მომატება; გაუდაბნოება და სხ.

## 2.2 კულტურული ტურიზმის რეგიონალური კლიმატის ანთროპოგენური ზემოქმედების ანალიზი

რეკრეაციული რაიონებისა და ისტორიულ - კულტურული ძეგლების გარემოს მიკროკლიმატური და ეკოლოგიური პირობების ცვლილებებზე დიდ გავლენას ახდენს ანთროპოგენური ზემოქმედება, რომელსაც მკვეთრად მატების ტენდენცია გააჩნია. მაგალითად, მე-20 საუკუნის ბოლო ათეული წლებიდან საქართველოში ფართოდ მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებენ რიგი ელექტროსადგურის წყალსაცავების კასკადების აშენებას, მათ შორის მდ. ენგურის აუზში. ამან კი, უნდა გამოიწვიოს კლიმატის შემქმნელ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის – დედამიწისპირა ჰაერის ფენის არსებული თვისებების ცვლილება, რამაც, თავის მხრივ, მოცემული რაიონის მიკროკლიმატის ადეკვატურ ცვლილებას ხელი უნდა შეუწყოს. აქედან, ცხადია, რომ ინტერესს მოკლებული არ არის კვლევა, თუ, როგორ ზემოქმედებას ახდენს არსებული ჯვრის წყალსაცავი მდ.ენგურის აუზის მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე. შეფასდეს ეს გავლენა და მიღებული შედეგებით ვიმსჯელოთ ანთროპოგენური ზემოქმედების ეკოლოგიურ ეფექტებზე.

ამისათვის გადავწყვიტეთ, ჩვენს ხელთ არსებული, რიგი მეტეოროლოგიური ელემენტის საშუალო წლიური მნიშვნელობების ცვალებადობის განხილვა დროის საკმაოდ დიდ პერიოდში. ამასთან, განსახილველი პერიოდი მოიცავს საკვლევ რეგიონში როგორც ჯვარის წყალსაცავის აშენებამდე, ისე მისი არსებობის დროთა თანაბარ ინტერვალებს, ხოლო დაკვირვების პუნქტებიდან მდ. ენგურის აუზში შევარჩიეთ 5 მეტეოსადგური – ზუგდიდი, გალი, ჯვარი, ხაიში და მესტია. მეტეოროლოგიური ელემენტებიდან კი, ჰაერისა და ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურები, ფარდობითი ტენიანობა, ატმოსფერული ნალექები, ქარის მიმართულება და სიჩქარე.


სადგურების ასეთ ფართო დიაპაზონში შერჩევა, საშუალებას მოგვცემდა, გამოგვეყო გლობალურ და მეზოკლიმატურ ფონზე მიკროკლიმატური მოვლენები, რომლებიც განპირობებული იქნებოდა ადგილობრივი ეფექტების, კერძოდ, ჯვარის წყალსაცავის გავლენით.

რიგი პირობით წარმოქმნილი, მონაცემთა არაერთგვაროვნების შედეგების აცილების მიზნით, განსახილველი პერიოდის მეტეოელემენტების საშუალო წლიური სიდიდეების ნორმირება ამ ელემენტების ნორმებად მიღებულ მნიშვნელობებზე, როგორც ეს გ.გუნიას მიერ არის შემოტანილი ფორმ.(2)-ის სახით [2], საშუალებას მოგვცემდა ჩვენი დასკვნები უფრო თვალსაჩინო და დასაბუთებული ყოფილიყო:

$$K_{ij} = \frac{q_{ij}}{q_{ai}}, \quad (2)$$

სადაც  $K_{ij}$  - საკვლევ  $j$ -პუნქტზე,  $i$  -მეტეოელემენტის ნორმირებული, კლიმატური მახასიათებელია,  $q_{ij}$  - ამ პუნქტზე, შესაბამისი მეტეოელემენტის საშუალო წლიური მნიშვნელობა, ხოლო  $q_{ai}$  - მოცემულ პუნქტზე,  $i$  - მეტეოელემენტის საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობაა კლიმატური ცნობარიდან.





ნახ.1. მდ.ენგურის აუზში ჰაერის ნორმირებული საშუალო წლიური ტემპერატურის მრავალწლიური სვლა ზემოაღნიშნული მიდგომით შესრულებული კვლევის შედეგად მიღებული ნახ.1-ის გრაფიკებზე ნაჩვენებია, ჰაერის საშუალო წლიური ნორმირებული ტემპერატურების - Ta განაწილება განსახილველ პუნქტებზე. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, 1971–1980წ.წ. პერიოდში მათი საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები, მიუხედავად ცალკეულ წლებში ნორმიდან მცირე გადახრისა, მთლიანად თავიანთი ნორმების ფარგლებშია. 1981 წლიდან მესტიასა და ხაიშში, შეინიშნება საშუალო წლიური ტემპერატურის საკმაოდ შესამჩნევი გადახრები ნორმიდან, ხოლო დანარჩენ პუნქტებზე საერთო ტენდენცია ინარჩუნებს თავის პირველად სვლას. ამასთან, 1981–1990წ.წ. პერიოდში, მესტიაში, აღინიშნება ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა, დაახლოებით, 10%-ით, ხაიშში კი, შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის ცვლილების ტენდენცია შემცირებისკენ, დაახლოებით, 5 %-ით.

მიწისპირა ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურაზე დაკვირვებათა მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1981–1990წ.წ. განმავლობაში, 1971–1980წ.წ. შედარებით, მიწისპირა ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა, მესტიაში, ხაიშსა და ჯვარში, შემცირდა, შესაბამისად, დაახლოებით,

2, 10 და 4 %-ით. თავიანთ ნორმებთან შედარებით, ეს ცვლილებები უფრო შესამჩნევი ხდება.

ატმოსფერული ჰაერის ტენიანობის ცვლილებების კვლევა გვიჩვენებს, რომ ამ პარამეტრის ზრდის ტენდენცია კარგად არის გამოიხატული 1981–1990 წლების პერიოდში. სხვა პუნქტებთან შედარებით ჯვარში აღნიშნული ტენდენცია უფრო მკაფიოდაა გამოხატული და უდრის 10%-ს, რაც, უთუოდ, გამოწვეულია წყალსაცავის სიახლოვით. საიდანაც ნოტიო ჰაერი გამოედინება, აქ გაბატონებული, ჩრდილოეთის მიმართულების ქარების გავლენით.

აღნიშნულთან ერთად, მოსული ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური მნიშვნელობების ცვალებადობის ტენდენციის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მთლიანად მთელს რეგიონში აღნიშნულია ამ ელემენტის მატების ტენდენცია მოცემული პერიოდის 20 წლის განმავლობაში. მათ შორის, მესტიასა და ჯვარში, 5 %-ით, ხოლო ზუგდიდსა და გალში, საშუალოდ, 15 %-ით.

გამოთვლები, აგრეთვე, ცხადყოფენ, რომ ზამთრის პერიოდში, წყალსაცავის შექმნის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე რადიაციული ბალანსის მნიშვნელობა მატულობს, საშუალოდ, 90 %-ით, გარდამავალ პერიოდებში – 40 %-ით, ზაფხულში, დაახლოებით, 20 %-ით, ხოლო მთელი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 30 %-ით. ეს სიდიდეები წარმოადგენენ, საკმაოდ მაღალ რიცხვებს და წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის მეტეოროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების არსებობაზე მეტყველებენ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშებების მიხედვით, წყალსაცავიდან საკმაოდ დაშორებით, ეს ეფექტები მცირდება და უახლოვდება თავიანთ ნორმალურ მნიშვნელობებს.

## დასკვნა

ამრიგად, როგორც ირკვევა, განსაკუთრებული აქტუალობით ხასიათდება გარემოს მდგომარეობაზე სპეციალიზებული დაკვირვების სისტემის შექმნა, რის გამოც საჭირო ხდება ახალი მონიტორინგის სისტემის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საფუძვლების დამუშავება. ეს სისტემა ემყარება, სტანდარტული

ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების პარალელურად, ატმოსფერული ჰაერის ქიმიური შედგენილობის ცვლილებებისა და ამ ცვლილებებით გამოწვეული ეფექტების, შესაძლებლად, ოპერატიულ პირობებში დადგენას.

ვინაიდან აღნიშნული მონიტორინგი მრავალფეროვანი ინფორმაციული სისტემის არსებობას ითვალისწინებს, იგი უნდა შედგებოდეს ისეთი ელემენტებისაგან, როგორცაა: - დაკვირვებათა წარმოება ატმოსფეროს ქიმიური და აეროზოლური შემცველობების, რიგი მეტეოროლოგიური პარამეტრების დინამიკისა და ამინდის მოვლენების ცვლილებებზე.

აღნიშნული მონიტორინგის დახმარებით მიღებული ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლის საგნად წარდგება, ხოლო დაკვირვებათა წარმოებისა და ინფორმაციის შეგროვების სადგურების ქსელის დაარსება საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითად გვესახება.

### ლიტერატურა :

#### References

1. Gunia G., 2005. Meteorological Aspects of Atmosphere Ecological Monitoring.- Tbilisi, Georg.Acad.Sci.-Georg. Inst. Hydrometeorology, 265p. - (Georgian. Summ.:Rus.,Engl.).
2. Gunia G.1985. Questions of monitoring of pollution of atmospheric air in territory of Georgia. – Leningrad (St.-Petersburg), Hydrometeouzdat, 84 p.- (Russian).
3. Gunia G., Svanidze Z., Ogbaidze Sh.,2002. On the Monitoring of the Environmental Abiotic Faktors Causing Desertification. - Bull.Georg.Acad. Sci., v.166,N.2, p.371-373.
4. Gunia G.S., Tskvitinidze Z.I. 2009. Features of Influence of Water Basins in Mountain Regions on Microclimate of Adjoining Areas on the Background of Modern Effects of Global Climate Change.- 10-th Baku International Congress “Energy, Ecology, Economy”, Baku, Azerbaijan Republic – 23-25 September, 2009.

**Garry Gunia, Zizi Svanidze, Archil Gersamia, Lili Svanidze**  
**Questions of an estimation of results of technogenic loading of**  
**environment of cultural tourism for the purpose of assistance to**  
**the policy of economic development of the country**

**Summary**

Georgia, one of the most beautiful and remarkable regions of Caucasus, represents one of popular tourist spaces. The affinity of mountain and sea resorts, variety of the nature, rich flora and fauna, the most ancient culture and traditions offer considerable advantages to this region.

Despite it, one of actual modern problems of development of tourism in the country, is absence of the adequate information on the ecological condition of an investigated environment caused by change of a microclimate as a result of anthropogenous influences and carrying over on the big distances of issues of harmful substances in atmosphere.

Reception of such information sets as the purpose working out of a database of complex ecological monitoring.

From the aforesaid it is clearly visible that ecological comfort of routes of cultural tourism and environments of historical and cultural monuments of Georgia are closely connected, as with aspects of modern climate changes, including, with microclimatic changes, and with questions of monitoring of transboundary pollution of atmosphere.

One of the main parts of monitoring transboundary air pollution is the study of the mineralization of atmospheric precipitations. The mineralization of atmospheric precipitations is conditioned by those concentrated aerosols and physical-chemical features, which are received from intermixing process of air masses or captured by cloud droplets. The great number of those particles appears as their condensation nuclei.

It is obvious that an atmospheric precipitation promotes circulation of substances in an environment and represents the basic mechanism of transboundary pollution of environments by carrying over of impurity of atmosphere on the big distances.

For today we have a material of long standard parallel supervision over a number of meteoelements and a mineralization of an atmospheric precipitation (a rain and snow). The Main objective of

our research was processing of this database which results are given in the presented work.

By means of the received results some theoretical and practical questions of monitoring of ecological comfort of an environment of tourist routes and historical and cultural monuments of the basic routes of cultural tourism of Georgia are worked.

With its help estimations of a role of transboundary carrying over of polluting substances on an ecological condition of environments of various regions of Georgia are possible, including: coastal, mountain and city (industrial).

Besides, as a result of processing of a database of eko-meteorological monitoring, estimations of microclimatic and ecological conditions of environments of some recreational areas are executed.

**Keywords:** Cultural tourism, an ecological load, environment, the nature protection policy, a mineralization, an atmospheric precipitation, a microclimate.

**Reviewer:** Tengiz Tsintsadze. Dr.Sci.Tech. The director of the Georgian hydro meteorological institute

**Гуния Гарри Сергеевич, Сванидзе Зизи Самуиловна,  
Герсамия Арчил Георгиевич, Сванидзе Лили Самуиловна  
Вопросы оценки результатов техногенной нагрузки  
окружающей среды культурного туризма с целью содействия  
политике экономического развития страны**

### **Резюме**

Грузия, одна из наиболее красивейших и замечательных регионов Кавказа, традиционно являющаяся важным туристическим центром в пространстве бывшего Советского Союза, и сегодня представляет один из популярных туристических пространств. Близость горных и морских курортов, многообразие природы, богатая флора и фауна, древнейшая культура и традиции дают значительные преимущества этому региону.

Несмотря на это, одной из актуальных современных проблем развития туризма в стране, является отсутствие адекватной информации об экологическом состоянии

исследуемой природной среды, обусловленном изменением микроклимата в результате атропогенных воздействий и переносом на большие расстояния эмиссий вредных вещества в атмосферу.

В связи с этим следует заметить, что захваченные воздушным потоком и вовлечённые в макромасштабный перенос, вредные примеси имеют ограниченное время жизни в атмосфере. Со временем, в результате вымывания осадками или гравитационного осаждения, они на различных расстояниях от своего образования осаждаются на подстилающую поверхность, что вызывает негативные изменения окружающей среды.

Кроме того, на фоне изменений глобального климата, большое значение имеет изменение местного климата. По многим оценкам, эти негативные явления принимают угрожающие размеры. Разработка превентивных мер от воздействия их результатов требует многообразной информации относительно изучения, оценки и прогноза состояния природной среды.

Получение такой информации ставит своей целью разработка базы данных комплексного экологического мониторинга.

Из вышеприведённого ясно видно, что экологическая комфортность маршрутов культурного туризма и природных сред историко-культурных памятников Грузии тесно связаны, как с аспектами современных изменений климата, в том числе, с микроклиматическими изменениями, так и с вопросами мониторинга трансграничного загрязнения атмосферы.

Одним из основных составляющих частей мониторинга трансграничного загрязнения природной среды является исследование минерализации атмосферных осадков.

Степень минерализации атмосферных осадков определяется концентрацией и физико-химическими свойствами частиц аэрозолей, как захваченных облачными каплями в процессе перемешивания воздушных масс, так и являющихся ядрами конденсаций облачных капель.

Очевидно, что атмосферные осадки способствуют круговороту веществ в природной среде и представляют собой основной механизм трансграничного загрязнения природных сред путем переноса примесей атмосферы на большие расстояния.

На сегодняшний день мы располагаем материалом длительных стандартных параллельных наблюдений за рядом

метеоэлементов и минерализацией атмосферных осадков (дождя и снега). Основной целью нашего исследования являлась обработка этой базы данных, результаты которой приведены в представленной работе.

При помощи полученных результатов проработаны некоторые теоретические и практические вопросы мониторинга экологической комфортности природной среды туристических маршрутов и историко-культурных памятников основных маршрутов культурного туризма Грузии.

Кроме того, в результате обработки базы данных эко-метеорологического мониторинга, выполнены оценки микроклиматического и экологического состояний природных сред ряда рекреационных районов.

**Ключевые слова:** Культурный туризм, экологическая нагрузка, окружающая среда, природоохранная политика, минерализация, атмосферные осадки, микроклимат.

**Рецензент:** Цинцадзе Тенгиз Нодариеич, доктор технических наук, директор Грузинского гидрометеорологического института.

## თამარ რევაზიშვილი მღვრადი განვითარება – თანამედროშობის ახუნდებელი მოთხოვნდობა

თანამედრივე გლობალურ პროცესებსა და ეკოლოგიურ პრობლემებს კაცობრიობა კატასტროფული შედეგებისკენ მიჰყავს. ადამიანთა სულ უფრო მზარდი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ბიოსფეროს ნგრევის გარეშე აღარ შეუძლია. სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ გლობალური ეკოკატასტროფისკენ აჩქარებული მოძრაობის ხასიათი მიიღო. ამასთან, საფრთხის ქვეშ დადგა ჩვენი მომავალი თაობების არა მარტო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება, არამედ მათი არსებობის შესაძლებლობაც კი. გაჩნდა იდეა, აღნიშნული წინააღმდეგობები დაძლეულ იქნეს საზოგადოების განვითარების ახალი მოდელით, რომელიც არ დაარღვევს ბუნების კანონებს, კაცობრიობას კი გადარჩენისა და უწყვეტი, მართვადი და მდგრადი განვითარების საშუალებას მისცემს.

მდგრადი განვითარების კონცეფცია გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაისახა, როგორც იმდროინდელი მეცნიერული ცოდნისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიზაციის ლოგიკური გაგრძელება. ჯერ კიდევ 1972 წელს გაეროს სტოკჰოლმის კონფერენციასზე შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა „გაეროს პროგრამა გარემოს შესახებ“, რომლის დანიშნულებაც იყო ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და მათი კავშირის დადგენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესთან.

1987 წელს გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიამ თავის მოხსენებაში „ჩვენი საერთო მომავალი“ მწვავედ დასვა საკითხი ცივილიზაციის განვითარების ახალი მოდელის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მდგრად განვითარებას ბუნებასთან ჰარმონიაში [1]. სწორედ ამის შემდეგ დამკვიდრდა ტერმინი „მდგრადი განვითარება“, რაც ნიშნავს საზოგადოების განვითარების ისეთ სისტემას, რომელიც „საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და



მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი“ [2].

1992 წლის ზაფხულში რიო-დე-ჟანეიროში გაეროს ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე 179 ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის: „გარემოსა და განვითარების რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციისა“ და „დღის წესრიგი 21“-ის მიღებით მსოფლიომ მხარი დაუჭირა ახლებურად აზროვნებასა და ცხოვრებას არა მატერიალური ინტერესებისა და უტოპიური იდეებისთვის, არამედ გლობალური საფრთხეების შეცნობისათვის, მსოფლიო ცივილიზაციის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. არსებითად, აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს შეთანხმებულ მოქმედებათა პროგრამას, რომლის რეალიზებისთვისაც თითოეული ქვეყნის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ინსტრუმენტს უნდა წარმოადგენდეს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია [3].

1996 წელს საქართველოს პრეზიდენტის №763 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს მდგრადი განვითარების სახელმწიფო კომისია „გარემოსა და განვითარების შესახებ გაეროს 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად და საქართველოს მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით“ [4].

სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამო საქართველოს მდგრადი განვითარების ნაციონალური სტრატეგიული გეგმა დღემდე შემუშავებული არა აქვს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით შეძლებისდაგვარად ბევრი რამ გაკეთდა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის 37-ე მუხლი საქართველოს ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. ამავე მუხლის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო

გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა.

მგრადი განვითარების პრინციპებს ეფუძნება 1996 წლის 10 დეკემბრის საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც ქმნის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ერთიანი სისტემის ფორმირების სამართლებრივ საფუძველს.

გარდა ამისა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მსოფლიო ბანკის, ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD), გაეროს განვითარების პროგრამის, TACIS-ის, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის, სხვადასხვა სახელმწიფოთა უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი და ქართველი ექსპერტების, მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს მხარდაჭერითა და თანამშრომლობით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში დაგეგმილი და განხორციელებულია 47 პროექტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სხვადასხვა სფეროებში.

მდგრადი განვითარების კონცეფცია აერთიანებს სამ ძირითად სფეროს: ეკონომიკურს, სოციალურსა და ეკოლოგიურს. მხოლოდ ამ სფეროების კომპლექსური და დაბალასებული განვითარებით არის შესაძლებელი დღევანდელი ეკოლოგიური სიტუაციის ნორმალიზება და გაუმჯობესება.

აღნიშნული ტრიადის ეკონომიკური შემადგენელი ეფუძნება ხიკს-ლინდალის ერთიანი შემოსავლის მაქსიმალური ნაკადის თეორიას, რომელიც გულისხმობს რაოდენობრივად შეზღუდული ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას; ენერგოდაზოგვითი ტექნოლოგიების დანერგვას, ნედლეულის მოპოვებისა და გადაამუშავების პროცესის ჩათვლით; ეკოლოგიურად მისაღები პროდუქციის წარმოებას; ნარჩენების მინიმიზაციას, გადაამუშავებასა და განადგურებას.

კონცეფციის სოციალური ნაწილი ორიენტირებულია ადამიანზე და მიმართულია სოციალური და კულტურული სისტემების სტაბილურობის შენარჩუნებისკენ, უმთავრესად კი, ადამიანთა შორის არსებული კონფლიქტებისა და დაძაბულობის შემცირებისკენ, რაც შემოსავლისა და კეთილდღეობის სამართლიანი განაწილებით მიიღწევა. კაცობრიობის განვითარების კონცეფციის ფარგლებში ადამიანი განვითარების სუბიექტია და არა ობიექტი, ამიტომ ის თვითონ უნდა ერთვებოდეს იმ პროცესებში, რომლების ქმნიან მისი არსებობისა და საქმიანობის სფეროს, თვითონ იღებდეს გადაწყვეტილებას ან მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასრულებდეს და აკონტროლებდეს მათ შესრულებას.

ეკოლოგიური თვალსაზრისით მდგრადი განვითარება გულისხმობს ბუნებრივი ბიოლოგიური და ფიზიკური, განსაკუთრებით კი ბიოსფეროს სტაბილურობის განმსაზღვრელი სისტემების შენარჩუნებას. ამ მხრივ, სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს ბუნებრივი სისტემების არა „იდეალური“ სტატისტიკური მდგომარეობის, არამედ მათი თვითადგენისა და დინამიური ადაპტაციის უნარის შენარჩუნება.

ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება ურთულესი ამოცანაა, რომელიც მოიცავს წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურების ცვლილებას, საინვესტიციო პოლიტიკას, ბუნებრივი რესურსების აღწარმოებასა და რაციონალურ მოხმარებას, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და რეგიონალურ პოლიტიკას. ასევე, საგარეო პოლიტიკის ასპექტებს, რომლებშიც ეკოლოგიური საკითხები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

მდგრადი განვითარების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკული და ზომიერი ინდიკატორების გამოვლენა, რაზეც მუშაობენ სხადასხვა ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო წრეები. ზემოხსენებული ტრიადიდან გამომდინარე, ინდიკატორებმა უნდა დააკავშირონ სამივე კომპონენტი და გამოხატონ ეკონომიკური ეკოლოგიური

და სოციალური ასპექტები, ვინაიდან მომავალში ქვეყნები განვითარდებიან არა ტრადიციული ეკონომიკური განვითარებით, არამედ სამინდიკატური მდგრადი განვითარების ფარგლებში (ეკონომიკა, სოციალური სფერო, ეკოლოგია).

მდგრადი განვითარებაზე გადასვლა გლობალური პროცესია. ვერც ერთი ქვეყანა მარტო ვერ ივლის ამ გზაზე. მდგრადი განვითარება მიიღწევა მსოფლიო თანამეგობრობის გაერთიანებული ძალისხმევით. ამ პროცესში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის სიღარიბის აღმოფხვრა. დღეს მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სულ უფრო და უფრო ძნელდება. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან ცნობილია, რომ რაც უფრო დიდია ცხოვრების დონეთა სხვაობა საზოგადოების ფენებს შორის ანდა ქვეყნებს შორის, მით ნაკლებსავარაუდოა საზოგადოებრივი ურთიერთობები და კავშირები მათ შორის და აქედან გამომდინარე, მით ნაკლებად მისაღწევია მდგრადი განვითარება. ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობა განისაზღვრება მისი მოსახლეობის შრომითა და მიღწევებით, არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებით ნაციონალური პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად.

მდგრადი განვითარების მიზნით ქვეყნები ადგენენ ეფექტურ საკანონმდებლო აქტებს გარემოს დაცვის სფეროში. ამასთან, ეკოლოგიური სტანდარტები, რეგლამენტაციის მიზნები და პრიორიტეტები ადეკვატურად უნდა გამოხატავდნენ გარემოს მდგომარეობასა და ქვეყნის განვითარების პირობებს. ასევე, გასათვალისწინებელია რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის კიდევ ერთი თეზისი: „მშვიდობა, განვითარება და გარემოს დაცვა ურთიერთდაკავშირებული და განუყოფელია“[3]. შეუძლებელია საბრძოლო იარაღის, აღჭურვისა და სამხედრო ტექნიკის შექმნა გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების გარეშე. ბირთვული და ქიმიური იარაღის, ატომური ფლოტის, სარაკეტო დანადგარების უტილიზაცია და განადგურება მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს და ეკოლოგიურად მეტად სახიფათო პროცედურაა. ამას ემატება ეკონომიკური და სოციალური

დანაკარგები, რასაც სამხედრო მრეწველობა მოითხოვს. აქედან გამომდინარე, გასაგებია მდგრადი განვითარების კიდევ ერთი პირობა: ბრძოლა მშვიდობისთვის, სამხედრო შეიარაღებისა და დანახარჯების შემცირებისთვის, იმ მინიმალური სამხედრო ტვირთის ეკოლოგიზაციისთვის, რაც ობიექტურად აუცილებელია სახელმწიფოსთვის.

მდგრად განვითარებაზე გადასვლა, რაც გულისხმობს ბისფეროს კანონების დაცვით საზოგადოებისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიზაციას, მეტად რთული, ხანგრძლივი და მრავალფაქტორული პროცესია. მიუხედავად საერთაშორისო ინსტიტუტების აქტიური მოქმედებისა, მრავალრიცხოვანი დოკუმენტების მიღებისა და დეკლარირებისა, ამ მხრივ სიტუაცია მსოფლიოში ჯერ-ჯერობით არ გამოსწორებულა. ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ვერ ხერხდება ყველა ეკონომიკური ობიექტის იძულება დაემორჩილოს შემოთავაზებულ პრინციპებსა და რეკომენდაციებს; არ არსებობს ყველა მეწარმის რეალურად გაკონტროლების მექანიზმი. დღევანდელი მდგომარეობა ზუსტად აქვს აღწერილი ალბერ გორს წიგნში „დედამიწა სასწორზე“: ჩვენი ცივილიზაცია ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ბუნებრივ რესურსს ხარჯავს, რომელიც მიზნობრივთან ერთად წარმოქმნის გარემოს დამაბინძურებელი ნაეხენებისა და უსარგებლო თანამდევ პროდუქტთა მთები (რომელთა უსარგებლო რეკლამირებაზე მილიარდები იხარჯება), ჭარბი საქონელი, რომელიც ფასსაც აგდებს და საბოლოოდ ნაგავსაყრელზე ხვდება... მატერიალურ ფასეულობათა დაგროვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ისევე, როგორც იმ ადამიანთა რიცხვმა, რომლებმაც შეიცნეს ცხოვრების ამაოება [5]

ამგვარად, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაცია ურთულესი პროცესია, რომელიც მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხრის ინტერესთა თანხვედრას. სწორედ ამიტომ, დაუბალანსებელი შედეგების თავიდან აცილების მიაზნით, საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ამ ფაქტორების ინტეგრაციას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

## **ლიტერატურა** **References**

1. NaShe obshee budushee. Doklad mejdunarodnoi komisii po okrujaiushei srede i razvitiu. Per s anglis. /Pod red. S.A. Evteeva, R.A. Pereleta /. M.: Progress, 1989. (Russian)
2. SaqarTvelos kanoni „garemos dacvis Sesaxeb“, 1996w. 10 dekemberi, muxli 4. (Georgian)
3. Povestka dnia Na 21 vek. Konferencia OON po ochrane okrujaiushei srede i razvitiu. Rio-de-Janeiro, iul 1992. Izvlechenia, M: Centr koordinacii i informacii socialno-ekonomicheskogo soiuza, 1997, s. 31. (Russian)
4. SaqarTvelo. Mdgradi ganviTarebis erovnuli Sefasebis angariSi. 2002, gv. 28. (Georgian)
5. Gor A. Zemlia na chashe vesov. Per. s. angl. M.: PPP. 1993, s. 243. (Russian)

## **Tamar Revazishvili** **Sustainable Development in the context of civilization process**

### **Summary**

Modern global process and ecological problems are the causes of catastrophic results for humans. Satisfaction of increasing material requirements of humans is not without of destroying the biosphere. Satisfaction of interest and important requirements, and possibilities of existence of them of our future generation is under the danger. There is an idea, to exceed the abovementioned counteractions by the new model of development of community, which will not destroy the laws of nature, and it should save the humanity and gives the continued, controllable and sustainable development.

In Summer, 1992, at the conference, carried out by the mission of organization of United Nations in Rio-de-Janeiro, which was dedicated to the development and environment, two important documents were adopted by the representatives of 179 countries: "Declaration of Rio-de-Janeiro for environment and development" and "Day agenda 21". Aforesaid documents are the program of agreed actions, which needs the national strategy of sustainable development of each country's political and organizational instrument.

Conception of sustainable development unites three main spheres: Economical, social and ecological. Only by the complex and balanced development of these spheres, it is possible to normalize and improvement of current ecological situation.

Movement to the sustainable development is the global process. It should be reached by the united forces of worlds' commonwealth. One of the important questions of this process is to eradicate the poorness. Also, the fight for freedom and total demilitarize is important, creation of legal base of environment and stable development. Herewith, legislation acts, ecological standards, aims of regalement and priorities must be adequately expresses the condition of environment and condition of country's development.

Movement to the sustainable development, which means the harmonization of natural environment and biosphere laws safety communities, is very difficult, long-term and multifactor process. Notwithstanding of active actions of international institutions, adoption of numerous documents and declaration, the situation in the world was not improved yet. One of the reasons of it is that the subordination for all offered principles and recommendations is not possible. There is not any mechanism, which can control each of the entrepreneurs.

Thus, the integration of economical, social and environmental questions is the difficult process, which needs the meeting of all interested parties. That is why, in order to avoid the unbalanced results, integration of these factors at all stages of communities development is awarded the important role.

**Keywords:** sustainable development, modern global, ecological problems, Day agenda 21, ecological standards, the condition of environment, the integration.

**Reviewer** – professor Zizi Svanidze, Georgian Technical University

**Ревазишвили Тамара Николаевна**

**Устойчивое развитие - обязательное требование современности**

**Резюме**

Современные глобальные процессы и экологические проблемы ведут человечество к катастрофическим последствиям. Удовлетворение все более возрастающих

материальных потребностей людей уже невозможно без разрушения биосферы. Под удар встало удовлетворение не только жизненноважных потребностей и интересов нашего будущего поколения, но и само их существование. Появилась идея - преодолеть указанные препятствия с помощью новой модели развития общества, которая не будет нарушать законы природы, а человечеству даст возможность спасения и непрерывного, управляемого и устойчивого развития.

Летом 1992 г. в Рио-де-Жанейро, под эгидой ООН была проведена международная конференция по окружающей среде и развитию, на которой представителями 179 стран было принято два важных документа: «Декларация Рио-де-Жанейро по ООН и развитию» и «Повестка дня на XXI век». Указанные документы представляют программу договоренных действий, для реализации которой политическим и организационным инструментом каждой страны должна быть национальная стратегия устойчивого развития.

Концепция устойчивого развития объединяет три основные сферы: экономическую, социальную и экологическую. Только с помощью комплексного и сбалансированного развития этих сфер, возможна нормализация и улучшение существующей экологической ситуации.

Переход на устойчивое развитие является глобальным процессом. Его можно достичь только путем объединения усилий мирового сообщества. Одним из важнейших вопросов этого процесса является искоренение бедности, борьба за мирное сосуществование и всеобщее разоружение, создание правовой базы защиты окружающей среды и устойчивого развития. Вместе с тем, законодательные акты, экологические стандарты, цели и приоритеты регламентации должны адекватно отображать состояние окружающей среды и условия развития страны.

Переход на устойчивое развитие, что подразумевает гармонизацию общества и окружающей среды, довольно трудный, долгий и многофакторный процесс. Несмотря на активные действия международных институтов, принятия и декларирования многочисленных документов, ситуация в мире в этом отношении пока не улучшилась. Одной из причин является то, что невозможно подчинить экономические объекты, предложенным принципам и рекомендациям. Не существует механизм реального контроля предпринимателей.



Исходя из этого, интеграция экономических, социальных и природоохранных вопросов является сложнейшим процессом, который требует совместимости интересов всех заинтересованных сторон. Именно поэтому, с целью избежания несбалансированных результатов, на каждом этапе развития общества, важная роль отводится интеграции этих факторов.

**Ключевые слова:** устойчивое развитие, глобальные процессы, экологические проблемы, Повестка дня на XXI век, экологические стандарты, состояние окружающей среды, интеграция.

**Рецензент:** профессор Сванидзе Зизи Самуиловна, Грузинский Технический Университет

## შაბა ლომიძე, ოთარ ქოჩორაძე საქართველოს ენერჯო უსაფრთხოება

თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტენდენციებმა სახელმწიფოთა ძალისხმევას, ენერჯო უსაფრთხოების სფეროში, ახალი პირობები წაუყენა და პრობლემების გადაწყვეტისთვის ახლებური მიდგომები მოითხოვა. საჭირო გახდა საკუთარი ადგილის პოვნა მსოფლიოს ახალ გეოპოლიტიკურ წესრიგში, საგარეო ზეწოლისაგან საკუთარი ტერიტორიული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ენერგეტიკული უსაფრთხოების დაცვა. სხვა მოთამაშეების პოლიტიკური მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინება, როგორც რეგიონალურ ისე გლობალურ დონეზე, უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინტერესების გაცნობიერებისა და გათვალისწინების საფუძველზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია ვაჩვენოთ, რომ საქართველოს ენერჯო უსაფრთხოების სისტემის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მსოფლიოსა და რეგიონის ქვეყნების ენერჯო უსაფრთხოების სისტემების საერთო პრიორიტეტები. ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში კი წინ წამოიწევეს ქვეყნებს შორის რეალურად არსებული გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული სხვაობა და აქედან გამომდინარე არსებული განსხვავებული ინტერესები. განსხვავებული ინტერესები კი შესაბამისად იწვევენ განსხვავებულ შეფასებებს, მიდგომებს და, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმას. ეს კი თავის მხრივ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ენერჯო უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობასა და ქმედითუნარიანობაზე.

ენერჯო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მისი დეპოლიტიზირება. მართლაც და კონკურენცია, აგებული ეკონომიკურ პრინციპებზე, კონკურენცია მომხმარებელათვის წარმოადგენს ლოგიკურს და გასაგებს. მაგრამ, წინმსწრები მოთხოვნების პირობებში, ენერგეტიკული რესურსების ნებისმიერ გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მივყავართ კონფლიქტებამდე, რომელთა შემდგომი განვითარება ფაქტიურად გაუთვლადია. თვით

მცდელობაც კი, გავხადოთ ენერგეტიკა, ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობა, პოლიტიკური დაპირისპირების საგნად, წარმოადგენს გამოწვევას გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების სისტემისადმი.

გაზის ფასისა და მისი ტრანსპორტირების საკითხზე წარმოქმნილი რუსულ-უკრაინული და რუსულ-ბელორისული დაპირისპირების შემდეგ ევროკავშირში დაიწყო საუბარი მოწოდების დივერსიფიცირების აუცილებლობის შესახებ. ევროკავშირის წარმომადგენლები თავიდანვე შეეცადნენ გამოემუშავებინათ ერთობლივი ხისტი პოზიცია რუსეთთან მიმართებაში, და პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელისმოწერა მიებათ რუსეთის მიერ ენერგო ქარტიაზე ხელის მოწერასთან.

დივერსიფიკაციის ვარიანტების ძიებას ევროპელები დიდი ხანია აწარმოებდნენ, 2006 წლიდან კი გააძლიერეს აქტივობა. კერძოდ მათ დაიწყო მოლაპარაკებები ყაზახეთთან, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, უკრაინასთან. საუბარი იყო არა მარტო ნავთობისა და გაზის საბადოებზე დაშვებაზე, არამედ აგრეთვე ნავთობსადენებისა და გაზსადენების მშენებლობის გეგმებზე, და მათ შორის, რუსეთის გვერდის ავლით.

რუსეთმა უარი თქვა ხელის მოწერა ამ დოკუმენტზე, იმ სახით რა სახითაც იგი შესთავაზა ევროკავშირმა, იმ მიზეზით, რომ რუსებმა იგი მიიჩნიეს ეკონომიკურად არახელსაყრელად. ენერგეტიკული ქარტია მოითხოვს საბადოებისა და მილსადენებისადმი პარტნიორების თანაბარ დაშვებას, ხოლო რუსები მიიჩნევდნენ, რომ ევროპელ პარტნიორებს არ შეუძლიათ შესთავაზონ ის რესურსები, რომლებიც იქნებიან მის განკარგულებაში მყოფი რესურსების ადეკვატური.

რუსეთი და ევროკავშირი თანხმდებიან იმის შესახებ, რომ უნდა არსებობდეს ენერგეტიკული უსაფრთხოება შემდეგი გაგებით: ენერგო რესურსების მოწოდებისა და ენერგო მომსახურების მომხმარებლის ურთიერთ დამოკიდებული პასუხისმგებლობა. ევროკავშირს უნდა, რომ რუსეთის მხრიდან მოცემული პასუხისმგებლობა გარანტირებული იყოს ევროპული

კომპანიების დაშვებით რუსეთის ენერგეტიკული აქტივებისადმი. რუსეთი მიუთითებს ამდაგვარი გარანტიების ეკონომიკურ არაადეკვატურობაზე და თავის მხრივ მოითხოვს ევროპაში ენერგეტიკული ქსელების განაწილების, ანუ ევროკავშირის ქვეყნების შიდა ენერგეტიკული ბიზნესის, აქტივებისადმი დაშვებას. რუსები ამაში მოაზრებენ რუსეთისა და ევროპის ინტეგრაციის გაძლიერებას. ევოპელები, თავის მხრივ, სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ურთიერთ დამოკიდებულების კიდევ უფრო გაძლიერება გახდება კიდევ უფრო მეტი პრობლემების წყარო მისი ენერგო უსაფრთხოებისათვის, და იხსენებენ 2006 წლის რუსულ-უკრაინული და 2007 წლის რუსულ-ბელორისული დაპირისპირებას. ყოველივე ამით არის განპირობებული, ევროპისა და ნაწილობრივ აშშ-ს გააქტიურება მოწოდების ახალი ენერგეტიკული არხების შესაქმნელად.

დღეისათვის კაცობრიობის მიერ მოხმარებული ენერჯის 85% გამოქუშავდება ორგანული საწვავისაგან, ეს არის ენერჯის არაგანახლებადი წყაროები. ადრე თუ გვიან ამოწურება მათი მარაგი. პროგნოზის მიხედვით, 2025 წლისათვის, მთელი მსოფლიოს მოთხოვნილება ენერგო რესურსებში გაიზრდება 1.5-ჯერ, ამავდროულად, ორგანული საწვავის, როგორც ენერჯის წყაროს, ხვედრითი წილი სულ უფრო გაიზრდება და 2030 წლისათვის გახდება 90%-ზე მეტი. კაცობრიობას 2025 წლისათვის დღეში დასჭირდება 35 მილიონი ბარელი ნავთობი (მატება 42%) და 1,7 ტრილიონი კუბომეტრი გაზი წელიწადში (მატება 60%).

ენერგეტიკა, არსებული ზრდის ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში, ახალი საბადოების აღმოჩენის გათვალისწინებით, პირველადი ენერგო რესურსებით საკმარისად მომარაგებული იქნება 70-100 წლის განმავლობაში. მაგრამ ნავთობისა და გაზის დეფიციტი საგრძნობი გახდება უკვე 2030-2040 წლებში. ამ დროისათვის ნავთობისა და გაზის დიდი მოცულობით ექსპორტირებას შესძლებენ მხოლოდ მახლობელი აღმოსავლეთისა და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნები, გაზს – რუსეთი. შესაბამისად განსაკუთრებულ

მნიშვნელობას შეიძენენ ამ ქვეყნებისა და საწვავის მოწოდების სატრანზიტო ქვეყნების ტერიტორიები.

თავისთავად ცხადია, რომ ნავთობი და გაზი უეცრად და კატასტროფულად, დროის მოკლე მონაკვეთში არ ამოიწურება. მომავალი კრიზისის პირველი საგანგაშო ნიშანი იქნება შეთავაზებისა და მოთხოვნის სულ უფრო მზარდი ჩამორჩენა. სხვადასხვა შეფასებებით, ნავთობის ბაზრისათვის ეს მოხდება უახლოეს 10-15 წელიწადში. ნავთობის, როგორც ძრავის საწვავის ძირითადი წყაროს, განსაკუთრებული როლი შენარჩუნებული იქნება კიდევ უახლოესი 30-50 წლის განმავლობაში, ამიტომ მისი დეფიციტი გამოიწვევს სერიოზულ ჩავარდნას სახადასხვა სახელმწიფოების ეკონომიკის ფუნქციონირებაში, ვინაიდან სამრეწველო მასშტაბში ნავთობის შემცველი ჯერ არ არსებობს.

სარესურსო, ეკონომიკური, ეკოლოგიური და პოლიტიკური პრობლემების გლობალური გამწვავება, წარმოქმნილი ენერჯის წარმოების თანამედროვე საშუალებებით, გადაუდებლად მოითხოვს ენერჯის პრინციპულად ახალი წყაროების მოძიებას.

ენერჯის განახლებადი წყაროების მასშტაბური გამოყენება საგრძნობ წვლილს შეიტანს ენერჯის მომხმარებელთა უზრუნველყოფის გრძელვადიან პერსპექტივაში, და ამავდროულად არ მოახდენს ნეგატიურ გავლენას კლიმატზე. განახლებადი ენერჯის წყაროები – მზის, ქარის, გეოთერმული, ჰიდროენერჯია და ბიომასა – იძენენ სულ უფრო მეტ საფასო კონკურენტუნარიანობას საწვავის ტრადიციულ სახეებთან მიმართებაში, ხოლო მათი გამოყენების მთელი რიგი სახეები რენტაბელურია უკვე დღეს.

განახლებადი ენერჯის განვითარების მსოფლიო გამოცდილება, ამ დარგში მუშაობის გამოცდილება თვალნათლივ მეტყველებს იმაზე, რომ აუცილებელია განახლებადი ენერჯეტიკის მხარდაჭერა სახელმწიფო ორგანოების: საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების მხრიდან. ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების განვითარების ძირითად წინააღმდეგობას წარმოადგენს, უზარმაზარი პოტენციალური მოთხოვნილების დროს, მოსახლეობისა და საწარმოების დაბალი

გადახდისუნარიანობა. არადა ენერჯის განახლებადი წყაროების უპირატესობა სახეზეა: სათბური გაზების ემისიების არქონა, თვით ელექტროსადგურები და საქვებოები, რომლებიც მუშაობენ ბიომასაზე ან მისგან მიღებულ გაზე ან თხევად საწვავზე, არ ზრდიან ნახშირწყალბადის გაზის ოდენობას, ვინაიდან წვის დროს გამოყოფენ იმდენს, რამდენიც შთანთქმული იქნა მცენარეებისა და ხეების მიერ.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ქართველ ექსპერტთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება და ქვეყნის ენერჯო უსაფრთხოების გაზრდა შესაძლებელია განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების გზით. გარდა ამისა, ეს საშუალებას იძლევა სათბური გაზების გაფრქვევის შემცირებით შემცირდეს გარემოზე მავნე ზემოქმედება, რაც საქართველოსთვის ხელსაყრელია სუფთა განვითარების მექანიზმის გამოყენებით ემისიებით ვაჭრობაში მონაწილეობის თვალსაზრისით. (სეკვესტრირებული ემისიების რაოდენობა ტონებში დაფიქსირდეს სერტიფიკატში, რომელიც საერთაშორისო ვჭრობის ერთ-ერთი პროდუქტია და მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევა. 1 ტონა ემისიის შემცირება საერთაშორისო ბაზარზე 25 ევრო ღირს).

ამისათვის კი უნდა უნდა შემუშავდეს: სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება განახლებადების განვითარების ხელშეწყობის ეტაპები და მექანიზმები; შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს განახლებადი ენერჯების განვითარებას; განახლებადების ბაზარზე დაშვების საბაზრო წესები ისე, როგორც ეს არსებობს ელექტროენერჯისა და გაზთან მიმართებაში; საქართველომ უნდა გამოიყენოს სუფთა განვითარების მექანიზმით გათვალისწინებული ყველა პირობა და ჩაერთოს ემისიებით ვაჭრობაში

და ბოლოს ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ენერჯო უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე და სამომავლო პერსპექტიული ცვლილებები ყველაზე ეფექტიანი მაშინ იქნება, როცა ამ სფეროში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა საქართველოს მოქალაქეთა სრული ნდობითა და მხარდაჭერით ისარგებლებს.

## **ლიტერატურა:**

### **References**

1. Morgenthau Hans J. Politics among Nations. The Struggle for Power and Peace. Second Edition, Alfred a. Knopf New York, 1955.
2. arnold uolfersi. erovnuლი usაfrTxoeბა, rogorc orazrovani simbolo. //saerTaSoriso urTierTobebis Teoria. Tb., 2004.
3. robert jervisi. TanamSromloba usაfrTxoeბის dileმის pirobebSi. //saerTaSoriso urTierTobebis Teoria. Tb., 2004
4. The World Factbook (CIA)
5. <http://www.res.ethz.ch/analysis/rad/>.
6. [www.transparency.ge](http://www.transparency.ge)
7. [www.mineenergy.gov.ge](http://www.mineenergy.gov.ge).
8. [www.gogc.ge](http://www.gogc.ge)
9. <http://ibulletin.wordpress.com>

**Jaba Lomidze**

**Otar Kochoradze**

**A power security of Georgia**

### **Summary**

The present world power safety have put in new terms towards the states' power safety activity and demanded the new approaches of problem solving. It became necessary to find one's place in the new geopolitical order of the world, to protect one's own territorial, economic, social, cultural, power safety from foreign pressure. The account of interests and political ends of other players, both on regional and at a global level, first of all on the basis of comprehension and the account of own interests.

The major condition of power safety is depolitization. Really, the competition constructed on economic principles, a competition for the consumer is the logical and clear phenomenon. However, any use of power resources in political ends in the circumstances advancing demand conducts to conflicts which development can be unpredictable. Attempt to make of power, as a necessary condition of economic growth, the subject of political opposition is a call to global system of power safety.

Diversification the Europe has started search of variants already enough for a long time and in 2006 conducted them actively enough. In particular, negotiations with such countries as

Kazakhstan, Azerbaijan, Turkmenistan and Ukraine took place. It was a question as of reception of access to oil fields and gas, and about plans of construction of oil pipelines and gas mains, including, around of Russia.

The global aggravation of the resource, economic, ecological and political problems generated in the modern way of manufacture of energy, urgently demands search of essentially new energy sources.

World experience of development of renewed power, operational experiences in this branch testify to an imperative need of support of renewed power from the state bodies: the Governments of Georgia and regional authorities. The basic obstacles of development of use renewed energy sources is low solvent demand of the population and the enterprises at a huge potential demand. Conclusive advantage Renewed energy sources absence of issue of hotbed gases and even power station and boiler-houses on a biomass or gas received from it or liquid fuel do not increase quantity of carbonic gas as at its burning it is allocated so much, how many has been absorbed by plants and trees.

**Keywords:** Power safety, depolitization, diversification, resource, new energy sources, renewed energy.

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**ლომიძე ჯაბა ანდრევიჩ,  
კოჩორაძე ოთარ გეორგიევიჩ  
Энергетическая безопасность Грузии**

### **Резюме**

Тенденции современного Мирового развития требуют от государств новых подходов к сфере энергетической безопасности. Нужно найти свое место в новой геополитической транзакции. Защитить свою территориальную, экономическую, социальную, культурную, энергетическую безопасность от внешнего влияния. Необходимо учесть политические цели и интересы других игроков как на региональном, так и на глобальном уровнях, в первую очередь на основе осмысления и учета своих собственных интересов.



Основным фактором нормального функционирования системы энергетической безопасности Грузии являются общие приоритеты региональной и мировой системы энергетической безопасности, без учета которых невозможно её эффективное и действенное функционирование.

Мы считаем, что основным условием энергетической безопасности Грузии является деполитизация этой сферы. Использование энергетических ресурсов для достижения политических целей является вызовом не только к объекту воздействия, но и ко всей глобальной системе энергетической безопасности.

Глобальное обострение ресурсовых, экономических, экологических и политических проблем, вызванное современной технологией добыwania и производства энергии требуют неотложных поисков новых источников энергии.

Мировой опыт развития возобновляемых источников энергии свидетельствует о том, что без государственной поддержки программа альтернативной энергии - энергии солнца, ветра, геотермальных вод, биогаза и других источников экологически-чистой энергии – малоперспективна, из-за низкого уровня платежеспособности населения. Именно поэтому, одним из приоритетов министерства энергетики Грузии, и всего Правительства в целом, должна стать долгосрочная программа использования, реализации и развития возобновляемых источников энергии

**Ключевые слова:** энергетическая безопасность, деполитизация, диверсификация, новые источники энергии, ресурсы, возобновляемая энергия.

**Рецензент:** профессор Догондзе Шота Акакиевич, Грузинский технический университет.

# ე კ ო ნ ო მ ი კ ა

## ეკონომიკური, თანამართლები, მართლმართლები რეგიონების მარკეტინგული კვლევის პრინციპები

თანამართლები ეკონომიკური განვითარება ხასიათდება გამოკვეთილი ტენდენციებით, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება გლობალიზაცია, რეგიონალიზაცია, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბება. პირველი ორი ტენდენცია ეწინააღმდეგება ერთმანეთს. გლობალიზაცია იწვევს: ეკონომიკურ პროცესებსა და ურთიერთქმედებებში სახელმწიფოს საზღვრების მოშლას, შრომისა და კაპიტალის მობილურობის ზრდას, ერთიანი სტანდარტებისა და ნორმების განვითარებას და შესაბამისად რეგიონების უნიფიკაციას. ამავდროულად, იზრდება ტენდენცია რეგიონალიზაციისაკენ, რომელიც გამოიხატება რეგიონების ავტონომიურობის ამაღლებაში, საკუთარი უნიკალურობის შენარჩუნებისკენ სწრაფვაში და რეგიონის როლის ამაღლებაში ეროვნულსა და მსოფლიო ეკონომიკაში.

გლობალიზაცია განაპირობებს კონკურენტული პროცესების გაშლას მსოფლიო ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა დონეებზე – მეგა, მაკრო, მეზო და მიკრო დონეებზე; პრაქტიკულად ყველა ტერიტორია და რეგიონი ჩათრეული აღმოჩნდება კონკურენტულ ურთიერთობებში. ამავდროულად ძლიერდება ლოკალური პროცესების როლი ფირმებისა და რეგიონების განვითარებაში. საბოლოო ჯამში არსებითად იცვლება ცალკე აღებული რეგიონის როლი მსოფლიო ეკონომიკაში. რეგიონი თანდათანობით ხდება შედარებით დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც შედის კონკურენტულ ურთიერთობებში როგორც სარეგიონთაშორისო ურთიერთობებში, ისე მსოფლიო ბაზარზე.

რეგიონების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს საფრთხეთა აცილებას და გამოიყენებდეს გარე სამყაროს ხელშემწყობ

შესაძლებლობებს. ძირითად საფრთხეს რეგიონები განიცდიან კონკურენტული გარემოსგან. ამიტომ, უსაფრთხოების სისტემა უნდა იყოს მიმართული გარე სამყაროდან მომავალ საფრთხესთან საბრძოლველად. ეს საფრთხეები გულისხმობენ იმას, რომ სხვა რეგიონებიც იბრძვიან არსებული შეზღუდული რესურსების გამოყენებისთვის. აქტიური თავდაცვა გულისხმობს ღონისძიებათა რიგს, რომელიც ემსახურება გარე და შიდა სამყაროს საფრთხეთა გამოვლენასა და ლიკვიდაციას. ამ მიზნებისთვის რეგიონის აქტიური უსაფრთხოების სისტემა უნდა ახორციელებდეს გარემოს ძირითადი პარამეტრების მონიტორინგს და ავლენდეს მათზე ზემოქმედი არსებითი ფაქტორების გავლენას.

კონკურენციის საინფორმაციო ხასიათის განვითარება წარმოშობს რეგიონში საინფორმაციო-სტრატეგიული ინჟინერიის კომპლექსის შექმნის ამოცანას, რომელიც თავისთავად უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური დაზვერვის სისტემას, რაც უნდა იქნას გაგებული, როგორც საინფორმაციო ქსელთა სისტემა, რომელსაც შეუძლია რეგიონული სუბიექტებისთვის სასარგებლო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გავრცელება. ეს ინფორმაცია უპირველეს ყოვლისა ეხება რეგიონის უმთავრეს კომპეტენციებს, სხვა რეგიონების მოწინავე გამოცდილებას. არსებობს ბევრი მაგალითი, როდესაც უნიკალური კომპეტენციები და ნოუ-ჰაუ არ პოულობენ გამოყენებას რეგიონში, თუმცა მრავალი სტრუქტურა მათზე მოთხოვნას განიცდის, სამაგიეროდ გამოიყენება სხვა რეგიონებში. თავის მხრივ ცალკეული ეკონომიკური სუბიექტები და ხელისუფლებები არ ფლობენ ინფორმაციას სხვა რეგიონების კომპეტენციის თაობაზე.

რეგიონული პოლიტიკა, ტრადიციული მიდგომით განიხილება როგორც სხვადასხვა სახის უთანასწორობის შემცირება, რომელიც უკვე აღარ პასუხობს რეგიონული განვითარების თანამედროვე ამოცანებს. ის აუცილებელ ელემენტად უნდა განიხილებოდეს კონკურენტული, და უფრო ზოგადად მარკეტინგული პოლიტიკისათვის. რეგიონის მარკეტინგი განისაზღვრება, როგორც ბაზრის სხვადასხვა სუბიექტებთან ისეთი ურთიერთქმედების

დამყარების შექმნისა და მხარდაჭერის ხერხი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ხელსაყრელ პოზიციას რესურსებისა და მიზნობრივი ბაზრების მიმართ.

ამდგავარად, რეგიონის მარკეტინგი მიმართულია რეგიონის კონტრაგენტების მოთხოვნილებების გამოვლენისაკენ, ურთიერთშეთანხმებული ინტერესების დამყარებისაკენ სხვა რეგიონებთან და ამის საფუძველზე, რეგიონში კონკურენტული წარმატებისა და სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევისაკენ.

აუცილებელია განისაზღვროს მარკეტინგის, როგორც საბაზრო სტრატეგიული მართვის კონცეფციის შემდეგი პრინციპები:

1. მიზანმიმართულობა—რეგიონის მარკეტინგის მიზნების განსაზღვრა;
2. რეგიონის სტრატეგიის გამომუშავება მისი საბაზრო შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე, რეგიონის ძლიერი და სუსტი თვისებების გამოვლენა, მისი კონკურენტუნარიანობის გამოვლენა;
3. მიზნობრივი ბაზრებისა და პოზიციონირების ხერხების ამორჩევა;
4. მხარეთა ინტერესების შეთანხმება;
5. მარკეტინგის საორგანიზაციო სტრუქტურის განსაზღვრა;
6. მარკეტინგის რეალიზაციისა და აუდიტის ტაქტიკის შემუშავება.

მარკეტინგის რეგიონულ სუბიექტებს წარმოადგენენ რეგიონული და მუნიციპალური მართვის ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ მეწარმის ან მენეჯერის როლში, რომელებიც წარმოადგენს რეგიონის, როგორც სპეციფიური სუბიექტის—კორპორაციის ინტერესებს. რეგიონული მარკეტინგი ისახავს რამოდენიმე მიზანს:

– დასაქმების დონის ამაღლებას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ხელსაყრელი დემოგრაფიული სტრუქტურის ფორმირებას, სოციალურ და კულტურულ პროგრესს, გარემოს დაცვასა და ეკოლოგიური

მდგომარეობის გაუმჯობესებას;

- რეგიონის სარესურსო პოტენციალის მომგებიან რეალიზაციას;
- რეგიონის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
- რეგიონში ახალი საწარმოებისა და ინვესტორების მოზიდვას სხვა რეგიონებიდან და ქვეყნებიდან;
- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას;
- რეგიონში პროდუქციისა და მომსახურების ახალი მომხმარებლის მოზიდვას;
- რეგიონის დადებითი იმიჯის უზრუნველყოფას მთელ ქვეყანაში და საზღვარგარეთ;
- შიდა მარკეტინგს, რომელიც ემსახურება რეგიონში კორპორაციული კულტურის ტერიტორიის ფასეულობათა და თვითიდენტიფიკაციის სისტემის შექმნას, რეგიონის სოციალური კაპიტალის განვითარებას.

მარკეტინგის ობიექტებს წარმოადგენენ მარკეტინგული ზემოქმედების მიზნობრივი ჯგუფები, ისეთები როგორც სამამულო და უცხოელი ინვესტორები, მართვის ფედერალური ორგანოები, მუშაკთა მიზნობრივი ჯგუფები, რომელთა მოხმარება ასახავს რეგიონულ სპეციფიკას (ტურისტული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, მომსახურება).

მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება შეიცავს 4 ეტაპს:

1. შიდა გარემოს ანალიზს;
2. გარე სამყაროს ანალიზს;
3. სხვა რეგიონებთან მიმართებაში რეგიონის კონკურენტული პოზიციების ანალიზს;
4. რეგიონის კონკურენტული პოზიციების გაუმჯობესების მეთოდების შემუშავებას.

გამოვლენილი უპირატესობების საფუძველზე განისაზღვრება ტერიტორიის სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობები, რომლებიც წარმოადგენენ რეგიონის მარკეტინგული სტრატეგიების პოზიციონირების საფუძველს.

პოზიციონირება ამ შემთხვევაში, უნდა

განისაზღვრებოდეს, როგორც რეგიონის ძლიერი თვისებების კიდევ უფრო გაძლიერება, არა მარტო და არა იმდენად იმ თვისებების, რომლებითაც რეგიონი გამოირჩეოდა წარსულში, არამედ იმ თვისებებით, რომლებიც მიმართულია მომავლისაკენ. რეგიონის მარკეტინგის პროგრამა, რომელიც უნდა განსხვავდებოდეს ყოველი ცალკეული რეგიონისთვის, უნდა შეიცავდეს შემდეგ აუცილებელ სტრატეგიულ მიმართულებებს-მარკეტინგს:

1. ტერიტორიის საინვესტიციო მიმზიდველობას;
2. იმიჯს;
3. ღირშესანიშნაობებს;
4. ინფრასტრუქტურას;

მოქალაქეთა, პოლიტიკოსთა, ორგანიზაციათა მხრიდან მხარდაჭერის უზრუნველყოფა ითხოვს ურთიერთქმედების მარკეტინგის გაზრდას, რომელიც მიმართულია რეგიონის სოციალური კაპიტალის განვითარებისკენ. ის შეიცავს საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერას, რომელთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საზოგადოებრივი კავშირები ( მეწარმეთა კავშირი, ბიზნეს ასოციაციები, სავაჭრო ასოციაციები და ა.შ.)
- არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციები (ახალგაზრდული ბიზნეს კლუბები და სხვა);
- ერთობლივი სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციები ( რეგიონული განვითარების სააგენტო, რეგიონის მარკეტინგული სააგენტო);
- მოქალაქეთა საინიციატივო პროექტები;
- საინიციატივო კვლევითი ცენტრები და ორგანიზაციები (სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ლაბორატორიები, ცენტრები და სხვა).

ამიტომ კონკურენტუნარიანი რეგიონის ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლის ქსელის შექმნა.

სოციალური კაპიტალის განვითარების  
სტიმულირების და საზოგადოებრივი ინიციატივების

მხარდაჭერა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ:

- ინოვაციური, სოციალური, აქტუალური კვლევითი პროექტებისა და ეკონომიკური განვითარების პროექტების რეგულარული კონკურსების ჩატარების ფორმით;
- რეგიონული ცხოვრების საჭირობორტო საკითხებზე „ცხელი ხაზის“ შექმნით;
- რეგიონული, სახელმწიფო და საერთაშორისო კონკურსების ჩატარებითა და მხარდაჭერით;
- მოსახლეობისთვის სხვადასხვა საკითხებზე უფასო საკონსულტაციო პუნქტების ორგანიზაციით (პრივატიზაცია, საპენსიო რეფორმა, ჯანდაცვის რეფორმა, საზოგადოებრივი წესრიგი);
- ინტერნეტში შესაბამისი საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნით.

მარკეტინგული პროგრამის რეალიზაციისთვის აუცილებელია არსებობდეს მკაფიო წარმოდგენა რეგიონის ხანგრძლივი, სტრატეგიული მიზნების განვითარების თაობაზე. ვინაიდან, მარკეტინგული პროგრამების ეფექტურობა დამოკიდებულია ძირითადად რეგიონის ხელმძღვანელობაზე. მათი მხრიდან დიდ მნიშვნელობას იძენს, როგორც დაინტერესება, ასევე პოლიტიკური ნება.

წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია დასახული ამოცანების ცხოვრებაში განხორციელებისათვის შესაბამისი უნარების ქონა. ეს ნიშნავს იმას, რომ აქ საქმე გვაქვს სუბიექტურ ფაქტორთან – ვინ განახორციელებს რეგიონის მარკეტინგს. სხვანაირად რომ ვთქვათ, რეგიონულ მარკეტინგში მჭიდროდ არიან ურთიერთდამოკიდებულნი საორგანიზაციო სტრუქტურა, სტრატეგია და კადრები.

ამიტომ, აუცილებელია ჩამოყალიბდეს რეგიონული მარკეტინგის მართვის ორგანოთა სისტემა, რომელშიც შევლენ როგორც ადმინისტრაციის, ისე კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე მოქალაქეები, რომლებიც თანამშრომლობის პრინციპებზე

დაყრდნობით ასრულებენ მარკეტინგის ცალკეულ ფუნქციებს. რეგიონული მარკეტინგის რეალიზაციისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს შემდეგი მეთოდები:

- საწარმოო და ინოვაციური პარკები;
- დიფერენცირებული რეგიონული შედავათები;
- კლასტერული;
- სამიგრაციო სტიმულირება;
- რეგიონში ან ქალაქში ტურისტების მოზიდვის სტიმულირება;
- ეკოლოგიური მარკეტინგი;
- რეგიონული ბენჩმარკინგი;
- პარტნიორი ორგანიზაციების მოზიდვა.

ყველა ეს მეთოდი ემსახურება რეგიონის კონკურენტუნარიანობის სისტემის გაძლიერებას და მოითხოვს ერთობლივ გამოყენებას. მაგალითად, რეგიონული ბენჩმარკინგი, რომელიც ნიშნავს ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუშების მოძიებას, ხელისუფლების და მოსახლეობის თანამშრომლობის მეთოდებს ქვეყნის სხვა რეგიონებსა და საზღვარგარეთ, მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონში მოსახლეობის, ინვესტორების, ტურისტების საჭირო კატეგორიების მოზიდვის სტიმულირებასთან რეგიონული მარკეტინგის საინფორმაციო სისტემის გამოყენების მეშვეობით. მარკეტინგული მიდგომა საშუალებას იძლევა შესძინოს რეგიონულ პოლიტიკას საკუთარი უნიკალური თვისებები. გვევლინება რეგიონის კონკურენტული პოლიტიკის რეალიზაციის მეთოდად. მიმართულია რეგიონის პოლიტიკური იმიჯის კარდინალური შეცვლისაკენ, რეგიონის ეკონომიკური რესურსების გამოყენებისაკენ.

### ლიტერატურა:

### References:

1. e. baraTaSvili, j. zarandia, saqarTvelos regionuli ganviTarebis ekonomika, saxelmZRvanelo, soxumis universitetis gamomcemloba, 2007 w.



2. e. baraTaSvili, regionuli ekonomikis disciplinis swavlebis koncefcia, Tbilisi, J. `ekonomika~, #8, 2009w.
3. e. baraTaSvili, a. abralava, l. bulia, regioni da regionuli makroprocesebi globalizaciis pirobebSi, J. `ekonomika~, # 5-6, 2009 w.
4. e. baraTaSvili, j. zarandia, regionalizmi: Teoria da praqtika (saxelmZRvanelo), soxumis sax. Universiteti, akaki wereTlis quTaisi sax. Universiteti. Tbilisi, 2009w.

**Evgeni Baratashvili, Tamar Rostiashvili**  
**Principles of Marketing Researches of Regions**

**Summary**

Contemporary economic development is characterized with prominent trends including globalization, regionalization, and formation of the knowledge-based economy. Two former trends are in contradiction with one another. Globalization causes dissolution of the state borders in economic processes and interrelations, increase of mobility of labor and capital, development of the unified standards and regulations and consequently, unification of the regions. At the same time, the trend towards regionalization is increasing, manifesting themselves in increase of autonomy of the regions, aspiration towards maintaining their unique nature and increase of the regions' role in the national and world economies.

Globalization conditions expansion of the competition processes at different levels of world economic system – mega-, macro-, mezo- and micro-levels; actually all territories and regions will find themselves involved into competitive relations. At the same time, the role of local processes in firms' and regions' development would increase. in result, the role of individual region in world economy would substantially change. Gradually the region becomes the independent economic subject joining economic relations as the inter-regional ones, also at the world market.

Regional policies are distinguished with traditional approach, as minimization of various inequalities and this do not correspond to the contemporary objectives of the regions' development. It should be regarded as necessary element for competitive, more general marketing politics.

Region's marketing is defined as the method of creation and support of such relations with the various subjects, which ensures

favorable position for the region towards resources and target markets. Thus, region's marketing is directed towards identification of the requirements of region counteragents, mutually consistent interests and achievement of the competitive success and socioeconomic goals in the region on this basis.

**Keywords:** Marketing Researches, regions, Globalization regionalization, knowledge-based economy.

**Reviewer:** Professor Guram Jolia, Georgian Technical University

**Бараташвили Евгений Шалвович  
Ростиашвили Тамара Георгиевна  
Принципы маркетинговых исследований регионов**

**Резюме**

Экономическое развитие характеризуется тенденциями, к числу которых относится глобализация, регионализация, основанное на знании.

Первые две тенденции противоречат друг другу. Глобализация вызывает в экономических процессах и взаимоотношениях стирание государственных границ, повышение мобильности труда и капитала, развитие общих стандартов и норм и унификацию регионов. В то же время повышается тенденция к регионализации, которая выявляется в повышении автономизации регионов, в достижении своей уникальности и в повышении роли региона в национальной и в мировой экономике.

Глобализация раскрывает конкурентные процессы на разных уровнях мировой экономической системы – мега-, макро-, мезо-, и микро-, уровнях.

Практически все территории и регионы оказались втянуты в конкретные отношения. В то же время усиливается роль локальных процессов в развитии фирм и регионов. В конечном счете действительно меняется роль отдельно взятых регионов в мировой экономике. Регион становится независимым субъектом, который входит в конкурентные отношения, как на межрегиональном уровне, так и на мировом рынке.

Маркетинг региона орпеделяется, как средство взаимоотношения разных субъектов рынка, которые обеспечивают успешную позицию региона в отношении ресурсов и целевых

рынков. И так маркетинг региона направлен на выявление контрагентов региона, взаимосогласованных интересов других регионов и на этом основании достижения успехов в регионе конкурентных и социал-экономических целей.

**Ключевые слова:** Маркетинговые исследования, глобализация, регионализация, знание.

**Рецензент:** Профессор Джолия Гурам Прокофьевич. Грузинский технический университет

**ბიზინაჰმ დავითი, ვანიშვილი მმრაბი  
ადამიანური კაპიტალის თეორია და სახელმწიფოს  
ეკონომიკური პოლიტიკა**

XXI საუკუნის დასაწყისიდან ეკონომიკური ურთიერთობები სულ უფრო ცივილიზებული და სოციალურად ორიენტირებული ხდება. დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, ის რომ მომავალი ეკონომიკის ეფექტიანი მოდელი სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკა იქნება, რომელიც გულისხმობს მაკროეკონომიკური პროპორციულობის საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალურ შეხამებას. ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი საკითხია ეკონომიკის აღმავლობის საფუძველზე მოსახლეობის ეფექტიანი სოციალური დაცვა, საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობის სტაბილურობა. ამ ამოცანების გადაჭრისას, ბუნებრივია, წინა პლანზე იწვევს ადამიანური კაპიტალის გააქტიურების პრობლემა.

როგორც ცნობილია, განათლება ეკონომიკური განვითარების საფუძველი და თანამედროვე ადამიანის უპირველესი ცხოვრებისეული მოთხოვნილებაა. განათლებაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებას აკისრია ორი ძირითადი ფუნქცია: სოციალური და ეკონომიკური.

ადრეულ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში მუშახელის პრობლემას მეწარმენი ძირითადად ხელფასის მომატებით წყვეტდნენ, მაგრამ მეცნიერულ – ტექნიკურმა რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა მუშა-ხელისაღმძი დამოკიდებულება. ხელფასის მომატება არც ისეთი სარფიანი და არც ყოველთვის შესაძლებელი იყო შესაბამისი კვალიფიკაციის მუშა-ხელის მოსაზიდავად. საჭირო გახდა სპეციალურად გამიზნული დიდი რაოდენობით ინვესტიციები, რათა საჭირო კვალიფიკაციის მუშა-ხელი შექმნილიყო.

დაიწყო მეცნიერული მუშაობა იმაზე, თუ რა ეფექტი ექნებოდა ინვესტიციებს ადამიანის, სამუშაო ძალის სათანადოდ ჩამოყალიბებაში. თანდათანობით ეს გამოკვლევები მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა როგორც „ადამიანური კაპიტალის“ თეორია,<sup>[1]</sup> რომელსაც სათავეში ჩაუდგა ე.წ. „ნიკაგოს სკოლის“ სახელგანთქმული წარმომადგენელი ტ. შულცი. 1964 წელს გამოვიდა ჰარი

ბეკერის წიგნი „ადამიანური კაპიტალი“, სადაც მან თავი მოუყარა ადრინდელი კვლევის შედეგებს.

„ადამიანური კაპიტალი“ შედგენა მიღებული ცოდნის, ჩვევების, მოტივაციისა და ენერჯისაგან, რითაც დაჯილდოებულია ადამიანი და რომელსაც შეეძლება დროის გარკვეულ მონაკვეთში გამოიყენოს იგი საქონლის წარმოებისა და მომსახურებისათვის.

ადამიანური კაპიტალის თეორიაში იგულისხმება, რომ არსებობს უშუალო და არსებითი კავშირი ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებასა და შრომის ნაყოფიერებას შორის: ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში (ხარჯები განათლებისათვის) იწვევს დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერების გადიდებას (განათლების-ეკონომიკური ფუნქციის რეალიზაცია), რაც წარმოშობს ხელფასის უფრო მაღალ განაკვეთებს (განათლების სოციალური ფუნქციის რეალიზაცია).

„ადამიანური კაპიტალის“ რენტაბელობა იზომება ე.წ. „უკუგების ნორმით“, რაც მიიღება ადამიანური კაპიტალიდან მიღებული შემოსავლების შეფარდებით მის ღირებულებასთან, როგორც ცნობილია, განათლების ინვესტირების ეკონომიკური ეფექტი შეიძლება უშუალოდ გამოიხატოს ეროვნული შემოსავლის იმ დამატებითი მოცულობით, რომელიც შეიქმნება სწავლების კურსის გავლის შემდეგ მომუშავეთა უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერებით.

